

K 2158

2

შალვა კეკელიძე

ილია

ჭავჭავაძის

კვდაბობიკური

მემკვიდრეობა

და

მის ნაწარმოებთა

სწავლების მეთოდიკა

19 * ტექნიკა და ურთმა * 46

ილია ჭავჭავაძის
კვლევითი ცენტრის
და მის ნაწარმოებთა
სწავლების მეთოდობა

K 2158
2

შ.კ. 2018 - 21280



საქართველოს ბიბლიოთეკის განყოფილება

37.01 + 821.353.1(092კაატა3პქ,9) +
+ 821.353.1.09

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის
საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2, ფურცელადის ქ. № 5.

ფე-11571.

ტირაჟი 4000

შეკვეთა № 792

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლისათვის

ილია ჭავჭავაძე დიდი ერუდიციის მწერალია. მისი შემოქმედება არ იფარგლება მარტო პოეზიითა და ბელეტრისტიკით, არამედ იგი შეიცავს პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის, იურისპრუდენციის, გრამატიკის, ლიტერატურის თეორიის, ლიტერატურის ისტორიის, კრიტიკის, თეატრისა და დრამატურგიის, პედაგოგიკის, ესთეტიკის, ეთიკისა და სხვა საკითხებს.

შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა ქართველი ხალხის ცხოვრების არც ერთი მხარე, რომ მისთვის ილია ჭავჭავაძის მადლიან კალამს დიდი მხატვრული ექსპრესიის ქმნილებები, ან თავის დროისათვის მოწინავე, დაკვირვებული მეცნიერის გონებით განსჯილი, თეორიული ნარკვევები არ ეძღვნას.

„საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული მოღვაწე“ ილია რუსეთიდან საქართველოში ბრუნდება შეიარაღებული მეცნიერული ცოდნით, მტკიცედ გარკვეული მსოფლმხედველობით, რომელიც მასში გამოჟღერავდა რუსეთის ნი-იანი წლების „რაზნოჩინული“ რევოლუციურ-დემოკრატიული თაობის (ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლუბოვისა და სხვათა) მოწინავე საზოგადოებრივი იდეების ზეგავლენით.

ილია ჭავჭავაძემ სხვა „თერგდალეულებთან“ (ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ.) ერთად გაბედულად გადმონერგა ჩვენში რუსეთის ნი-იანი წლების დემოკრატიული იდეები, იმ ცხოვრების მაგისტრის ასამოძრაველად, რომელიც მან ასე დაგვიხატა: „ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ, ბატონ-ყმობის გადაყარდნამდე, ისეთი მყუდროება სუფევდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მისი შერყევა ოდნავ მაინც შესაძლებელი ყოფილიყო. როგორც ბურჟუანი, ღრუბლიანი, თბილი და მშვიდი ღრე, ისე იხედებოდა მაშინდელი ჩვენი ცხოვრებაც.“

(არც წვიმა სადმე, არც ქარიშხალი; ელვას რომ ათასში ერთხელ ვღირსებოდით, დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა, ხელს აღვაპყრობდით ცისკენ და ღალადებით, ქებასა და მადლობას ვეუბნებოდით უფალს—ელვისა და ქუხილის გაჩენისათვის ერთის წამით მაინც).

ღიად, ასეთი გახლდათ ის წარსული დრო, დრო მე-40 და 50 წელთა, დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა (და ეროვნულის) მიმდინარეობისა, მოქანცულობისა. მწერლობაც ამ-გვარის მიმდინარებულის ხასიათისა გახლდათ მაშინ. იგი ზედმიწევნის სინამდვილით გვიხატავს მაშინდებურს (ჩვენს არარაობას), ჩვენს სილატაკეს აზრისას თუ ცხოვრებისას... აბა ამ-გვარს დროს სად და ვის მოჰკითხავდი აზრსა, გონებას, თავგანწირულებას (ერისათვის), საქვეყნო საქმისათვის. აკი არც არაფერი შეინიშნებოდა ამ-გვარი. ქვეყანამხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო¹⁾).

ილია ბრუნდება საქართველოში იმ შეგნებით, რომ ამ „მყუდროებისა“ და „მიმდინარების“ გამოსაღვიძებლად საქიროთა თავგანწირულობა ერისათვის, საქვეყნო საქმისათვის; „საჭიროთა ის, რაც მან თერგში დაინახა“: დალოცა ღმერთმა ისევე თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობაღვის და აბღაღებს თავის გარეშემოსა. შეყვარს თერგის ზარბაზნი ხუილი, გამაღებელი ბრძოლა, ღრტვინვა და ვაივაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლელებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი²⁾...

ამ მოძრაობაში გულისხმობდა ილია ერის სასიცოცხლო ძალეების ამოქმედებას.

რუსეთის ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებამ 60-იანი წლების მოწინავე დემოკრატიული იდეებით გატაცებული ილია ქავეკავადე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ რუსეთის გზით მიმავალ საქართველოს

1) ილია ქავეკავადე, ტ. მე-7. გვ. 5-8.

2) „მგზავრის წერილები“ ტ. I. გვ. 256 (ილიას ტექსტი პუბლიცისტური ნაწერებიდან ციტირებულია „ქართული წიგნის“ მიერ პავლე ინგაროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით გამოცემული—ათტომეულიდან, ხოლო მხატვრული ნაწერებიდან კი—1937 წ. სახელგამის მიერ პავლე ინგაროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით გამოცემული ხუთტომეულის I ტომის მიხედვით).

განახლებისათვის, მისი მერმისის განმტკიცებისათვის საჭირო იყო, აღარ ეტირა მასზე, „რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა“, მოეკლა წარსულ დროებზე დარდი, გაჰყოლოდა სხვა ვარსკვლავს, და დაესახა ხალხისათვის ახალი მომავალი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების განვითარება მოითხოვდა ბატონყმური წყობილებით „ტყვედაპყრობილი შრომის განთავისუფლებას“ და უმეცრებაში ჩაფლულ 40—50-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას. ამიტომაც ბუნებრივია, რომ იგი ასე ძლიერად უმღერის შრომის თავისუფლებას:

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა...

შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძღვეამოსილის ამ საუკუნის...

და დიამხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებული კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი

ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების“. („აჩრდილი“).

ცხოვრების გარდაქმნის ყველაზე მძლავრ საშუალებად ილიას ცოდნა, მეცნიერება მიაჩნდა: „რა აახლებს, რა სცვლის და—თუ ცხოვრება ჯანმრთელია—რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან“. ხოლო ამ მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ დარგად იგი პედაგოგიკას სთვლიდა.)

ილია ჭავჭავაძეს სპეციალურად პედაგოგიკის საკითხები არ დაუშუშავებია, მაგრამ მის ნაწერებში მიმოფანტული ძვირფასი პედაგოგიკური აზრები და შეხედულებები, თავის დროის შესაფერის მეცნიერულ საფუძველზე დამყარებულნი, პედაგოგიკური ლიტერატურის მდიდარ ფონდს წარმოადგენენ.

ილიას პუბლიცისტურ თუ მხატვრულ ნაწერებში წარმოდგენილმა პედაგოგიკურმა მოსაზრებებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ქართველი ერის „მერმისის“—ახალი თაობის აღზრდის, სწავლა-განათლების გზაზე დაყენების, მისი მართებულად ორგანიზების საქმეს. სამართლიანად შენიშნავს პროფ. გ. თავზიშვილი: „ილიას მდიდარი პედაგოგიკური შემკვიდრეობის დაუფლება, კლასიკოსებისადმი ლენინურ-სტალინური დამოკიდებულების საფუძველზე, დღესაც აქტუალურია ჩვენი თანამედროვე პედაგოგიკისათვის, ვინაიდან მასში ბევრი ისეთი „რაციონალური მარცვალი“ მოიპოვება, რომლის გამოყენებაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა-განათლების საქმეს“¹⁾).

1) ილია ჭავჭავაძე, პედ. თხზულებანი, გვ. 122.

ილია ჭავჭავაძე ნათლად ხედავს სწავლა-განათლების დიდ როლს „დაცემული ერის“, მისი „მერმისის“ ეკონომიური, პოლიტიკური თუ კულტურული აღმავლობის გზაზე დაყენების საქმეში. ✕

60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების საფუძვლებზე ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებულ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროგრამას, რომელიც მთელი მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის სამოქმედო პროგრამაც იყო, დამოუკიდებელი საქართველოს ბრწყინვალე მომავლის უზრუნველყოფის წინაპირობად ბატონყმური ინსტიტუტის დანგრევა, ხალხში სწავლა-განათლების ფართოდ დანერგვა და საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრივი თავისუფლების აღდგენა მიაჩნდა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ 60-იანი წლების პროგრესიული ახალ-თაობა, „თერგდალეულთა“ სახით, და მისი სულის ჩამდგმელი, მისი მებაირახტრე ილია ჭავჭავაძე დაუღალავად იბრძვიან ქართველ ხალხში მეცნიერებისა, სწავლა-განათლებისა და, საერთოდ, კულტურის გასაფრცელებლად ¹⁾).

ძველი და ახალი სამყაროს გაყრა, ფეოდალური წყობილების რღვევა და ბატონყმური საქართველოს გასვლა ისტორიის არენიდან ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში გლინდება და ამ ახალი ცხოვრების, ახალი ვითარების ტონის მიმცემი, მისი წამყვანი როლი ისტორიამ ახალგაზრდობას დააკისრა. ამიტომაც გასაგებია ის უსაზღვრო სიყვარული, პატივისცემა და დიდი იმედი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მომავალ თაობაზე ამყარებდა:— „ის ახალ-თაობა კი, რომელზედაც მიქცეულია მთელი ჩვენი სასოება და რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ესე იგი ჩვენი მომავალი“ ²⁾,

¹⁾ თემის სისრულისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ნაწილობრივ მაინც შევეხოთ ილიას პედაგოგიკურ შეხედულებებს, თუმცა ეს საკითხი ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდ სიცხადით გარკვეული აქვს პ. რ. თ. თაგზიშვილს. იხ. ილია ჭავჭავაძე— „პედაგოგიური თხზულებანი“-ის წინასიტყვაობა, გვ. 17—122, თბილისი, 1938 წ. ²⁾ ტ. 6. გვ. 227.

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა ახალთაობის აღზრდის მნიშვნელობა მომავალი ცხოვრების უკეთ მოწყობის საქმეში და დაბეჯითებით სწერდა: „ჩვენ ვგონებთ, რომ ნამეტანი იქნება იმაზედ ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას ყმაწვილების აღზრდაზედ, რადგანაც, ცხადია, რომ ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალს თაობას“ და იქვე განაგრძობს: „ამასთანავე ყველამ კარგად ვიცით, როგორ ცუდად იზრდებიან ჩვენი ნიჭიერი, მაგრამ საცოდავი ყმაწვილები, რამდენს ჰკარგავენ ისინი და როგორ ზღბიან იმისაგან, რომ შშობლებმა მათი გაძლოლა არ იციან“¹⁾.

სწორედ ამ „ნიჭიერი, მაგრამ საცოდავი ყმაწვილების“ აღზრდა-განათლების მართებულად ორგანიზებისაკენ არის მიმართული ილია ჭავჭავაძის ბასრი კალამი და თავდადებული პრაქტიკული საქმიანობა.

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისიც იყო, რომ, რა თემაზედაც არ უნდა ემსჯელა, რა საკითხსაც არ უნდა შეხებოდა (იქნებოდა ის ფილოსოფიიდან, პედაგოგიკიდან, ხელოვნებიდან, ლიტერატურიდან, თეატრისა და დრამატურგის დარგიდან, იურიდიული თუ ეკონომიური საკითხები), რა სახითაც არ უნდა წარმოედგინა იგი (პუბლიცისტური წერილების, თუ მხატვრულ ნაწარმოებებში განსახიერებული სახით) მტკივნეული ადგილის პოვნასთან ერთად ის კისრულობდა და ასრულებდა კიდევ მისი მკურნალის მოვალეობის საპასუხისმგებლო როლსაც.

ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ აზროვნების, მისი ბრწყინვალე საგანმანათლებლო იდეების შესახებ.

ილია ჭავჭავაძის მიერ საკიახის დაყენება, თუ მისი გადაწყვეტა არასოდეს ფორმალურ ხასიათს არ ატარებდა, იგი ყოველთვის შეიცავდა ღრმად დასაბუთებულ მტკიცებებს და იძლეოდა გარკვეულ დასკვნებს.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ისეთი მწერალია, რომლის შემოქმედების მხატვრული პროდუქცია მისი ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ნააზრევის სახესხვაობაა იმრიგად, რომ პირველ შემთხვევაში მხატვრულად არის განსახიერებული ის, რაც მეორეში პუბლიცისტურ-ფორმებშია მოცემული. აქედან სრულიად ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძე სწავლა-განათლებას რეალური თვალთხედვის საზომით უდგება: „მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამ-

¹⁾ ი. ჭავჭავაძე—პედადოგიური თხზულებანი, გვ. 137, 1935 წ.

ქაულად კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის ან¹⁾ დეწკვი გულმკერდისათვის, იგი ცოდნისა და განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელს საჭიროებებს, როგორც არსებით პურსა“.

„ჩვენ გვაევიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაურეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მონადომებს ოთხ-ხუთს საათს“¹⁾.

სოფელ წინამძღვრიანთკარში ი. წინამძღვრიშვილის მიერ ახლად დაარსებული სამეურნეო სკოლის გახსნისას დამსწრეთაღმომიმართულ სიტყვაში ილია იშვიათი დამაჯერებლობით ხსნის, ერთი მხრივ, სწავლა-განათლების მნიშვნელობას, და მეორე მხრივ, მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სარგებლიანობასა და ეფექტიანობას:

„არ ვიცი—საიღამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად... მაგისთანა დეთისნიერს წინამძღვრს ცოდნა ჰქვიან... ღონიერი და ჰირთა-მძლევი ის არის, ვისაც კვუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყუავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია...“

ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა-რათა? იმიტომ, რომ გუთნის-დედა მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის მკეთებელი უფრო მეტად ჰღირს, მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? კიდევ იმიტომ. რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.. ცოდნა ანთებულსანთელსა ჰგავს: ერთ სანთელზედ რომ ათასს სივა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა... სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა: მამილამ შვილზე გადადის, შვილიდამ შვილის-შვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული... სხვა ქვეყანაში საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე. უქირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერასცხოვრებს. რათა? განა იმით, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენ გვეჯობიან?! არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან... ცოდნა ბევრნაირია-

¹⁾ ტ. 7. გვ. 254.

ხოლო აქედან (ლაპარაკია სამეურნეო სკოლაზე შ. კ.) ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს. მიგვაგნებინებს—სად რა სიმდიდრე სძევს და რა-რიგის ხერხით, რა-რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენი თავის სადღეგრძელოდ“.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასე რეალურად გაგებულ სწავლისა და განათლების მოტრფიალვა, ისეთი სწავლა-განათლებსა, რომელიც თავისი ნაყოფით გზას გაუკვლევს ხალხს შეძლებულ ცხოვრებისა და კულტურული ვითარების შესაქმნელად. ილია ოცნებობს და იღწვის ისეთი სკოლების შესაქმნელად, რომლებიც ცხოვრებას აქტიურ მშენებელს, მისი ავისა და კარგის გამგებელს და გამაჯანსაღებელს მოუწადებენ. იგი ჰგმობს, სასტიკი მტერია ძველი, ფორმალისტური განათლების სასკოლო სისტემისა, რომელიც მხოლოდ ფორმალურ, პრაქტიკულ ცხოვრებას მოწყვეტილ, უნიადაგო, გამოუსადეგარ განათლებას იძლევა.

„ეხლანდელი სწავლა-ცოდნა, თუმცა ჰშველის კაცს გონების თვლით დაანახოს და გონებისავე ყურით გააგებინოს, რაც კაცის გარეშემო არსებობს და თავს იჩენს, მაგრამ ადამიანის საქციელზედ კი თითქმის სრულებით არა მოჰქმედობს. ამიტომაც დღევანდელს დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვდეთ—კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრნი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო-ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნების შინაარსით“, ასკენის ილია.

მეფის რუსეთის ორთავიანი არწივის ბასრ კლანჭებში მომწყვდელი კოლონიალური საქართველო, ისე როგორც კავკასიის სხვადასხვაგვარ-დამონებული პატარა ერები, სულს ლაფავდა ბიუროკრატიული მმართველობის მიძიმე უღლის ქვეშ და მეფის ჩინოვნიკ-მოხელეების რუსიფიკატორულ-კოლონიალური პოლიტიკის შედეგად, თანდათან ჰკარგავდა საკუთარ ეროვნულ სახეს, ეროვნულ მთლიანობას, ნაციონალურ კულტურას. ამას კარგად ხედავდა ილია ჭავჭავაძე და მისთვის, როგორც ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადისათვის, ცხადი იყო, რომ ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა ეროვნული მთლიანობის ნიშნის ქვეშ უნდა წარმართულიყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მის სოციალურ კონცეფციაში ეროვნული კონსოლიდაციის პრობლემა ძირითად საკითხი იყო.

საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუზარხოს გულისყური, გაუწრთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ქყუა-გონება მართლმსჯელობასა და თვითმსჯელობასა [საერო სკოლამ უნდა მოუშალოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმდენად, რომ იგი საკუთარის ქკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს შატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორციით იღვწის და მოქმედებს“¹⁾).

ღლია სავსებით მართებულად სთვლის სკოლას ხალხში სწავლა-ჯანათლების გავრცელების ძირითად ფორმად. თუმცა, როგორც ქვევით დავინახავთ, არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი თვით-განვითარებასა და, განსაკუთრებით, მოზარდის დამოუკიდებლად სწავლას, რომელიც ასე წარმტაცად, სრულყოფილად და იდეალურად დაა დახატული მის ნაწერებში.

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა, ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია!... პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გაღებული. მაგრამ ყველასთვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ქყუა ავარჯიშოს, ტვისა და გულს მოძრაობა მისცეს,— ეფხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვისა და გულში გამოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალღ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ბოთხო წელიწადო! ნეტავ იმას, ვინც შენ რიგინად მოგიხმარა“²⁾).

¹⁾ ტ. 7. გვ. 215—216.

²⁾ „გზავრის წერილები“ ტ. I. 1937 წ. გვ. 249.

იშვიათად თუ მოიძებნება მსგავსი ნიმუში იმისა, რომ მხატვრული პროზით ასე დამაჯერებლად, ასე წარმტაცად იყოს წარმოდგენილი და დასაბუთებული სწავლა-განათლების გავრცელების აუცილებლობა. თუ ამ პატარა ამონაწერს ღრმად ჩავუყვირდებით, მასში ამოვიკითხავთ დიდებულ აზრს საერთოდ ადამიანისათვის სწავლა-განათლების აუცილებლობაზე.

მხატვრული პროზის ეს უნიკალური ნიმუში, რომ ჩვეულებრივ ენაზე გადმოგველო, მაშინ ასე წავიკითხავდით:

1. მოზარდის მიერ დროულად მიღებული საფუძელიანი სწავლა-განათლება ზისი მომავალი ცხოვრების საფუძველია.

2. სწავლა-განათლებას მოკლებული ადამიანი სიბნელეშივე დაჰლევს თავის უგემურ ცხოვრებას, სამაგიეროდ სწავლა-განათლებას ნაზიარები უზრუნველყოფილია უკეთესი მერმისით.

3. სწავლა-განათლების მიღება ადამიანისათვის აუცილებელია, მაგრამ ყოველგვარი სწავლა-განათლება როდი არის ნიშანი ანუ საფუძველი პროგრესიულობისა. სესურველი და აუცილებელია მხოლოდ დროის წესაფერისი, მართებული აღზრდა და განათლება.

4. მოზარდის მიერ სწავლისათვის განკუთვნილი დროის რაციონალურად გამოყენება აუცილებელი პირობაა სასურველი ეფექტის მისაღწევად.

ცნობილია, რომ როდესაც ილიას მადლიანი კალამი „მგზავრის წერილების“ ზემომოყვანილ სტრიქონებს სწერდა, ქართველი მშობლის „გულშემატკივრობა“, შვილისადმი „სიყვარულის“ გრძნობა იქამდე იყო მისული, რომ „კეთილ“ მშობელს თავისი შვილი 14—15 წლის ასაკამდე სკოლაში მისაბარებლად არ ემეტებოდა და, როგორც თვით ილია საშართლიანად შენიშნავს, „ამ გამოუმეტებლობაზე ეგონათ მართალი სიყვარული“; იმას კი ვერ ითვალისწინებდნენ, რომ ამ გამოუმეტებლობით ყრმას ხელიდან ეცლებოდა ის საძირკველი, რომელზედაც უნდა აგებულყო მთელი მისი მომავალი ცხოვრება. ამ დაყოვნებით გამოწვეული დანაკლისი უბრალო დანაკარგი როდი იყო, არამედ საშუდამოდ შეუვსებელი, აუნაზღაურებელი დაკარგული დრო. ასე ესმოდა ილია ჭავჭავაძეს ეს საკითხი და სწორედ ამ გარემოებითაა ნაკარნახევი „მგზავრის წერილების“ აღნიშნული სტრიქონები.

არამცნიერულ საფუძველზე აგებული აღზრდა, იქნება ეს ოჯახური, თუ სკოლის გზით მიღებული, ვერ აამაღლებს პიროვნებას მოწოდების იმ სიმაღლეზე, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივ ცხოვრების აქტიური მშენებლობისათვის. უფრო მეტიც, ამგვარი

აღზრდის შედეგი მავნეა, რადგან იგი აღზრდის ობიექტს—ბავშს გაადამიანურების ყოველგვარ შესაძლებლობას ძირშივე უკვეცავს. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს „გლახის ნაამბობი“-ს მთავარი პერსონაჟი დათიკო, რომლის სახით კიდევ ერთი პარაზიტი შეემატა მაშინდელ საზოგადოებას. სინამდვილით გულდაწყვეტილი ილია სრულიად სამართლიანად კითხულობს: „ვინ იცის, ჩვენო მკითხველო, რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოებაში და ჭხეა-რიგ შინაურ გაზრდაში“.

სკოლის როლი და ამოცანები დიდია, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობისაა ოჯახი, რომელსაც გარკვეული ფუნქციები, მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვს დაკისრებული.

სკოლისა და ოჯახის ურთიერთ გაგებაზე, ურთიერთ დახმარებაზე დიდადაა დამოკიდებული ბავშვის აღზრდისა და განათლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

როგორი იყო ილიას დროინდელი სინამდვილე? რას აძლევდა მაშინდელი სკოლა მოზარდს და როგორ ეხმარებოდა მას ოჯახი?

გავისხენოთ „გლახის ნაამბობი“-ს გმირის დათიკოს (იმავე კოლას) აღზრდა სკოლასა და ოჯახში. „ერთხელ იყო ღრამმატიკის კლასი. კოლა საწყალი წამომდგარიყო დილის ოთხ საათზედ და დუდუნებდა გაკვეთილსა რვა საათამდინ. კითხულობდა და კითხულობდა, და რასაკვირველია, არა ესმოდა-რა და რადგანაც არა ესმოდა-რა, არც არაფერი შესდიოდა თავში. წავიდა როგორც იყო ღრამმატიკაში, დალილი, გაყვითლებული და ერთი ღამის უძილო, იმისთვის, (რომ) იმ წინაღამეს კიდევ ღეთისმეტყველება ესწავლა დიდხანს.

პირველად კოლა გაიყვანა ღრამმატიკის ოსტატმა და, როცა ოსტატმა მრისხანეთა ჰკითხა: — შტო ტაკოე ღრამმატიკა? — მაშინ ღრამმატიკა და ღეთისმეტყველება აერივნენ ერთად შეშინებულ კოლასა.

— ნუ, შტო ტაკოე ღრამმატიკა, გოგორი, ბალვანი! — უფრო მრისხანედ ეტყოდა ოსტატი, რომელიც სთვლემდა სკამზედ.

— ღრამმატიკა იესტ კ პრავილნომუ ურახუმენიუ სვიასჩენავო პისანი ია, — ამბობდა საწყალი კოლა და თითონაც არ ესმოდა რას ამბობდა; მიხვდა კი, რომ ღეთისმეტყველებიდან რაღაც შემოუტრია, მაგრამ არა სჯეროდა.

— ვოტ ტებე კ პრავილნომუ ურახუმენიუ, — შეჰყვილა შესაფერო ზილთი კაცთმოყვარე პედაგოგმა. — ვოტ ტებე ი სვიასჩენოე პისანიე, — დურაღი! — და გაივდო წიხლ ქვეშ, მერე ჰკრა პანჩური და გამოაგ-

დო კარში. ეგრე იზრდებოდა კოლა ღამნაზიაში. კოლა რამდენიმეჯერ გამოაგდეს კლასიდან გარეთ, მერე იფიქრა, ეგრე ხშირად რომ მაგდებენ კარში, მოდი ქუღს დავმალავ გარეთ სადმე და, როცა გამომაგდებენ, დავიხურამ და შინ წავალ თქვა და აღასრულა კიდევაც მეორე დღესვე. კიდევ იმ დრამმატიკის ოსტატმა გამოუძახა გარეთ კოლა; კოლა გამოვიდა, წავიდა, იპოვნა დამალული ქუდი, გადმოხტა ლობეზედ და დააპირა გაქცევა.

— თათქარიძე, თათქარიძე!— მოესმა ძახილი ყმაწვილებისა; მიიხედა, ნახა რო ათიოდე ყმაწვილი დგანან სწორედ თავისებურად გამოგდებულნი გარეთა და თავისებურად გამოპარულნი სკოლიდან“.

ილიას დროინდელ საქართველოში არსებული სკოლის მესახებ სხვა დოკუმენტებიც ამავე სურათს გვიხატავენ, ამასვე აღასტურებენ და ღალატებენ, რაც „გლახის ნაამბობის“ ზემოთ მოტანილ სტრიქონებშია წარმოდგენილი, და, ცხადია, ნაყოფი ასეთი სკოლის ტაქმიანობისა მხოლოდ დათიკო და მისთანანი შეიძლება ყოფილიყვნენ.

III

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე სწავლა-განათლების საქმეში გადამწყვეტ მნიშვნელობას სკოლას ანიჭებდა.

ამასთანავე პრაქტიკული ცხოვრების ღრმა დამკვირვებელს-მხედველობიდან არ გამოპარვია ის გარემოება, რომ მოწოდების რაგინდ სიმაღლეზე იდგეს სკოლა, იგი უძღურია განახორციელოს მის წინაშე დასმული მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა და აღზარდოს ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, თუ კი ოჯახი, გარემო, წრე ხელს არ უწყობს, არ ეხმარება, არ ავსებს და არ აღივსებს იმ შესაძლებლობათ, რაც ქმნის გარკვეულ პირობებს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღსაზრდელად, ამიტომ ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახს, წრეს, გარემოს საზოგადოდ, განსაკუთრებით კი სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდის ორგანიზებაში ხედავდა იგი ოჯახის განუზომელ მნიშვნელობას. ამ საკითხს უძღვნა მან მთელი რიგი პუბლიცისტური წერილებისა, სადაც მისთვის ჩვეული მეცნიერული დასაბუთებით არა ერთი და ორი მაგალითით ცხადჰყო ოჯახის მნიშვნელობა ბავშვის აღზრდის საქმეში, მაგრამ ილიას უქკნობი სახელი მაინც მისმა უკვდავმა მხატვრულმა შედეგებმა შეუქმნეს.

ის გარემოება, რომ ილია ბავშვის აღზრდაში ოჯახს, წრეს, გარემოს განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებდა, აიხსნება არა მარტო იმიტომ, რომ ილიას დროინდელ საქართველოში არ არსებობდა სკოლამდელი აღზრდის სახელმწიფო, კერძო თუ საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულებები (საბავშვო ბაღები, საბავშვო კერები და სხვ.), რომლებითაც დღეს მოფენილია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე-მართალია, ამ გარემოებასაც თავისებური გავლენა ჰქონდა და ის არ გამოპარვია მხედველობიდან შორსმჭვრეტელ ილიას. მაგრამ მაინც ამ საკითხით მისი ასე გატაცება განსაკუთრებული ზრუნვა და ყურადღება, ჩვენის აზრით, სხვა საფუძველზე იყო აგებული.

როგორც საზოგადოდ ცნობილია, მეფის რუსეთის კოლონი-ალური პოლიტიკის არტახებში მომწყვედველი საქართველო ნებისთ-

2158

თუ უნებლიეთ გარუსების გზას ადგა და ეკატერინე დედოფლის ცნობილი მოთხოვნის—ქართულ სხეულში რუსული სულის ჩაბერვის-განხორციელების საუკეთესო ღონისძიებას შავრაზმელი იანოვსკის გეგმის პრინციპზე აგებული სასკოლო სისტემა წარმოადგენდა, საიდანაც უკეთეს შემთხვევაში ყოველმხრივ განათლებული ქართველის ნაცვლად შეიძლება მხოლოდ ბიუროკრატიულ მმართველ წრეებისათვის გამოსადეგი წვრილფეხა ჩინოვნიკი გამოსულიყო. სასკოლო განათლების ასეთი უმსგავსო სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული არამარტო ილია ჭავჭავაძის ბრძოლა, არამედ მთელი მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციისა ი. გოგებაშვილის, ნ. ცხვედაძისა და სხვათა სახით, რომელთაც კარგად ჰქონდათ შეგნებული მაშინდელი სასკოლო განათლების უფარვისობა. მაგრამ 1896 წ. 23/XII სათავადაზნაურო სკოლის კრებაზე ნ. ცხვედაძის მიერ გაკეთებული განცხადებისა არ იყოს („ჩვენ ვიცით რა სახისა და პროგრამის სკოლაა ჩვენთვის სასურველი, ხოლო დროჟამი და ეხლანდელი ჩვენთვის უცხო გარემოებანი ითხოვენ, რომ ჩვენი სურვილი ჩვენდა სამწუხაროდ ჯერ ხანად მაინც უნდა დადუმდეს“-ო), ისინი იძულებული იყვნენ თითო-ორიო სასწავლებლებშიაც კი, რომლებსაც „საკუთარს—ქართულ“ სასწავლებელს უწოდებდნენ, სწავლება ისეთ ყაიდაზე აეგოთ, როგორსაც მოითხოვდა „დროჟამი და უცხო გარემოება“. ცხადია, ასეთი სასწავლებელი ყოველმხრივ განათლებულსა და განვითარებულს მოქალაქეს ვერ აღზრდიდა და სწორედ ესაა მთავარი, აქ უნდა ვეძიოთ საიდუმლოება იმისა, თუ რატომ აქცევდა ილია ჭავჭავაძე ასე განუზომელ ყურადღებას ოჯახს, როგორც ყრმის აღზრდელ კერას. ქვეყნის გულშემმატივართა დაუღალავი შრომისა და ბრძოლის მიუხედავად, „დროჟამი და უცხო გარემოებანი“ არ იძლეოდნენ გასაქანს, რათა სასკოლო განათლება იმგვარად მოეწყოთ, როგორც ეს მათ ესმოდათ, ე. ი. უზრუნველყოთ „გონებითა და გულით გაღვიძებული“ ახალი თაობის აღზრდა, რომელიც შესძლებდა „საკუთარის ქვეით და გულით გაუჭირვებლივ“ გასძლიოლოდა იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, სადაც ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს სულითა და ხორციით, იღწვის და მოქმედობს“¹⁾).

ამ დანაკლისის წევსებას ილია ჭავჭავაძე ცდილობდა საოჯახო აღზრდის გაძლიერების ხარჯზე. თავის ორგანო „საქართველოს მოამბე“-ს საშუალებით გააცნო მან მასებს „გამოჩენილ“ ბუნციერ-პელა-

1) ტ. 7. გვ. 215—216.



გოგთა შეხედულებანი და აზრები საოჯახო აღზრდის შესახებ. 1863 წ. იგი პირდაპირ აცხადებს: „ამასთანავე ყველამ კარგად ვიცით, როგორ ცუდად იზრდებიან ჩვენი ნიჭიერი, მაგრამ საცოდავი ყმაწვილები, რამდენს ჰკარგავენ ისინი და როგორ ხდებიან იმისაგან, რომ მშობლებმა მათი გაძლოლა არ იციან ¹⁾“.

ამრიგად, მაშინდელი სასკოლო განათლების უვარგისობით გამოწვეული დანაკლისის ასანახლაურებლად ილია წინა პლანზე აყენებს კერძობითი სწავლების პრინციპს (მაგ. „გლახის ნააშობიდან“ მოძღვარი და გაბრო და „უცნაური ამბავი“-დან სოლომონი და პატიკო). მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ შეიძლება იმ აზრის გაზიარება თითქოს ილია ჭავჭავაძე სწავლების კერძობითს პრინციპს—საზოგადოდ—კოლექტიური სწავლების პრინციპზე მალა აყენებდეს.

სხვანაირად შეუძლებელია გავიგოთ ილიას ცნობილი შეხედულება: „ესეც ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათაშორის სკოლაა, სხვათაშორის მეთქი, სხვათაშორის კი არა, ერთი უპირველესი და უმთავრესი ღონისძიება სასწავლებელია“.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ ნააზრევში, მის პუბლიცისტურ წერილებში ადამიანის, როგორც სოციალური არსის, რაობა ჩინებულად არის გარკვეული. ამ საკითხის ილიასული ინტერპრეტაცია მარქსისტულ გაგებას უახლოვდება. ანალოგიურად კ. მარქსის ცნობილი დებულებისა, რომ „ადამიანის არსი მის სოციალობაში მდგომარეობს“, ილია ჯერ კიდევ 1882 წ. სწერდა: „ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოკირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი—ერთ რთულ, დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავის თავი როგორად, წინასა და უკანაზედ, მტკიცედ გადაბმულად“²⁾.

„ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია; მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, მარტო ყოფნით, ვერას-გზით ვერ მიაღწევს ბედნიერებასა. ამიტომაც იძულებული იქმნა თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა“³⁾.

თუ ადამიანის რაობა მის სოციალურობაში მდგომარეობს, ბავშვი ხომ იგივე ადამიანია, როგორც თვით ილია კლასიკურად განმარტავს: „ბავში სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა“, აქედან,

¹⁾ „საქართველოს მოამბე“—1863 წ. № 3.

²⁾ ტ. 6. გვ. 205.

³⁾ ტ. 6. გვ. 223.

ცხადია, თუ რა ასპექტში უნდა იყოს წარმოდგენილი ბავში, როგორც აღზრდის ობიექტი. ამ მსოფლმხედველობის ლოგიკური დასკვნაა ბავშვისადმი ის ფაქიზი და განსაკუთრებით ფრთხილი მიდგომა, რომელსაც ილია იჩენს.

„ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად შერძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავში და მოზარდი სულს იზრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ-სახით, არავითარი ეჭვია, რომ თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზედმოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზე, ხოლო არის მეორე საგანიც, რომელსაც, თუ არა მეტი, ნაკლები ზედმოქმედება არა აქვს ადამიანის ავ-კარგაიანად გამოსელაზედ. ეგ მეორე საგანი სკოლაა“¹⁾.

ილიას მხატვრული შემოქმედება დიდა პოეტური ექსპრესიით ქმნის დაუეწყარ ტიპებს, სრულყოფილ სახეებს, რომლებიც წარმოიშენენ და აღიზარდნენ საზოგადოებრივი წყობილების გარკვეულს პერიოდში. ამ მხრივ ილიას ტიპები შეიძლება გაიყოს ორ ძირითად ჯგუფად. ერთ წრეში წარმოდგენილია ის სახე—ტიპები, რომლებიც დეგრადირებული ფეოდალიზმის, გახრწნილი ფენის ფუქსავატ-პარაზიტული ოჯახიდან მომდინარეობენ, როგორც სისხლი სისხლთაგანი, სიმბოლო ადამიანის სამოსში ცხოველი—პირუტყვისა, მეორე ჯგუფში წარმოდგენილია ის სახეები, რომლებიც შრომიდან მომდინარეობენ, გამოიკვეთნენ პირველთან ბრძოლაში და თავიანთი ჰუმანური იდეებითა და გრძნობებით მიილტვიან შრომის, განათლების, თავისუფლებისა და კაცთმოყვარეობის მაღალ მწვერვალებსაკენ.

პირველნი, როგორც ნაყოფნი ნიადაგშერყეულ-დროშოქმული წყობილებისა, ისტორიულად განწირულნი არიან, და, როგორც ზედმეტი ბარგი ცხოვრებისა, სტოვებენ სამოქმედო მოედანს; სამაგიეროდ მეორენი კი, პირველის საპირისპირო ტიპების ის სახეებია, რომელთაც ეკუთვნის ბრწყინვალე მომავალი.

ამრიგად, უვიცი, გაუნათლებელი ოჯახის, ფორმალისტური, სასკოლო განათლების, მოუწესრიგებელი გარემოსი და ცუდი საზოგადოებრივი ზეგავლენის შედეგად შექმნილი უარყოფითი ტიპებია:

1. ლუარსაბ თათქარიძე
 2. კნეინა დარეჯანი
 3. ლამაზისეული
- } („კაცია ადამიანი ?!“)

¹⁾ ტ. 8. გვ. 316—317.

4. დათიკო („გლახის ნაამბობი“),
5. ბეჟანი და მისი ძმა („სარჩობელაზედ“),
6. ბატონი („კაკო ყაჩალი“),
7. რუსი ოფიცერი („მგზავრის წერილები“),
8. გლახა ჭრიაშვილი („გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“).

დადებითი ტიპებია:

1. გიორგი და ოთარაანთ ქვრივი („ოთარაანთ ქვრივი“),
2. გაბრო („გლახის ნაამბობი“),
3. ლელთლუნია („მგზავრის წერილები“),
4. კაკო და ზაქრო („კაკო ყაჩალი“).

ესლა ვნახოთ, თუ რა ვითარებაში წარმოიშვა თითოეული მათგანი. მაგრამ, სანამ ამას გავარკვევდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ილია ბაეშის აღზრდაში საერთოდ გარემოს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, მაინც იმის ნაწერებში უსაიუოდ შეინიშნება ბაეშზე ამ გარემოს დიფერენცირებული ზეგავლენის ფაქტი. ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ილია იძლეოდეს აღზრდის ობიექტზე გარემოს ზეგავლენის თავისებურ კლასიფიკაციას. საქმე იმაშია, რომ იგი იძლევა გზადაგზა ამ გარემოს ზეგავლენის ნაირსახეობას, რომელთა შედეგად ჰქმნის ნიუანსირებულ სახეებს. ისინი მომდინარეობენ ჰსგავსი ვითარებიდან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შეიცავენ ერთიმეორის საწინააღმდეგო დაშახსიათებელ თვისება-მონაცემებს. როდესაც ილია ჰგვჭავაძე ტიპიურ ვითარებაში ხასიათობს ნიუანსირებულ სახეს გვაძლევს, ვარაუდობს, რომ ადამიანის აღზრდისა და განვითარების პროცესი, მისი სახის ჩამოყალიბება შემდეგ თანამიმდევრობით ხდება:

1. შინაგანი მონაცემები, მათ შორის საკუთარი ინიციატივა, აღზრდისა და განვითარების პროცესში, შეიძლება გახდეს გარკვეული ხვედრითი წონის მქონე უკუფენითი ფაქტორი გარემოს ზეგავლენისა.

2. გარემოს ზეგავლენა ყველა შემთხვევაში თანასწორად არ ვლინდება ინდივიდის სუბიექტურ თვისებათა გამოკვეთისას, რის შედეგად არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ანალოგიურმა წრე-გარემომ ერთნაირი სახეები წარმოშვას, მაგრამ ხასიათთა საგრძნობი სხვადასხვაობის მონაცემებით.

ამის საილუსტრაციოდ ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ბატონისა და „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩალის“ მიხედვით, ლამაზისეული და მოსამსახურე პატარა ბიჭი „კაცია ადამიანიდან“.

ჯაბრო „გლახის ნაამბობიდან“ და გლახა კრიაშვილი „გლესთა განთავისუფლების პირველ დროების სცენებიდან“.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ბატონყმური ინსტიტუტის დაუნდობელი მამბილებელი, იშვიათი ოსტატობითა და მხატვრული დამაჯერებლობით გვიხატავს ამ წყობილების ყოველგვარ დეტალს და თავის უკვდავ „გლახის ნაამბობსა“ და „კაკო ყაჩაღში“ მებატონის კლასიკურ სახეს იძლევა. ეს ორი მებატონე, ეს ორი ტიპი მებატონისა ხომ ერთი და იმავე გარემოს პროდუქტია?, ერთი წყობისა, ერთნაირი წესისა, რომელთა მოსვლა თუ წასვლა ამ ქვეყნიდან ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე მიზეზითა და მიზნითაა გამართლებული, ახსნილი და გაგებელი. მაშასადამე, ივარაუდება, რომ საქმე გვექნება მსგავს ადამიანებთან ყველა მისი თვისებებით, მსგავს სახეებთან და მსგავს ხასიათებთან, მაგრამ...

„დიდი ბატონი—ღმერთმა აცხონოს—მეტი გულთბალი კაცი იყო. ჩემი დათიკოსთან მოშორებაც ეძნელებოდა და მამაჩემიც ეცოდებოდა. ის დალოცვილი მე მომიბრუნდა და მიბრძანა: გაბრუშვი! თუ არ გინდა დათიკოსთან წასვლა, აქ დარჩი მამაშენთან, მე ძალას არ დავატან. ვიცი, ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა ვუყოთ: შვილი მამისა არის. ამისთანა კეთილი იყო ის კურთხეული! ბატონის კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა, მაგრამ ის კურთხეულის შვილი სხვა გულის პატრონი იყო.“

მეორე ბატონი კა:

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი, ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი, იმას კაცებრი გული არ ჰქონდა, რომ მამაჩემი შეჰბრალებოდა.“

რა გავაგრძელო, თავადის-შვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს!?

და მამაჩემი გულმოწყვეტილი, იახლა ამ გვარს უხამსსა ბატონს.

— შენი ჭირიმე,—უთხრა,—ბატონო, სახლს ვერ გაუველ მე მარტოხელი...

დამითმე შვილი... არ დამაღონო, არ დამიღუპო ოჯახი ძველი.

— რაო, რას ბოდავ?...

ეგ რომ არ იყოს, გაექცეოდი შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა?...

ქოფაკო! ხუ თუ მაგას ჰფიქრობდი,
რომ მიბედავდი ემაგის თქმასა?...
გამეცა, ვირო, ხუ ნელრიჯები!...
თუნდ სულიც გაგძვრეს, არ მენაღვლება,
თავში ქვა იეც და ისა ჰქენი...
სუ!... შე ქოფაკო!.. გაიკმიდე ხმა!...
ხმა!.. კრინტი მეთქი!... ძაღლო, თორემ
მე არ მივხედავ მაგ შენ სიბერეს
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს“... („ქაკო ყაჩაღი“).

მებატონის სახეს ილია ორსავე შემთხვევაში ყმის პირით გვან-
ცნობს. ამ ორი სახის ურთიერთთან შედარება და საერთო დასკვნის
გამოტანა, თვით ილიას გამოთქმა რომ ვინმართ, დიდ ლარსა-
და ხაზს არ მოითხოვს, და მეტად ნათელ სურათს გვაძლევს ზემოდ
გაყოთქმული მოსახრების დასადასტურებლად. ჩვენი მოსახრების
დამადასტურებელ საბუთად მიგვაჩნია აგრეთვე „კაცია ადამიან-
ნი?“-დან ლამაზისეულის შედარება ამავე ნაწარმოების უმნიშვნელო
მოქმედი პერსონაჟის—უსახელო მო ამსახურე, პატარა ბიჭთან.

„სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უწონოდ
ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი, ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა,
ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა—რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამო-
მწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები
სულ მოშალი და შემოფხრეწილი ჰქონდა; დახეულებიდან, გამოჩან-
და ერთი რაღაც დამშალის საბნის ნაგლეჯი; კაბის ქვეშა გარშემო
ჩამოკიდებული, მითომ და იუბკაა, აი, მეხი კი დაგეცა! ამასაც
კი სდომებია იუბკა! თავზე ეკრა შიგადა-შიგ ამოფლეთილი ჩით-
მერდინი, ქალბატონის გამოწვავალი. იმ ამოფლეთილებში მუთაქის
მატყლსავით დასორსვლილი შავი—უკაცრავოდ არ ვიყო—წილიანი და
დაუფარცხნელი თმა მუჭამუჭად ამოშფეროდა. ქუსლებ დახეთქილი, მუ-
გუზალსავით შავი ფეხება, წინგოსაგან შეღებილი ხელები, ცხვირ-პირი
ქვაბების მურით მოთხუზნული—აი, ამგვარი იყო ის ცხოველი, რომელ-
საც დარეჯანი „ლამაზისეულს“ უძახდა და, რომელიც გულხელ-
დაკრეფილი დაჰყურებდა ბალან-გაცვენულ ხალიჩასა“ („კაცია-
ადამიანი?“).

ასეთია „ლამაზისეულის“ გარეგნობა. ვნახოთ, რას წარმოად-
გენდა მისი შინაგანი „მე“, მისი სული, ჭკუა და გონება?

— „რა ნაღველი აქვთ იმისთანა, რომ ავადმყოფს თავი დამანე-
ბებინეს და აგრე საჩქაროთ მიბარებენ?—ჰკითხავდა ლამაზისეულს

გზადაგზა ერთი ტანში მოხრილი, პატარა, მოკუნტული, დაღმრეკი-
ლი ბებერი დედაკაცი.

— რა ვიცი? ხომ იცით, რომ უშვილონი არიან...

— ეგ ხომ მე უშენოდაც ვიცი, რომ შვილი არა ჰყავთ— გააწყვე-
ტინა ოსტატურად გამოქნილმა და ცბიერმა მკითხავმა. სულელს
ლამაზისეულს გაუკვირდა: საიღამ იცისო!

— მაშ ქალაქში რომ მკითხავს აკითხვინებს და ეთქო, თელეთი
ილოცეთო, ისიც გეკოლინება?— უთხრა გოგომა და დააცქერდა გაო-
ცებული, ვნახოთ, რას იტყვისო.

— მაშ, ჩემო კარგო, ჩვენი ხელობა რა არის?...

— თელეთში რომ ვიყავით, ისიც იცით?

— გეუბნები, შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის—მეთქი...

ძალიან უხაროდა გულში მკითხავსა, რომ ამისთანა სულელი
გოგო შეჰხვდა, რომ ზოგიერთი საჭირო ამბავი გზადაგზა გამოა-
თქმევინა. გოგოს კი საშინლად უკვირდა ამისთანა გულთმხილაობა
ამ დედაკაცისა. სულელს ფიქრადაც არ მოუვიდა, რომ თითონ გაა-
გებინა ყველაფერი“ („კაცია ადამიანი?“).

„პატარა შორი-ახლო ძველი, ჭუჭყიანი სამოვარი სდგას, გვერ-
დით დაჩოქილია გოგოზედ უარესად ჭუჭყიანი, დაგლეჯილი პატა-
რა ბიჭი და, რაც ძალი და ღონე აქვს, უბერავს სამოვარსა. ხანდის-
ხან ისეთის სახით გადააპარებს თვალსა იქითკენ, საცა ძალლი გან-
ცხრომითა წევს და მოსვენებაშია, რომ თითქოს შეჰნატრისო მის
ყოფა-ცხოვრებასა და გულში ამბობსო: „ნეტავი შენ, რომ ძალლი
ხარ! ნეტავი მეც ძალლი ვყოფილიყავი!“.

განა ლამაზისეული და ეს „დაფლეთილი ბიჭი“ ერთი სამყა-
როდან არ არიან? განა ორივენი ერთი მოშხამული ჰაერით არ სუნ-
თქავენ? ერთად არ უთენდებათ და ერთად არ უღამდებათ ლუარსაბ
თათქარიძის დიდებულთა „სასახლის“ ჭერკვეშ? განა ორივენი ერთი წრი-
დან—გლეხთა ფენიდან არ არიან? ორივე ყმაა „დიდებულის“ ბატონისა
ერთ წრეში, ერთ გარემოში, ერთ ნიადაგზე „აღზრდილინი“, მაგრამ
აბა, რა აქვთ მათ საერთო, გარდა ჩაცმულობისა? ესენი ხომ ორი სხვადა-
სხვა პოლუსია? ლამაზისეული, მართლაც „ცხოველი“ პირუტყვისაგან
მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მეტყველების უნარი შერჩენია და
ადამიანისათვის დამახასიათებელი სხვა თვისებების ნიშანწყალიც არ
აბადია. ხუთი გრძნობიდან ოთხი უკვე საფუძვლიანად დაუკარგავს
და ლუარსაბ თათქარიძის უბრალო დამატებად ქცეულა. მაგრამ ეს
როდი ითქმის „პატარა დაფლეთილ ბიჭზე“. ეს უსახელო ბიჭი წლო-
ვანებითაც ძალიან შორსაა ლამაზისეულისაგან, მიუხედავად იმისა,

რომ მცირეწლოვანია, იგი მაინც გრძნობს თავისი ბედის უკუღმა ტრიალს, უხმოდ როდი ურიგდება შემაძრწუნებელ სინამდვილეს. არა, მაგრამ ჯერ უღონოა, ჯერ პატარაა და სხვა საშუალება ვერ გამოუძებნია, ძალღის ბედს ნატრობს მხოლოდ. მასში იგრძნობა მომავალი სახე ბლაჭიაშვილისა.

გაუნათლებელი ოჯახის, ძირმომპალი ფეოდალიზმის, საერთოდ, მოუწესრიგებელი გარემოს პირმშოს საუკეთესო სახეს იძლევა ილია თავის „კაცია ადამიანი“ ლუარსაბის და დარეჯანის სახით.

„სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა... ჩვენი ლუარსაბი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში,—რატომ სწავლა არა მაქვს,—სწორედ ამის გამო.“

— ეგ ეხლანდელი ჭირიაო,—იტყოდა ხოლმე გულმტკიცენულ-ლად,—თითქო ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალეზაო...

„დრო გამოიცვალა,—იტყოდა ხოლმე აღმოზნებულ ლუარსაბი,—დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაცა ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!... ჭამით ისინი ვერას სჭამენ, სმით ისინი ვერა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარა ვარ, ქული აღარა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჭკაცის ხელობაა—ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელს დროს! ყველაფერი, მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი“ („კაცია ადამიანი?“).

ასეთი იყო ლუარსაბის ფილოსოფია სწავლა-განათლებაზე და, მართლაც. მისმა „განათლება“ ის ხომ პირუტყვი გახადა, რომელსაც დაჰკარგვია მსჯელობის უნარი, აზროვნების აღლო, რომლის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ბუხების თვლის ცნობილი კომიკური სცენა.

ლუარსაბის გონება ისეა დაჩლუნვებული, რომ „გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო“-ო, ან კიდევ: „პირწყლიანი დედაკაცი არა ყოფილა ეს დალოცვილის შვილი—სთქვა თავის გულში ლუარსაბმა,—მოლექსესავით რა ლამაზად მოაწყო ჩემი გოშობა... რა ენის პატრონია!... როგორ იხერხა?!...“

თითონაც უნდოდა ერთი ამისთანა აღერსი მოეწყო რამ, მაგრამ, როცა ეს გაჭირვება დაადგებოდა, თვალბში სულ ზურგიელი, თართის დოში, არტალა ნივრით და სხვა ამისთანა გაეჩხირებოდა ხოლმე“ („კაცია ადამიანი?“).

ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბ თათქარიძის სახით დაგვიხატა ადამიანი, რომელსაც გრძობა-გონება დაჰლუნგებია, მთლიანად დაჰკარგვია ეს ორი ძვირფასი თვისება ადამიანისა და ადამიანობისა, მაგრამ ის სამაგიეროდ ძლიერია ხორციით, ღონით, ფიზიკურად და სწორედ აქ შეიძლებოდა დიდ მხატვარს ლუარსაბისათვის, როგორც ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანისათვის, ოდნავ მაინც ფიზიკური შრომისადმი მიდრეკილების ელემენტი მიეკუთვნებინა. მაგრამ „კაცია ადამიანი“ ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შრომა მას ესმის როგორც ადამიანის გაკეთილშობილების მთავარი წყარო, ხოლო ლუარსაბი კეთილშობილი კი არა, ადამიანიც არაა საერთოდ.

მართალია, ლუარსაბ თათქარიძე მოკლებული იყო სწავლავანათლებას, მაგრამ ფიზიკურად ბუნებისაგან სომ უხვად იყო დაჯილდოებული, რომ ეს გამოეყენებინა და შრომით ადამიანთა წრეში თავისთვის საპატიო ადგილი დაემკვიდრებინა. მაგრამ ლუარსაბ თათქარიძე ისეთი ტიპია, რომელშიაც თავმოყრილია უკვე გახრწნილი, დარღვეული ფეოდალიზმის დამახასიათებელი თვისებები მისი პოლიტიკური ცხოვრებით, ეკონომიკით, იდეოლოგიით და კულტურით. ილია გვიხატავს მთელს კოლექციას ლუარსაბის ორეულებისას, მისი, ე. ი. ლუარსაბისავე ოჯახიდან—კნენა დარეჯანისა და ლამაზისეულის სახით. რას წარმოადგენს, ვინ არის, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, რა არის კნენა დარეჯანი?

— „ხარი ხართან დაბიო, ან ფერს იცვლის და ან ზნესაო“ — ნათქვამია. ეს ანდაზა არსად ისე გამართლებული არ მინახავს, როგორც თავად ლუარსაბის სახლში. ამისი ძვირფასი მეუღლე კნენა დარეჯანი სწორედ თავისი ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ „ერთი სული და ერთი ხორცი“, როგორც ბძანებს საღმთოწერილი. მერე რა-რიგად: იგივე სიმრგვალე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოციწარი პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულოვანი და ერთხორციანი საკვირველად ტკბილად სცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი“.

კნენა დარეჯანის სახის დახატვით ილიას უღმობელმა სატირამ იუმორის კლასიკური ნიმუში მოგვცა, სადაც ირონიული საღებავებით გამოკვეთილია ლუარსაბის ორეულის ცხოველური სახე.

კნენა დარეჯანი ისეთივე არსება იყო, რა მარგალიტსაც თავადი ლუარსაბ თათქარიძე წარმოადგენდა, როგორც სულიერად, ისე ხორცეულად, როგორც გონებით ისე მორალით, როგორც საქმიანობით, ისე უსაქმურობით. აი, როგორ აგვიწერს ავტორი ამ უქნარა დიასახლისის-ქალბატონის „საქმიანობას“ — „დარეჯანი კი არ

იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი—ამაში კი, ღვთის წინაშე, ისინი ერთმანეთს არა ჰგავდნენ, გამოვიდა, რომ ფერი ერთი ჰქონდათ და ზნე კი არა. რაკი, ბატონო, კნენინა თვალს გააქყეტდა, შავარდენით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადიცვამდა ჩითის კაბასა—ხანდისხან სიჩქარისაგან უკულმაცა—შიშველა ფენს შეიმოსავდა ჩუსტითა და—ჰერი ბიჭო—დაეშვებოდა ჩალურისაჲკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ, ე. ი. ვინაჩრობით და გულში ჩაკეტულ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ. საკვირველიც იყო და სასაცილოც ამ ჩვენის კნენინის ტყუილუბრალოდ ფაცა-ფუცი. ეს ამოდენა დედაკაცი, ჩავოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზე იდგა და გორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯღუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მოვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაქონილს შანდალსა; აქ იმას გაუხყურებოდა—რაზედ? თითონ კნენინამაც არ იცოდა რაზედ; აქ ამას გამოგილანძღავდა—რისთვის? არც ეს იცოდა კნენინამ; დასწყევლიდა, დაჰქოლავდა, დასტუქსავდა—ერთის სიტყვით—მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ, და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა, თუ გოგო დახვდებოდა, ვერ მაითმენდა, რომ ერთი მუჯღუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეხი კი დაგეცა“-საც ზედ დაატანდა“ („კაცია ადამიანი“?).

კნენინა დარეჯანის „შრომის მოყვარეობის“ აღწერას ავტორი იმიტ იწყებს, რომ პარალელს ავლებს ლუარსაბსა და დარეჯანს შორის. სწორედ აქ ილიას დაუნდობელი სატირის მახვილი შეუბრალებლად ამხელს და ანადგურებს იმ საზოგადოებრივ წყობას, რომელსაც შეუძლია შეჰქმნას ცრუ დისახლისის ასეთი მახინჯი სახე, რომლის საქმიანობას ტყუილუბრალო ფაცა-ფუცი, დაუმსახურებელი მუჯღუგუნები შინაყმათა ზურგზე და ქოქოლა „მეხიც კი დაგაყარე“ შეადგენდა.

განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ კნენინა დარეჯანის სახის გამოკვეთისას ილია იძლევა ერთგვარ საღებავს, რომელშიაც თითქოს ივარაუდება შესაძლებლობა იმისი, რომ დარეჯანის სულიერი და გონებრივი სამყარო განსხვავებული იყოს ლუარსაბის „ციტ მონაბერი“ სულისაგან.

— „გოგო ლაშაზისეულო!—დაიყვირა კნენინამ,—წადი, საწერ-კალამი და ქალაღდი, ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათევია, ჩამომიტანი!

მე დაგიწერ ლოცვას, ჩემო ბაბაღევ, დაწერილი ქალაღდი იმ მხარეს-
გადააკარ, რომელიცა სტკივა, ეგრე იყოს ორი-სამი დღეს, თუ
შაკიკია — გააქარწყლებს მაშინვე.

ვერ უყურებთ, მკითხველო! კნენა დარეჯანი მე უსწავლეღი
მეგონა და დახეთ, რაები სკოდნია? ეხლა მომაგონდა, რომ იმისი
განაყოფი რძალი ეღისაბედი, რომელიც ორგანაც მოვიხსენიეთ,
თურმე ჩუმაღ ქვეყანაში ჰლაბარაკობდა, რომ ვითომც დარეჯანმა-
ჯადოობაც იცისო, ვითომც სოლომონ ბრძნის წიგნიც წაეკითხოს
და ამიტომაც ღმერთი უწყრება და შვიღს არ აძღვესო“.

... „ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში. მერე რა-რიგად! ხსნა
არ იყო! ძალიან კი უნდოდა მოეგონა რამ, უნდოდა ეთქვა კიდევ,
რომ „კარაბადინში“ სწერიასო, მაგრამ მოაგონდა, რომ დარეჯანი
უფრო ნაკითხია და ვეღარ გაბედა“.

... „დარეჯანი ჰკვიანი დედაკაცი იყო — როგორც იცის თითონ
მკითხვეღმა („კაცია ადამიანი?!“).

მოტანიღი ციტატებიდან აშკარად ჩანს, რომ „კაცია ადამიანის“
ავტორის სურვიღია — მკვეთრად ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ
ლუარსაბ თათქარიდის წრეში არიან ისეთებიც, რომელთაც რაღაც
სწავლა-განათღება მიუღიათ, წიგნი წაუკითხავთ, მაგრამ იმდენად
უსაფუძღლოა და იმდენად მოჩვენებითია ეს „სწავლა-განათღება“,
რომ მისი ნაყოფი მხოლოდ უმეცრება — ცრუმორწმუნეობაა, რადგან
„განათღებული“ კნენა დარეჯანი ზოგ შემთხვევაში თვით ნეტარ-
ხსენებულ ლუარსაბზეღაც დაბლა დგას. დარეჯანი ხომ შემკულია
ყვეღა იმ „ძვირფასი თვისებებით“, რომღითაც ლუარსაბის დიდე-
ბული სახე ასე ამაყად, „ბრწყინვალედ“ გამოიყურება. ამასთან
ერთად დარეჯანის სასარგებლოდ და მისდა „სასახელოდ“ ისიც
ღაღადებს, რომ ის შესანიშნავი ჰორიკანაცაა.

ასეთია დარეჯანი, ხოლო ორივე ერთად კი „ხშირად შუაღა-
მემღინ ცოღ-ქმარნი, გაცხარებულნი და გაქარხალებულნი ამისთანა
ღრმა აზრებს ამტიციებღნენ: „ღღეს რა ვჭამოთ?“, — იტყოღნენ-
ღიღით. „ხვალ რა ვჭამოთ?“, — იტყოღნენ საღამოზეღ. ეს იყო მათი-
სულღს საზრღო, ეს იყო მათი გონების ვარჯიში, ეს იყო მათი აზრის
აღღბ-მიციმა“.

„კაცია-ადამიანის?!“ ბერსონაყების დახასიათება არ იქნებოღა
სრული, თუ კი გვერღს ავუღღღით თხზუღების წინასიტყვაობას,
საღაც მკვეთრადღა ნაჩვენები ის „ერთ აღაღს გაჩერებულღ გუბე“,
რომელშიც აღიზარღნენ, ცხოვრობღნენ და იღრჩობოღნენ გაზრწნიღი
ფეოღალიზმის პირმშო ლუარსაბი და ლუარსაბები.

— „ვინა ხარ?—ვკითხე მე. რა სულიერი ხარ?—

— კაცი ვარ, ადამიანი, — მომიგო იმან.

— რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხვდებოდი. მართლა კაცი ხარ?

— თავი არ მამიკვდებოდა. კაცი ვარ, ადამის ტომისა, ყმისა და მამულის პატრონი. ლუარსაბ თათქარიძეს მეძახიან.

— თუ ადამიანი ხარ, მაგ დამბალ გუბეში ბაყაყებთან და ჯიან-ყელებთან რა გინდა?

— ბიჭოს! — მაშ სად უნდა ვიყო?

— კაცებთან, თუ კაცი ხარ.

— კაცები არ არიან, რომ აქ არიან? ათასია ჩემისთანა და ათასზე მეტიც, ბრმა ყოფილხარ! ¹⁾.

„კაცია-ადამიანის“ პერსონაჟთა გამოკვეთით ილია ჭავჭავაძემ უეჭველად შესძლო „ტიპიურ გარემოცვაში—ტიპიური სახეები“-ს კლასიკური ნიმუშების შექმნა, რითაც ბრწყინვალედ დაადასტურა მარქსისტული მსოფლმხედველობის ის ურღვევი დებულება, რომ „ადამიანები გარემოსა და აღზრდის პროდუქტები არიან, მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი პირობებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიან“ ²⁾.

ცუდი საოჯახო აღზრდისა და უვარგისი სასკოლო განათლება-სწავლების შედეგად გადაგვარებული ადამიანის კლასიკური ნიმუში აქვს მოცემული ილიას თავის „გლახის ნაამბობში“ ამ თხზულების მთავარი მომქმედი გმირის—დათიკოს სახით.

ვნახოთ, რას წარმოადგენს, როგორია ის წრე, სადაც დაიბადა და აღიზარდა „გლახის ნაამბობს“ — დათიკოს პროტოტიპი — კოლა (იხ. ილიას მიერ თავდაპირველად ერთ რომანად განზრახული, მაგრამ შემდეგ კი სამ მოთხრობად დაყოფილი „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“ და „კაკო ყაჩაღი“-ს ერთიანი ვარიანტები. ტ. I. 1937 წ.).

„კოლა თერთმეტისაც შესრულდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ არსად არ სწავლობდა, რადგანაც დედ-მამამ შემდეგ ღრმა განსჯისა სრულად გადაწყვიტეს რომ კოლასათვის ჯერ ადრეა სწავლა.

სწავლას ყოველთვის მოასწრებო, იტყოდა ხოლმე ღრმა ჭკვის პატრონი ლუარსაბ თათქარიძე... კოლა და მისი ერთგული ამყოლი კაკო ეყარნენ დილიდან საღამომდინ საგამდლოში, ან სამხვარეულოში,

¹⁾ ტ. I გვ. 663; 37 წ.

²⁾ კ. მარქსი, „თენისები ფეიერბახის შესახებ“, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I. გვ. 422.

ან ბიჭებში, რომელთა შორის პირველ დასაწყისის სწავლას მიიღებს ხოლმე ქართველის შვილი და რა სწავლას! მურტალ სიტყვებს... ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ნებიერ კოლას წვენი ეცოტავებოდა. „ცოტაა, ცოტა! არ მინდა, არ მინდა,—დაიწუნებდა ხოლმე ბუტიობით და ცხვირჩამოშვებით ბუტია კოლა... გადაჯარდებოდა გულდაღმა, ჩაჰყობდა ფეხებს მათლაბაში და აჰყაპუნებდა ყვირილ-კივილით:

— „ცოტაა, ცოტა, არ მინდა, არა!... თავად ლუარსაბი ღიმილით უყურებდა ხოლმე თავის პატარა კოლას, ხანდისხან ბევრსაც იცინებდა: —აი, დასწყევლოს ღმერთმა, რა ეშმაკია!... ჩვენს საგვარეულოს სულ დაღუპავს“.

ყმაწვილის ამ უმსგავსო საქციელით კმაყოფილი და აღფრთოვანებული „ბედნიერი“ მშობელი თავის თავს იმით იმშვიდებდა და ინუგეშებდა, რომ მას ენადებოდა პირუტყვეული ჩვევის შვილი, რომელიც „საგვარეულოს სულ დაღუპავს“, და ამის ნაცვლად, რომ ბავშვისათვის შთაეგონებინა ადამიანური ჩვევა ზნეობრივის საქციელისა, „ჩაისვამდა კალთაში თავის შვილს და ამ-რიგად, უკითხავდა რა მორალსა, გაუხსნიდა გონებას პატარა კოლასა.

— ცემი კოლა, —ყმაწვილს გამოაჯავრებდა ლუარსაბი, —ცემი კოლა რო გაიზღდება, ღიმნაზიაში წავა...

— ლა აღის ღიმნაზიაში? —ჰკითხამდა ცნობისმოყვარე ბავში.

— ღიმნაზია სასწავლებელია, შვილო! იქ სულ რუსები არიან, სულ ჯოხით ხელში დადიან, ვინც კარგად არ ისწავლის, როზგითა-სცემენ, პურს არ აჰმევენ, ბნელ ოთახში ჩასმენ ეშმაკებთანა, —ღრმა გონიერებით მიუგებდა ხოლმე მამა ცნობისმოყვარე შვილსა“.

ასეთი „ბრძნული“ დარიგებით „გონიერი“ მშობელი ისედაც მოშხამულ ჰაერით მსუნთქავ უზნეო კოლას გადაამიანების უკანასკნელ საშუალებასაც უსპობდა. აძღვლებდა სასწავლებელს, რომელსაც ავად თუ კარგად მაინც შეეძლო დაეყენებია იგი—გაადამიანების გზაზე მართლაც, გულშემატკივარი მამის ამ „მშობლიურ“ დარიგებას თავისი ნაყოფი მოჰყვა: „იქ არ წავალ, არ წავალ!... —შეჰყვირებდა ხოლმე შეშინებული კოლა. ისეთი გულამომჯდარათ ტიროდა, რო ასე გონია ეხლავე იმ ჯოჯოხეთში გზავნიანო. გამოვარდებოდა დედა ოთახიდან შვილის ყვირილზედ. საწყალი შეშინებული კოლა სიბრალულის და საცოდავ სახით მიუბრუნდებოდა დედასა და ეხვეწებოდა: „დედაჯან! —სენი წილიმე, სენი კუწისა, იქ წუ გამისვებ“... კანკალითა და თრთოლით წამოიძახებდა საწყალი ბავში.

და მივარდებოდა დედასა და შეჭყურებდა თვლებში, თითქო იქ უნდა წაეკითხაო თავის ბედისწერის გადაწყვეტილება“-ო¹⁾).

ასეთია „ბრძენი“ მამის „გონივრული“ დარიგების პირველი ნაყოფი. ვნახოთ შემდეგი: „როცა სალამო ეამხედ შეიყრებოდნენ ხოლმე ლუარსაბის სახლში ან სადარბაზოდ, ან სტუმრობა ჰქონდა ლუარსაბს, უნდა გენახათ მაშინ ჩვენი კოლა რა ბედნიერებაში იყო!... ამოიყვანდნენ პრუწუნით ოთახში, დედა ჩაისვაჰდა კალთაში და ეტყოდა: — „აგე ძია რას გეუბნება, აბა შენც უთხარი რამე, ჩემო, კარგო“!... ამასთან რალაცას წაუფურჩულებდა ხოლმე კეთილი დედა პატარა ბავშსა. ჰკვიანი კოლა ჯერ მორცხვობდა; ახლა მამა გამოუვლიდა ჩიბუხის წევით პატარა კოლასა... — „აბა, — ეტყოდა მამა, — ერთი შენებურად შეუკურთხე შენ ბიძის!“...

გათამამებული მამისაგან კოლა მართლაც შეუკურთხამდა, მერე ასე-რიგად, რომ აქ არ ითქმის ჩემო მკითხველო! ასტყდებოდა სიცილი, ქება პატარა კოლასი, კოცნა და ხვევნა კმაყოფილი და ბედნიერი დედისა, რომელსაც არ ესმოდა, რომ აქვე დედის კალთაში საუკუნოდ ხდება და ირყვნება „ვილი“²⁾).

შეტად მუქ ფერებშია დახატული ჩვეულებრივი იმ დროისათვის დამახასიათებელი შემზარავი სურათი, რომლისგანაც, სამწუხაროდ, შესაძლებელია დღევანდლობაც არ იყოს დაზღვეული. დღესაც კი არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა პატარა ბავშს, რომელიც ეს-ეს არის ენას იდგამს, ჩვეულებრივ ბავშვისათვის დამახასიათებელი ენაჩლუნგობით ძლივსლა ახერხებს ზოგიერთი სიტყვის გამოთქმას, ასწავლიან საგინებელ-სალანძღავ სიტყვებსა და ამით იღებენ თავისებურ „სიამოვნებას“, იმას კი ანგარიშს არ უწევენ, რომ, თვით ილიას გამოთქმისა არ იყოს, ირყვნება, ხდება ბავში.

¹⁾ ტ. I. გვ. 626—1937 წ.

²⁾ ტ. I. გვ. 628.

რა შეხედულებისაა ილია აღმზრდელ-მასწავლებელზე?

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის—კარლ მარქსის ცნობილი დებულება— „აღმზრდელი თვით უნდა იყოს აღზრდილი“— ილია ჭავჭავაძის კონცეფციის ამოსავალი წერტილია. იგი აღმზრდელი—მასწავლებლის დანიშნულება-ამოცანებს დაახლოებით შემდეგნაირად განსაზღვრავს.

1. მასწავლებელი უნდა იყოს სპეციალურ საგანს (რომელსაც ასწავლის) საფუძვლიანად დაუფლებული, მისი საუკეთესო მკოდნე.

2. აღმზრდელი უნდა იყოს არა მარტო საუკეთესო სპეციალისტი თავისი საგნისა, არამედ კარგად დაუფლებული პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას და, განსაკუთრებით, დიდაქტიკას.

3. იგი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავის მოვალეობას.

4. საქმისათვის თავდადებული და მოვალეობის ბეჯითად შემსრულებელი.

5. პირად ცხოვრებაში თუ საზოგადოებრივი ხასიათის საქმიანობაში ყველასათვის მისაბაძი, სანიმუშო მაგალითის მაჩვენებელი.

6. აღმზრდელი-მასწავლებელი მოვალეობის შესრულებას უნდა შეუდგეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა საფუძვლიანად გაიცნობს აღზრდის ობიექტს, და კარგად გაერკვევა იმ ვითარებაში, რომელიც განსაზღვრავს მის საქმიანობას.

ილია ჭავჭავაძე აღზრდასა და სწავლას ერთიმეორეს არ აშორებს და სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ თუ ადამიანს ან ერთი ან მეორე აკლია, მისი განათლება, თუ განვითარება სრული არ იქნება. ამიტომ იგი სკოლისა და აღმზრდელი-მასწავლებლის წინაშე აყენებს ამოცანას: აღზრდა და სწავლება ურთიერთთანფარდობაში უნდა იყოს, ერთი მეორეს ავსებდეს, ერთი მეორეს ეხმარებოდეს. მისი სიტყვით: „სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწუროთვნიდეს კიდევ ბავშუსა და ასწავლიდეს კიდევ წუროთვნა და სწავლა ხელი-ხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში... საესება ერთობ ადა

მიანისა იმაშია, რომ მისი გონების აღმატებულებას შეწონილი ჰქონდეს აღმატებულება ზნეხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნაშუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადაუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა. გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობითა და უხასიათობით არის ავი ზნეუწვრთნელი სწავლული კაცი.

ქეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და გაწვრთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად¹⁾.

ამრიგად, ილია უარყოფს ცალხმრივ განათლებას და აღზრდას-ყრძის ზნე-ხასიათის წრთენის პროცესში იგი განსაკუთრებით ამხვეილებს ყურადღებას აღმზრდელ-მასწავლებლის აქტიურ როლზეც „რასაკვირველია, ზნე-ხასიათის წარსანატებლად წურთენას სკოლაში თავის საკუთარი გზაცა აქვს, თავის საკუთარი სახსარიცა. ამ შემთხვევაში დიდად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს გამგეობას სკოლისას საერთოდ და ოსტატსა და მოხელეს ცალკე. ამ შემთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა“²⁾. ამის საილუსტრაციოდ ილიას მოყავს ამონაწერი რომელიღაც უცნობი თხზულებიდან³⁾:

„იმის დასამტკიცებლად თუ, რა-რიგად ლბილია ბუნება ბავშვისა და რა ადვილად შესაძლოა ბავშს შთააგონოს კეთილი, თუ გონება ვახსნილი კაცი ხელსა ჰკიდებს საქმეს და სიყვარულით ეძღევა თავის დანიშნულებას, შემდეგი მომხდარი ამბავია. ამ რამდენსამე წლის წინათ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გაათავა უნივერსიტეტი თუ არა, ოსტატის თანამდებობა მიიღო ერთ სასწავლებელში. პირველი გასაკვეთი ერგო საშუალო კლასში, საცა უფრო მოზრდილნი შეგირდები არიან, ე. ი. ბავშობიდან ყრმობაში ვადამდგარნი, ამ ხანში ყმაწვილები უფრო ცელქები და მოუსვენარნი არიან. დირექტორმა აუწყა ბავშვებს ახალის ოსტატის ვინაობა, თითონ ოსტატმაც-ორიოდ ტკბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და დაუყოვნებლივ შეუდგასწავლების საქმეს. გასაკვეთის ახსნის დროს დასჭირდა

1) ტ. VIII. გვ. 317-318.

2) იქვე გვ. 319.

3) ჩვენი ღრმა რწმენით „ამონაწერის“ ავტორი თვით ილიაა, მხოლოდ მკითხველზე მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად იგი მას სხვას მიაწერს.

კლასის დაფაზე წერა. როცა წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ზურგ-შექცეული იქნებოდა და შევირდებს ვერა ჰხედავდა. ამ დროს და თას მოხვდა და ზედ დააჯდა დაღეჭილი ქალაღი, რასაკვირველია, ერთ-ერთის შევირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არც კი მოიხედა და განაგრძო წერა მითამ-და საყურადღებო არა მომხდარა-რაო. როცა გაათავა წერა, მოუბრუნდა შევირდებს და უთხრა: „ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი გასაკვეთია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ, სამართალსა ვთხოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინდისსა. აბა იფიქრეთ, — მას შემდეგ, რა უპატიურობაც მომაცინა ერთმა თქვენთაგანმა, — რა გამწარებული გრძნობა უნდა გამკვეს მე თან თქვენს კლასიდან, საცა ჩემს სიცოცხლეში პირველად დავიწყე სწავლება შევირდებისა. მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში. რა საჭიროა!... დეე განიკითხოს ის იმისავე სინდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის გაუპატიურებელის საქციელი, რომ მაჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი.

იქნება, თქვენის სიყვარულის ღირსი გამოვდგე. ჯერ გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ. დიაღ, ბატონებო, სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოსვლა საპედაგოგო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო. ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავეი სახელი რომ შევიტყო, — ვინ იცის, მეც კაცი ვარ — იქნება გულში იმისი ჯავრი ჩავიყოლიო და ჯავრმა ცოტად თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს“.

„როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, შევირდებში ჩუმი ჩოჩქოლი ასტყდა. დაიწყეს აქეთ-იქით ჩურჩული, ერთი მეორეს რალაცას ეუბნებოდა, მეორე-მესამეს და ეგრე მთელს კლასს აცნობეს ერთმანეთის გულის პასუხი. ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოსტატს:“ ნება მომეცით მე, მოვითხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ: ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვაპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანისა“. ოსტატმა სიხარულით მიიღო ბოდიში და გამოუცხადა, რომ სამუდამოდ დავიწყებას მიეცეცი ეს ამბავი და გულიდამ ამოვიღეო. ამ დღის შემდეგ ამ ახალგაზრდა ოსტატის საქმე ისე კარგად გაიმართა, რომ უკეთესი არ უნდოდა: ძალიან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა თავის შევირდებისაგან მთელს ხუთსავე კლასში, რომელშიაც იგი ასწავლიდა“¹⁾.

1) ტ. 8. გვ. 319—320—321.

ეს შესანიშნავი, პედაგოგიკურად საკლებით გამართლებული მაგალითია¹⁾.

როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. გ. თავიშვილი, თვით ილია ამ ამონაწერს დასკვნის სახით შემდეგი მართებული შენიშვნით ამთავრებს: „ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშვის გაადამიანებაზე, ვიდრე სამისა და ოთხი წლის ზეპირება გრამატიკისა თუ სხვა რისამე ამისთანისა“²⁾.

პედაგოგიკური პროცესი მეტად სერიოზულია, რთულია და ყველა შემთხვევაში როდი მიმდინარეობს წინასწარ ნაგარაუდვე გეგმის მიხედვით. იგი რიგი მოულოდნელობით ხასიათდება, ხშირ შემთხვევაში მარცხითაც შეიძლება დამთავრდეს, თუ კი მასწავლებელი მოწოდების სიმალლეზე არ აღმოჩნდება. სხვა მხარეთა შორის, პედაგოგიკური ოსტატობის ერთი ძირითადი მხარეთაგანი სწრაფ ორიენტირებაში, შექმნილი სიტუაციის უმალ გარკვევაში მდგომარეობს. ამ საკითხს ილია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ზემომოყვანილი ამონაწერიც ძირითადად ამას ემსახურება.

ილია მტკიცედ მოითხოვდა, რომ აღმზრდელ-მასწავლებელი პირველ რიგში თვით უნდა იყოს ყოველმხრივ აღზრდილი, რათა შესძლოს თავი გაართვას იმ უდიდესსა და ურთულეს ამოცანას, რომელიც მის წინაშეა დასმული. „ქვეყნის მყობადის, მისი მერმისის“, მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების მართებული გზით წარმართვის საქმეში მას კემშარიტად მიაჩნდა აზრი: „სწავლას ნურას დააბრალებთ, თუ ვერ იქმნა შვილი წრთენილი, ცემა გმარებთ გამზრდელისა, რა ურმა ნახოთ ავად ზრდილი“³⁾.

საზოგადო გამოსვლებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში, რომლებშიაც ილია სწავლა-განათლების პრობლემებს ეხებოდა, მასწავლებელ-აღმზრდელის საკითხს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და მასწავლებელი, როგორც სწავლა-აღზრდის პროცესის შაორგანიზებელი, წამყვან და პასუხისმგებელი, ცენტრალურ ფიგურად ჰყავდა წარმოადგენილი. განსაკუთრებით საინტერესოა აღმზრდელ-მასწავლებლის სახე ილიას დაუშთავრებელ ეტიუდში „უცნაური ამბავი“ (მთავარი მომქმედი პირი სოლომონი) და „გლახის ნაამბობში“ (მოძღვარი).

სოლომონის შესახებ ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი, ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ თვით ილიამ წერა-კითხვა სოფელში სასულიერო

¹⁾ ტ. 8. გვ. 321.

²⁾ ტ. I. გვ. 118. 1937 წ.

პირთან შეისწავლა, მაშინ გასაგები იქნება, თუ რატომ დახატა ასე წარმტაცად „გლახის ნაამბობი“-ს ავტორმა მისი მოძღვარი. ამ შემთხვევაში თვით ილიას მოწმობა განა ყველაზე მეტად დამაჯერებელი არ იქნება?

— „სწავლა რვა წლისამ დაეიწყე ჩენი სოფლისავე მთავართან ქართულის წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგაჲ იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელ თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილათ გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოექმედნა, ვის რა ფალაენობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოს... სასარგებლოდ და დასაცველად.

ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის „ღმიტრი თავდადებული“ თემად გამოვიყენე მრავალს წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადათ ამჩინე-ვია კვალი მთავრის ამბების გავლენისა ¹⁾ (ხაზი ჩვე-ნია შ. კ.)

ცნობილია, რომ საერთოდ სამღვდლოება თავის დროზე პროგრესიულ როლს თამაშობდა ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში. ასეთი მისიის შესრულება, ალბათ, ქართველ სამღვდლოებასაც ხედა წილად და, ბუნებრივია, რომ ამ სამღვდლოებაში მოიპოვებოდნენ ისეთნიც, რომელთა საქმიანობა მეტნაკლებად „გლახის ნაამბობის“ მოძღვარს დაემსგავსებოდა.

„გლახის ნაამბობი“-ს მოძღვარი მრავალ მხრივად მოსაქმე ადამიანია, მაგრამ მთავარია მასში ის, რომ იგი აღმზრდელ-მასწავლებელია; შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მხარე მისი მოღვაწეობისა სჭარბობს მის პირდაპირ მოვალეობასაც კი.

„გლახის ნაამბობის“ მოძღვარი, როგორც აღმზრდელ-მასწავლებელი უნაკლოა, ცხადია, „სასწავლებლის“ იმ სახეობასთან შეფარდებით, რომლის ხელმძღვანელიც თვითონ იყო.

მაინც რა არის დადებითი თვისება, რომლითაც აღქურვილია მოძღვარი? პირველი და მთავარი ამ მხრივ, რასაც ილია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და სრულიად სამართლიანად იც, ეს არის აღმზრდელ-მასწავლებლის ყოფაქცევა, და მოძღვარი ამ გაგებით ხომ სანიმუშო და მისაბაძია.

¹⁾ „განათლება“ № 1. 1903 წ. გვ. მე-2.

შეორე დადებითი თვისება აღმზრდელ-მასწავლებლისა მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებაა. მოძღვარი აქაც უხადლა. იგი თავისი მოვალეობის ზედმიწევნით კეთილსინდისიერად შემსრულებელია. ამასვე მოითხოვდა სხვისაგან, თავისი შევირდებისაგანაც: „ეგა სჯობია ჩემს ნახვასა, ჩემო გლახავ! შენს საქმეზედ იყავი ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ დემერთაც მადლობელი იყოს და კაციც. რასაც ვიკისრებთ, ის უნდა აეასრულოთ კიდევ. ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი. ჩემი ნახვა, ძმავ, ისე საჭირო არ-არის: არა კაცი იმდენ სიკეთეს არ მოგცემს, რამდენადაც შენის ვალის ასრულება („გლახის ნაამბობი“).

მესამე დადებითი თვისება და აღმზრდელ-მასწავლებლის საქმიანობისათვის აუცილებელი პირობა — საფუძვლიანი ცოდნაა, მოძღვარი აქაც თავისი მოწოდების სიმალლეზე დგას. მას მშვენივრად ესმის მოსწავლის მომზადებისა და ასაკთან შეფარდებით შესასწავლი მასალის შერჩევის აუცილებლობა და პრაქტიკულადაც ჩინებულად ანხორციელებს მას: „მომიჯდა გვერდით, გადამიშალა თითონვე რამდენიმე ფურცელი და მომცა. დაეხედე იმ ადგილს, სადაც იითი დამიდო, ეწერა: „ამბავი პირველი როსტევიან არაბთა მეფისა“.

— მე ვუთხარი: რატომ თავი დამ არ მაწყებინებ?

— ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზედ უნდა („გლახის ნაამბობი“).

აღმზრდელ-მასწავლებლის სწორი მეტყველება და მართებულად ახსნა-განმარტება ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი მხარეა პედაგოგის პედაგოგობისა. „გლახის ნაამბობის“ მოძღვარი ამ ძვირფასი თვისებითაც უხვად არის დაჯილდოებული. აი როგორ გადმოგვცემს ამას ავტორი გაბროს პირით: „ის ბევრგან შემაყენებდა ხოლმე და მკითხავდა: „გესმისო“? თუ ვეტყოდი „მესმის“, ხომ კარგი, თუ არა და მომიყვებოდა და თითონ იმ წიგნზედ უარესად არ მელაპარაკებოდა“.

ილიას გაგებით, დიდია ისეთი ტიპის სასწავლებელთა მნიშვნელობა, რომლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი „გლახის ნაამბობის“ მოძღვარი იყო (ივარაუდება ილიას დროინდელი სინამდვილე), რადგანაც მათი შემწეობით შესაძლებელი ხდებოდა ახალგაზრდებში წერა-კითხვის გავრცელება. „დედა-ენას ასწავლიან და წერა-კითხვას ავრცელებენ“-ო,—აცხადებდა ილია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ სასწავლებელთ სამოქმედო არენა ძალზე შეზღუდული ჰქონდათ. მისი აღსაზრდელთა კონტინგენტი შემთხვევით შეკრებილი ერთეულებისაგან შესდგებოდა და პროგრამაც მხოლოდ

წერა-კითხვის სწავლებით განისაზღვრებოდა, მართალია, ახალგაზრდობაში ამ გზით წერა-კითხვის გავრცელებას დიდი სარგებლიანობის მოტანა შეეძლო, როგორც ამას თვით ილია აცხადებს, მაგრამ არსებითი ნაკლი ამ „სასწავლებლისა“ იმდენად საგრძნობია, რომ შესაძლებელია ხშირ შემთხვევაში მთლიანად დაჰფაროს მისი დადებითი მხარე. ეს უარყოფითი მხარე მდგომარეობს შევირდთა დაკომპლექტების უსისტემობაში, განსაკუთრებით შევირდთა ქრელ შემადგენლობაში. ამას კარგად გრძნობს თვით მოძღვარი და მდგომარეობის შესამსუბუქებლად თავისებურ ღონისძიებას მიმართავს: „შენ, ჩემო გაბრიელ, შავარდენი ჰყოფილხარ“. — მიმართავს მოძღვარი გაბრიელს. — „მე და შენ უნდა ცალკე ვიაროთ: სხვა შევირდები ტაატიო მიდიან, შენ კი მირბი. ამას იქით ისინი დილაობით ივლიან, და შენ კი საღამოობით მოდი ხოლმე. მოდი, მოუუჯდეთ წიგნსა, შენ მე წამახალისე, მე კიდევ შენ წაგახალისებ“ („გლახის ნაამბობი“).

სამწუხაროდ, მოთხრობაში არ ჩანს დანარჩენ შევირდთა სწავლების ხანგრძლივობა, მათი მომზადების დონე და არც მათი ასაკობრივი მდგომარეობა. რომ ეს მონაცემები მოთხრობაში ხელშესახებად იყოს წარმოდგენილი, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ეს საკითხი სპეციალური მსჯელობის ობიექტი გამხდარიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას მოკლებული ვართ.

თვით სწავლების ფორმა და სასწავლებლის ორგანიზაცია, რომლის ფონზე მოცემულია „გლახის ნაამბობი“-ს მოძღვრის სახე, როგორც აღმზრდელ-მასწავლებლისა, იმდენად ვიწრო რეალშია მომწყვდეული, რომ სრულყოფილ აღმზრდელ-მასწავლებლის სახის შექმნის შესაძლებლობა „გლახის ნაამბობის“ ავტორს არ ჰქონდა, მაგრამ მოძღვრის ხასიათში აღმზრდელ-მასწავლებლისათვის საჭირო აუცილებელ დადებითი თვისებათა კონცენტრირებით. ილიამ უეჭველად შექმნა თავისი დროისათვის შესაფერისი სათნო სახე მისაბაძი და სანიმუშო აღმზრდელ-მასწავლებლისა.

ილია ჭავჭავაძის შემწავლისათვის საშუალო სკოლაში

„სიძნელე იმის გაგებაში კი არ მდგომარეობს: ბერძნული ხელოვნება და ეპოსი, რომ განვითარების განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმებთანაა დაკავშირებული. სიძნელე იმის გაგებაშია, რომ ისინი ჩვენ კიდევ ხელოვნებითს სიამოვნებას გვაგრძობინებენ და განსაზღვრულის მხრივ ნორმისა და მიუწევდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“¹⁾.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი კ. მარქსი ასე აფასებდა ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელობას საერთოდ, როგორც მახვილ იარაღს ადამიანის აღზრდის, ჩამოყალიბების და მხოლიანად განვითარების საქმეში.

უპასუხებდა რა კითხვაზე რაში მდგომარეობს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, დიდი ლენინი სწერდა: „ლიტერატურული საქმიანობა არ შეიძლება იყოს ცალკეული პიროვნებისა ან ჯგუფების გამორჩენის იარაღად, ის უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილად, „ბორბლად და ხრახნად“ ერთი მთლიანი დიადი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მუშათა კლასის შეგნებულ ავანგარდს უნდა მოჰყავდეს მოძრაობაში“²⁾.

დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მწერალს სულის ინტენერი უწოდა. მარქსიზმის კლასიკოსების ეს უაღრესად მეცნიერული შეხედულებანი მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობაზე მთელი საბჭოთა ხალხის, მოწინავე კაცობრიობის პროგრესიული იდეების გასაღებია. ამიტომაც არის დაუფასებელი მხატვრული ლიტერატურის როლი ახალთაობის, უკლასო საზოგადოების მშენებელთა არმიის კომუნისტური მორალით აღზრდის საქმეში.

თავის ისტორიულ გამოსვლაში, პარტიის მე-16 ყრილობაზე, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭოთა კავშირში არის შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალურ კულტურათა

¹⁾ К. Маркс — „К критике политической экономии“, стр. 43. 1932 г.

²⁾ „Ленин о литературе“, стр. XXX. М. 1941 г.

ბეჭედავების პერიოდში... ნაციონალურ კულტურათა განვითარება უნდა გაიშალოს ახალი სიძლიერით დედაენაზე საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების შემოღებით და დამკვიდრებით... მხოლოდ ნაციონალურ კულტურების განვითარების დროს შეიძლება ჩამორჩენილი ეროვნებანი ნამდვილად ეზიარონ სოციალისტური მშენებლობის საქმეს... ხელი უნდა შეეწყოთ ნაციონალურ კულტურებს განვითარდნენ და გაიშალონ, გამოავლინონ მთელი თავისი პოტენცია, რათა შეექმნათ პირობები მათი შედუღებისათვის ერთ საერთო კულტურაში ერთი საერთო ენით“...

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ეს ბრძნული მითითება უდიდესი სერიოზულობით აყენებს გადაუდებელ ამოცანად მთელი საბჭოთა პედაგოგიკური აზროვნებისა და სახალხო განათლების ორგანოების წინაშე საკითხს ახალი თაობის, კომუნისმის მშენებელთა ძლიერი არმიის აღზრდის საქმეში კაცობრიობის მიერ დაგროვილი მდიდარი გამოცდილების ყოველმხრივად გამოყენების შესახებ.

საბჭოთა სინამდვილეში, ჩვენს სკოლაში ლიტერატურის სწავლების დედაზრი იმაშია, რომ მისი საშუალებით ახალგაზრდობას, ერთი მხრივ, დავანახოთ წარსული მთელი თავისი შინაარსით, ხოლო, მეორე მხრივ, მარქსისტულ-ლენინური კონცეფციით გაშუქებული მხატვრული ლიტერატურული ფაქტების ათვისების გზით ავლზარდოთ იგი სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით, ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისადმი ღრმა ერთგულების გრძნობით, რომ ამით იგი გახდეს სოციალისტური მშენებლობის ერთუზიასტი, უკლასო საზოგადოების აქტიური მშენებელი, მუშათა კლასის, მოწინავე კაცობრიობის პროგრესიული იდეებისათვის მებრძოლი, შეიარაღებული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მტკიცე ცოდნით.

საბჭოთა სკოლა ამ მოწოდების სიმამლზე მაშინ დადგება, თუკი იგი მებრძოდ, შეუწელებლივ, თანმიმდევრობით და თავდადებით იბრძოლებს იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც დასმულია სტალინური ეპოქის სასკოლო განათლების წინაშე. ცხადია, ამ ამოცანის განხორციელებისათვის პირველყოვლისა საბჭოთა სკოლაა მოწოდებული; ძირითადად საბჭოთა სკოლაა ის კერა, სადაც უნდა აღიზარდოს კომუნისტური მორალის მაღალი სულის მქონე, ყოველმხრივ განვითარებული მოქალაქე-ადამიანი.

მართალია, საბჭოთა სკოლა ის ბაზაა, რომელმაც უნდა შექმნას წინამძღვრები, ყველა პირობა ყოველმხრივ განვითარებული მოქალაქის, სრულყოფილი ადამიანის აღსაზრდელად, მაგრამ შეცდომა

ბქნებოდა ყველაფერი ეს მარტო სკოლისათვის დაგვეკისრებინა. კაპიკავშირისა და პიონერთა ორგანიზაცია, მშობელთა წრე, განსაკუთრებით ოჯახი და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა სახავდნენ საბჭოთა სკოლის წინაშე დასმული ამოცანების შესაბამის ღონისძიებებს და იბრძოდნენ ამ ამოცანების სრულად და უნაკლოდ განხორციელებისათვის. ამის გარეშე სკოლის წინაშე დასმული უდიდესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა ახალთაობის კომუნისტური მორალით, ყოველმხრივ განვითარებული, სრულყოფილი ადამიანის-მოქალაქის აღზრდისა ისევ ამოცანად დარჩება.

სკოლის საქმიანობის სასურველი ეფექტიანობა დამოკიდებულია მტკიცე სასწავლო გეგმებსა და მეცნიერულ-პედაგოგიკურად შედგენილ სტაბილურ სასწავლო პროგრამებზე. ეს უდაოდ კემშარიტი დებულებაა, პრაქტიკით შემოწმებული და გამართლებული. მაგრამ ისმის კითხვა: უპასუხებენ და აკმაყოფილებენ თუ არა ჩვენი სკოლის სასწავლო გეგმები და პროგრამები იმ გაზრდილ მოთხოვნილებებს, რომლებიც დასმულია საბჭოთა სკოლის წინაშე?

ოქტომბრის რევოლუციის პირველი პერიოდიდან, უკანასკნელი წლების ჩათვლით, პროგრამების განვითარების ისტორიის მოკლე ექსკურსიც კი ნათელჰყოფს იმ დიდ მიღწევას, რომელიც ამ მხრივ ჩვენს სკოლას გააჩნია.

განსაკუთრებით უდიდესი გარდატეხა მოხდა და საბჭოთა სკოლა ამ მხრივ მავარ საფუძველზე შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წ. 5 სექტემბრისა და 1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილებათა შედეგად. მაგრამ, სამწუხაროდ, მთლიანად როდია ლიკვიდირებული ის ნაკლი, რომელზედაც 25 აგვისტოს ცნობილი დადგენილება მიუთითებდა: „პროგრამები გადატვირთულია სასწავლო მასალით, რაც იწვევს იმას, რომ სკოლაში მთელ რიგ დისციპლინებს გადიან ნაჩქარევად და ბევრები მტკიცედ ვერ ითვისებენ ცოდნასა და ჩვევებს (მათემატიკაში—სტერეომეტრიის განყოფილება მე-7 კლასში, ლიტერატურაში—სასწავლო პროგრამებში ბავშვთათვის დაუძლეველი ნაწარმოების შეტანა და სხვა)“.

მართალია, 1932 წლის სასწავლო პროგრამებთან შედარებით შემდეგიდროინდელი პროგრამები გაცილებით უფრო გამართულია მეცნიერულ-პედაგოგიკურ მოთხოვნილებათა აწვალსაზრისით, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, მოქმედი პროგრამები ჯერ კიდევ არ არის დაზღვეული არსებითი ხასიათის ნაკლოვანებათაგან.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილებაში განსაკუთრებით ხაზგასმითაა აღნიშნული მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამის გაუმჯობესების აუცილებლობა: „მშობლიური ენის პროგრამამ უნდა უზრუნველჰყოს ცოდნის ნამდვილი სისტემატური, ზუსტად, განსაზღვრული წრის შეთვისება, აგრეთვე სწორი კითხვის, წერისა და ზეპირი გადმოცემის მტკიცე ჩვევების შეთვისება, ამასთან მოსწავლეთა სასწავლო მუშაობის პრაქტიკაში შეტანილ უნდა იქნას დამოუკიდებელი წერითი მუშაობა, გრამატიკული გარჩევა და სხვ. როგორც სკოლაში, ისე სახლში“.

„საკვიროდ ჩაითვალოს საზოგადოებათმეცნიერების, ლიტერატურის, ვნების, გეოგრაფიის და ისტორიის პროგრამებში იმ უმნიშვნელოვანესი ცოდნის შეტანა, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალურ კულტურებს, მათ ლიტერატურას, ხელოვნებას და ისტორიულ განვითარებას“.

როგორ უპასუხებენ ამ უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს ახალი სასწავლო პროგრამები?

საბჭოთა სკოლის ყველა სასწავლო დისციპლინის პროგრამების განხილვა ჩვენი თემის საგანს არ შეადგენს და ამიტომ ვიფარგლებით მხოლოდ მშობლიური ლიტერატურის პროგრამის განხილვით, ისიც ნაწილობრივ, რამდენადაც ეს აუცილებელია ჩვენი თემის ძირითად საკითხთან დაკავშირებით.

ნიმუშისათვის ავიღოთ უკანასკნელი წლების ორი უახლესი დოკუმენტი: „იარსრული საშუალო და საშუალო სკოლების პროგრამები“ (ქართული ენა და ლიტერატურა, მე-5—10 კლ., 1941 წ.) და „შეიდწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები“ (ქართული ენა და ლიტერატურა მე-5—10 კლ. 1944 წ.).

ამ პროგრამების (1941 წ. და 1944 წ. გამოცემა) განხილვისა და მათი ურთიერთთან შედარებისას თვალსაჩინოდ შეინიშნება შემდეგი ძირითადი დეფექტი:

ა) განმარტებითი ბარათი, რომელიც თან ახლავს ლიტერატურის პროგრამას, მეტად მკრთალია, მოკლე და მეთოდურად არაფრის მთქმელი. ენისა და ლიტერატურის პროგრამები ერთადაა დაბეჭდილი. ქართული ენის პროგრამას იქვე ახლავს საკმაოდ ვრცელი, დასაბუთებული და შედარებით მართებული მოსაზრებებიდან გამომდინარე განმარტებითი ბარათი, სადაც მითითებულია პროგრამაში წარმოდგენილი მასალის თანმიმდევრობით დალაგების პრინციპზე, რაც მთაყარია, ნაჩვენებია, თუ რა ხერხითა და წესით, რასთან დაკავშირებით და რა თანამიმდევრობით უნდა ისწავლებო-

დეს პროგრამით გათვალისწინებული მასალა. მაგ.: „წინადაცემის წევრთა მიმოხილვას რომ შემასმენელით ვიწყებთ, ეს აიხსნება ქართული ზმნის თავისებურებით: სამი წევრი (ქვემდებარე, პირდაპირ და ირიბი დამატება) ზმნის პირიანობით არის განსაზღვრული. რამდენი პირიც არის წარმოდგენილი ფორმაში (ერთი, ორი თუ სამი) იმდენივე უნდა ახლდეს მას ამ სამ წევრთაგან. წინადაცემის წევრთა გავლის შემდეგ საჭიროა გავლილი იქნას შემასმენელის შეწყობა რიცხვში ქვემდებარესთან, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს“ (ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები, გვ. მე-6 — 7, 1941 წ.) აღნიშნულ პროგრამაში ანალოგიურად წარმოდგენილია რიგი განმარტებები. ეს პროგრამის ღირსებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის ლიტერატურის პროგრამის შესახებ.

სასურველი იქნებოდა, რომ ლიტერატურის პროგრამის განმარტებით ბარათი შედგენილი ყოფილიყო ანალოგიურად ენის პროგრამის განმარტებები ბარათისა. მაგრამ გაუგებარია ის გარემოება, რომ ლიტერატურის პროგრამის განმარტებითი ბარათი რატომღაც იფარგლება მხოლოდ მე-5—7 კლასებით (ენის პროგრამისათვის ეს მდგომარეობა ჭუნებრივია, რადგან ენის, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინის, სწავლება ნავარაუდევია მე-5—7 კლასებში). ასე, მაგალითად, ლიტერატურის განმარტებითი ბარათში სწერია: „მე-5—7 კლასში ლიტერატურის ისტორია არ ისწავლება. ამ კლასებში ლიტერატურის სწავლების ძირითადი ამოცანაა შევასწავლოთ მოწაფეებს კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.“

მე-5—7 კლასებში ლიტერატურის მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეთა მიერ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ღრმად შესწავლას, მხატვრულ კითხვას, შინაარსის ზეპირად და წერილობით გადმოცემას და პერსონაჟების დახასიათებას.

ნაწარმოებთა შესწავლას წინ უნდა უძღოდეს მწერლის ბიოგრაფიისა და ეპოქის მოკლე მიმოხილვა...

პოემებიდან და მოთხრობებიდან საზეპირო ადგილები დასახელებულია პროგრამის სათანადო ნაწილებში.

პროგრამაში მითითებული საზეპირო ლექსებისა და ცალკეულ ნაწარმოებთა ადგილების გარდა, საჭირო შემთხვევაში (რომელ შემთხვევაში? შ. კ.), მასწავლებელს შეუძლია, შემოკლებული სახით, შეარჩიოს დამატებით დასაზეპირებელი მასალა, მხოლოდ ადგილი არ უნდა ექნეს მოწაფეთა გადამეტებით დატვირთვას.

ნაწარმოებები, რომელთა შესწავლა პროგრამაში გათვალისწინებულია შემოკლებული სახით, შესწავლილ უნდა იქნეს ლიტერატურის ქრესტომათიებში წარმოდგენილი მოკულობით" (შვიდწლიანი და საშუალო სკოლების პროგრამები, გვ. მე-10—17. 1944 წ.).

ლიტერატურის პროგრამის განმარტებითი ბარათიდან ეს საკმაოდ გრძელი ამონაწერი მე-5—7 კლ. ლიტერატურის სწავლების მიზნებისა და ამოცანების ვრცელ განმარტებას შეიცავს. მაგრამ არც ერთი სიტყვა ათაა ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მიზნებს ისახავს ან როგორ უნდა ისწავლებოდეს ლიტერატურა მე-9—10 კლასებში.

ცხადია, პროგრამის განმარტებით ბარათს ვერ წავუყენებთ მოთხოვნას, რომ იგი მთლიანად იძლეოდეს პროგრამით გათვალისწინებული მასალის დაშუშავების ხერხებს, მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ პასუხობდეს საკვანძო საკითხებზე. მხოლოდ სასწავლო მასალის წარმოდგენა პროგრამაში, ყოველგვარი განმარტების გარეშე, როგორც ეს მე-8—10 კლ. ლიტერატურის პროგრამის მიმართაა გაკეთებული, თუ მეტი არა, გაუმართლებელია. ეს მით უმეტეს, თუ ვავითვალისწინებთ მეთოდური ლიტერატურის სიმცირეს, შესაფერისი სახელმძღვანელოების უქონლობასა თუ ნაკლებობას.

ამრიგად, ექვს გარეშეა, რომ დღემდე არსებული პროგრამები ლიტერატურისა ამ მხრივ შესწორებას, შევსებას, გადამუშავებას საჭიროებს. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას 1944 წელს გამოცემული ლიტერატურის პროგრამაზე, რამდენადაც ახალ პროგრამაში (1944 წ. გამოცემა) წინანდელ პროგრამასთან (1941 წლის გამოცემა) შედარებით მთელი რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებებია შეტანილი. ააე, მაგალითად: მე-5 კლასის პროგრამაში თითქმის მთლიანად გადაჯგუფებულია მწერლები:

1941 წ. პროგრამით:

2. ი. ჭავჭავაძე
3. ა. წერეთელი
4. რ. ერისთავი
5. ეჭ. გაბაშვილი
6. ვაჟა-ფშაველა
7. ნ. ლომოური
8. ე. ნინოშვილი
9. ი. ვედოშვილი
10. გ. ქუჩიშვილი
11. გ. ტაბიძე

1944 წ. პროგრამით:

2. ი. ჭავჭავაძე
3. ა. წერეთელი
4. ვაჟა-ფშაველა
5. რ. ერისთავი
6. ეჭ. გაბაშვილი
7. ნ. ლომოური
8. ე. ნინოშვილი
9. ი. ვედოშვილი
10. გ. ქუჩიშვილი
11. ა. აბაშელი

12. ს. ეული
13. ა. მაშაშვილი

12. ლ. ქიაჩელი
13. გ. ტაბიძე
14. ს. ეული
15. ს. კლდიაშვილი
16. გ. ლეონიძე
17. დ. შენგელაია
18. ა. მაშაშვილი.

ახალ პროგრამაში შეცვლილია აგრეთვე დასახელებულ მწერალთა ნაწარმოებები, მაგალითად: 1941 წლის პროგრამაში შეტანილი იყო ალ. მაშაშვილის „ლენინი“, „კომკაეშირის მარში“. 1944 წლის პროგრამით კი გათვალისწინებულია: „ლენინი“, „ომი ომს“, „ბელადის მოწოდებაზე“ და სხვ. რიგი მწერლების ზოგიერთი ნაწარმოები მთლიანად ამოღებულია: „აპელაციის მკოდნე“ აკაკისა, „ტეტიას მოთქმა“, „სამზითვო“, „მოხუცი ხიზანი ყმაწვილ მემამულეს“ რ. ერისთავისა, „მუშა“ ევდოშვილისა და სხვ. საიათნოვა სრულებით ამოღებულია მე-8 კლასის პროგრამიდან.

იმ სახის ცვლილებებს, როგორც მე-5 კლასის პროგრამაშია შეტანილი, ვხედავთ თითქმის ყველა კლასის პროგრამებში. გარდა მასალის გადაჯგუფებისა, მე-5 კლასის პროგრამაში შესასწავლად შეტანილია ხუთი ახალი მწერალი: ა. აბაშელი, ლ. ქიაჩელი, ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე და დ. შენგელაია.

შეიძლებადა ამისი გავრცობა, მაგრამ ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია. 1944 წლის პროგრამა, 1941 წელს გამოცემულ პროგრამასთან შედარებით არსებითად შეცვლილია. მაგრამ რა მიზანს ისახავს პროგრამული მასალის აღნიშნული შეცვლა, რითაა იგი ნაკარნახევი და რა გამართლება აქვს მას? ამაზე იმავე პროგრამის განმარტებითი ბარათი ბევრს არაფერს გვეუბნება (სხვათა შორის 1944 წელს გამოცემული პროგრამის განმარტებითი ბარათი სიტყვა-სიტყვით, უცვლელად, გადმოხეჭილია 1941 წლის პროგრამის განმარტებითი ბარათიდან).

თუ რამდენად მართებულიადაა გადამუშავებული 1941 წელს გამოცემული პროგრამა. ეს ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანს არ შეადგენს, მხოლოდ ერთი კი უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შევსება თანამედროვე მწერლობით პრინციპულად უსათუოდ მართებული ნაბიჯია, მაგრამ ეს დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

თანამედროვე ლიტერატურის მაღალი ღირებულება, ერთი მხრივ, და მისი სწავლების აუცილებლობა, მეორე მხრივ, უდიო ჰემარტებაა. მაგრამ მისი (თანამედროვე მწერლობის) ორგანული

შერწყმა წინა პერიოდის მწერლობასთან ერთგვარი ზომიერებით უნდა მოხდეს. ლიტერატურის პროგრამული მასალის შერჩევისას ეს მომენტი არსებითია, მაგრამ მეორე მხარეც ასევე არა ნაკლები მნიშვნელობისაა და იგი არ უნდა იქნას უგულებელყოფილი, სახელდობრ: მოსწავლეთა ასაკი და კლასის სასწავლო გეგმა. ეს მომენტები უნდა განსაზღვრავდეს პროგრამით გათვალისწინებული მასალის სიღრმესა და მოცულობას. ჩვენ არას ვლაპარაკობთ მე-5 კლასის ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული მასალის შინაარსეულ მხარეზე, მაგრამ მისი მოცულობა მეტად დიდია, რაც არც სასწავლო გეგმასთანაა შეფარდებული და ვერც მოსწავლეთა მომზადებასა და ასაკობრივ მდგომარეობას ითვალისწინებს.

ვინც პრაქტიკულად იცნობს ჩვენი სკოლის მე-5 კლასს, მისთვის სადისკუსიო არ არის 1941 წლის პროგრამით გათვალისწინებული მასალის სიჭარბე; ხოლო მოცულობის მხრივ მისი უფრო გავრცობა კი აშკარა ფორმალისმია. მართალია, 1941 წლის პროგრამიდან ახალ პროგრამაში (1944 წლის გამოცემა) არ არის შეტანილი ა. წერეთლის ერთი ლექსი, რ. ერისთავის სამიოდე ნაწარმოები, ი. ევდოშვილის ერთი ლექსი. მაგრამ სამაგიეროდ შეტანილია ხუთი ახალი მწერალი.

ჩვენი აზრით, მშობლიური ლიტერატურის ამჟამად არსებული პროგრამები საბჭოთა სკოლის მოთხოვნილებას მიმდინარე ეტაპზე ნაკლებად უპასუხებენ და, ამრიგად, ეს გარემოება ჩვენც განსაზღვრულს მდგომარეობაში გვაყენებს.

ილია ჭავჭავაძის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა დაწყებითი კლასებიდან იწყება, თანდათან ფართოვდება, ღრმავდება და მე-5 კლასიდან ერთგვარ სისტემატურ ხასიათს იღებს. ილიას ნაწერთა შესწავლა ძირითადად, შეიძლება ითქვას, მე-5—7 კლ. ხდება, ხოლო მე-9 კლასის პროგრამით გათვალისწინებული მასალა ვარაუდობს გაარკვიოს ილიას ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ამჟამად მოქმედი (1944 წ.) სტაბილური პროგრამა მე-5—7 კლ. ითვალისწინებს მხოლოდ ლიტერატურის ნიმუშების სწავლებას, ხოლო მწერლის მთლიანი შესწავლა, ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, საშუალო სკოლის მაღალი კლასებისათვის (მე-8—10 კლ.) არის განკუთვნილი. ეს, რა თქმა უნდა, პრინციპულად სწორია. მეთოდური ლიტერატურაც ზურგს უმაგრებს საერთოდ პროგრამას და მართებულად მიიჩნევს მწერლის შესწავლისადმი ასეთ დიფერენცირებულ მიდგომას (კლასის მომზადების დონის გათვალისწინებით).

ჩვენც არას ვიტყვოდით ამის შესახებ, რომ არ იყოს ერთი, მეტად საყურადღებო მომენტი. სახელდობრ: მე-5—7 კლასებში, როგორც ამას პროგრამაც ითვალისწინებს, უნდა ისწავლებოდეს და ისწავლება კიდევაც ლიტერატურული ნაწარმოები მისი მხატვრულ, შინაარსობლივ, ადეურ ფონზე. მაშასადამე, მასალა მოსწავლეს (მე-5—7 კლ.) საფუძვლიანად უნდა ჰქონდეს ათვისებული შინაარსობლივად მხატვრული ნაწარმოების იდეური რაობისა და მხატვრული სახეების გარკვევით. არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხრობა, ლექსი, პოემა, კომედია და სხვ. მას უნდა შეეძლოს მოთხრობის შინაარსის დაღაგებით გადმოცემა. თავისუფლად შესძლოს ლექსიდან, პოემიდან და მოთხრობიდან ზეპირად ნასწავლი ადგილების გამოყენება და, რაც მთავარია, უნდა შესწევდეს ამა თუ იმ ნაწარმოების იდეური ანალიზის და მისი მხატვრული სახის გარკვევის უნარი. მე-5 კლასის ქართული ლიტერატურის პროგრამა პირველი თავის — „ფოლკლორის“ — შემდეგ იწყება ილიას ლექსით „გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთოლი“). ამ ლექსის შესწავლას წინ უძღვის ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის შესწავლა. ამ პრინციპზეა აგებული ლიტერატურის სწავლება მე-5—10 კლ., ე. ი. მწერლის შესწავლა მისი ბიოგრაფიის შესწავლით იწყება. მწერლის ბიოგრაფია ისწავლება (ყოველ შემთხვევაში უნდა ისწავლებოდეს) არა ძველი სქოლასტიკურ-ფორმალისტური მეთოდით, არა მხოლოდ იმას აღნიშვნით, თუ როდის ან სად დაიბადა და სხვა მშრალი, არაფრისმთქმელი ეპიზოდების მიწოდებით, არამედ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ურთიერთ ორგანიულს კავშირში. მართალია, მე-5 კლასში შედარებით, ეს მარტივ ფორმებშია მოცემული, მაგრამ იგივე როდი ითქმის მე-7 კლასის მიმართ.

მწერლის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდის გარკვეულ საზოგადოებრივ მოვლენასთან დაკავშირება, მისი (მწერლის) შემოქმედებითი „მეს“ გასარკვევად, ვარაუდობს ეპოქის (შესასწავლ ლიტერატურულ ნაწარმოებთან დაკავშირებით) ნიშანდობლივ თვისებათა გათვალისწინებას, მის ზოგად დახასიათებას.

ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსობლივ-იდეური ანალიზისათვის განა აუცილებელი არ არის ეპოქის ძირითადი მონაცემების შესწავლა-გარკვევა? ეს აუცილებელია და პრაქტიკულად ასედაც ხდება (ყოველ შემთხვევაში იმ სკოლაში, სადაც ლიტერატურის სწავლება ცოტად თუ ბევრად ნორმალურად მიმდინარეობს). მე-5—7 კლ. არ ხდება ამა თუ იმ მწერლის ან ლიტერატურული ნაწარმოე-

ბის შესწავლა ცალკე, მოწყვეტით, იზოლირებულად, ყოველგვარ ისტორიული ვითარებათა გვერდის ახვევით. ასე რომ არ ყოფილიყო, იგი უმიზნო, უაზრო იქნებოდა. მაგრამ, ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს მე-5—7 კლასებში ლიტერატურის სწავლების პრინციპებს საშუალო სკოლის მე-8—10 კლასებთან ვაიგივებდეთ.

არასრულ საშუალო სკოლაში ლიტერატურული ნაწარმოების სწავლება მიზნად უნდა ისახავდეს ლიტერატურული ძეგლის არა თავისთავად შესწავლას, როგორც ეს დაწყებითი სკოლაში ხდება, არამედ მის გააზრებას ისტორიულ-იდეურ მიმართებაში. რათქმა უნდა, მისა მხატვრული ღირებულების გარკვევით. ცხადია, საშუალო სკოლის მე-8—10 კლასებთან შედარებით ეს ხდება მარტივ ფორმებში, მაგრამ მაინც საკმაო შოკულობით.

საკითხის ამგვარმა დასმამ, შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს, თითქოს ჩვენ ვვარაუდობდეთ ლიტერატურის ისტორიის საკითხებით არასრული საშუალო სკოლის ისედაც გადატვირთული პროგრამების ზედმეტად დატვირთვის საჭიროებას. ეს შემცდარი გაგება იქნებოდა. პირიქით, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამჟამად არსებული პროგრამების შემოკლება-შეკუმშვა. საქმე ისაა, რომ ფაქტიურად მეთოდოკურ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, რომელსაც ლიტერატურის პროგრამის განმარტებითი ბარათიც აღრმავებს, მე-5—7 კლასებში ლიტერატურის ისტორია არ ისწავლება. „ამ კლასებში ლიტერატურის სწავლების ძირითადი ამოცანაა შევასწავლოთ მოწაფეებს კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები“ (შვიდწლიანი და საშუალო სკოლების პროგრამები, გვ. მე-16, 1944 წ.). მაგრამ ეს არ შეესაბამება ფაქტიურ მდგომარეობას.

მართალია, მე-5—7 კლ. ლიტერატურას ისტორია არ ისწავლება, როგორც ეს საშუალო სკოლის მე-8—10 კლასებშია და, მართლაც, მე-5—7 კლ. ლიტერატურის სწავლების ძირითადი ამოცანა კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშების შესწავლაში მდგომარეობს. მაგრამ ეს სრულებით არ გამორიცხავს, თუნდაც მარტივ ფორმებში მაინც, გავლილი არ იქნას მასალა ლიტერატურის ისტორიიდან, ცხადია, ლიტერატურული ძეგლების უშუალო შესწავლასთან ორგანიულ კავშირში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე-5—7 კლ. ლიტერატურის სწავლება ვერ იქნებოდა გამართლებული და, რაც მთავარია, ვერ შექმნიდა წინამძღვრებს მე-8—10 კლასებში კურსის სრული და მაღალხარისხოვანი ათვისებისათვის.

ამ საკითხის მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურული მასალის კლასების დამიხედვით დანაწევრება ამ დისციპლინის სწავლების ფაქტიურ მდგომარეობას არ შეეფარდება და, ვფიქრობთ, რომ კლასებს შორის ზღვარის დადება (პროგრამის მიხედვით) შექანიკურ ელფერს ატარებს.

ამგვარად, ლიტერატურის სწავლება მე-5—7 კლ. და მე-8—10 კლ. არ უნდა იძლეოდეს პრინციპულ სხვაობას იმ მოცულობით, როგორც ეს ოფიციალური პროგრამიდან გამომდინარეობს. რა თქმა უნდა, მე-5—7 კლასებში ლიტერატურის სწავლებისას აქცენტი საკუთრივ ძეგლის შესწავლაზე მოდის, ხოლო მე-8—10 კლასებში კი ლიტერატურის ისტორიის გაცნობიერებაზე. მაგრამ, ჩვენის მოსაზრებით, პირველ შემთხვევაში ისევე საჭიროა ლიტერატურის ისტორიის ელემენტების მომარჯვება, როგორც მეორე შემთხვევაში აუცილებელია ლიტერატურული ძეგლების უშუალო შესწავლა და გამოყენება. ამიტომ მე-5—7 კლ. ლიტერატურული ძეგლის შესწავლისას ისე ვერ ავუვლით გვერდს ლიტერატურის ისტორიის საკითხებს, როგორც მე-8—10 კლ. ლიტერატურის ისტორიის საკითხების გარკვევა უმკველად ლიტერატურული ძეგლების უშუალო შესწავლას უყრდნობა.

დასკვნა: მე-5—7 კლასებში კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშები საფუძვლიანად უნდა ისწავლებოდეს არა მარტო როგორც თავისთავადი ლიტერატურული ძეგლები, არამედ ლიტერატურის ისტორიის საკითხების საერთო ფონზე. ამის უშუალო, ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს ამ საგნის სწავლება საშუალო სკოლის მე-8—10 კლასებში.

მე-5—9 კლასებში ილია ჭავჭავაძის შესწავლის ძირითადი საკითხები სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე მოსაზრებებს უნდა ეყრდნობოდეს.

ჩვენს შრომას არა აქვს პრეტენზია ყველა იმ საკითხის გარკვევისა (ყოველგვარი დეტალის გათვალისწინებით), რომელიც კი შეიძლება დაკავშირებული იყოს მე-5—9 კლასებში ილიას შესწავლასთან. აქედან მხოლოდ ძირითადს, არსებითს, გამოვყოფთ.

ლიტერატურის პროგრამის მიხედვით ილია ჭავჭავაძე ისწავლება მე-5—6—7 კლასებში და მე-9 კლასში.

მე-5—6, 7 და მე-9 კლ. შესასწავლად განკუთვნილი ილიას ოთხშულებები პროგრამაში შერჩეულია სწავლების მეთოდოლოგურ-პედაგოგიკური პრინციპებისა და ზომიერების დაცვით.

მე-5 კლასის პროგრამაში წარმოდგენილია: „გაზაფხული“ („ტყეში მოიხსნა ფოთოლი“), „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“; მე-6 კლ. „გუთნის დედა“, „მესმის, მესმის“, „კაცია-ადამიანი?“, „გლახის ნააზობი“, „ელეგია“; მე-7 კლ., „ქართველის დედას“, „ნანა“, „გაესწორდეთ, ბედო!“, „მას აქვთ, რა კი შენდამი“, „ჩემო კალამო“, „ბაზალეთის ტბა“, „სარჩობელაზედ“; მე-9 კლ. „მგზავრის წერილები“, „აჩრდილი“, „ბედნიერი ერი“, „პასუხის პასუხი“, „1871 წელი, 23 მაისი“ (კომუნის დაცემის დღე), „განდევილი“, „ოთარანთ ქვრივი“.

პედაგოგიური პრაქტიკით შემოწმებული და გამართლებულიც არის მწერლის შემოქმედების შესწავლის დაწყება მე-5 კლასიდან მისი ბიოგრაფიის გაცნობით. თუ კი წინა წლებში ლიტერატურის სწავლებისას მწერლის ბიოგრაფიის შესწავლა სკოლაში უკანა პლანზე იყო დაყენებული, ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია და მწერლის შესწავლის საერთო ფონზე ბიოგრაფიის სწავლებას გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა და გარკვეული ხვედრითი წონა აქვს, მაგრამ სასურველ დონეზე იგი ჯერ კიდევ არა დგას.

ამ მხრივ ორი ძირითადი ხელის შემშლელი მიზეზი შეიძლება დავასახლოთ:

ა) პირველი და არსებითი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ არ მოგვეპოება მეცნიერულად დამუშავებული და გამოცემული სტაბილური პროგრამით ნავარაუდევ, სკოლაში შესასწავლ მწერალთა ბიოგრაფიები. სახელმძღვანელოებში (ლიტერატურის ქრესტომატიებში) წარმოდგენილი ბიოგრაფიული მასალები კი ვერ უპასუხებენ იმ გაზრდილ მოთხოვნილებას, რომელსაც ლიტერატურის სწავლების ამოცანები აყენებენ მიმდინარე ეტაპზე.

ბ) მეორე დიდი ნაკლი (აღბათ, პირველი გარემოებით გამოწვეული) იმაში მდგომარეობს, რომ მწერლის ბიოგრაფიის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და დიდი ადგილი ეთმობა წვრილმანებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვთ მწერლის შემოქმედების გაგებისათვის. შესაძლებელია ეს წვრილმანები თავისთავად არ იყოს ინტერესს მოკლებული, მწერლის უფრო ღრმად და ყოველმხრივ შესწავლის ან აღმზრდელობითი მომენტის გამახვილების თვალსაზრისით, მაგრამ ისინი მაინც საწინააღმდეგავად მათი მიწოდება შეტყილად ძირითადი მასალის ხარჯზე ხდება. პრაქტი-

კიდან ცნობილია, რომ მწერალთა, მეცნიერთა, საზოგადოდ, გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიის მოსწავლე ახალგაზრდები დიდი ხალხისთვცნობიან. ისინი სწავლობენ მას არა მარტო სკოლაში, არამედ დამოუკიდებლადაც.

სავსებით ბუნებრივია ახალგაზრდობის შეუწელებელი სწრაფვა საზოგადოდ გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიის გაცნობისადმი, რადგანაც მოზარდნი საკუთარი ცხოვრების გზებს წარმართავენ ისე, აწუბენ იმდაგვარად და აორგანიზებენ იმ სახით, როგორც ეს მათთვის საყვარელი, ცნობილი პიროვნების (მწერლის, მეცნიერის, დიდი მხატვრის, სახელგანთქმული კომპოზიტორის, გამომგონებლის თუ სხვა საზოგადო მოღვაწის) ბიოგრაფიაში წარმოდგენილი. ეს გარემოება კი მოხერხებულად უნდა იქნას გამოყენებული, ერთი მხრივ, თვით მწერლის შემოქმედების ღრმად შესწავლის და, მეორე მხრივ, აღმზრდელობითი ელემენტის გასაძლიერებლად. ცხადია, მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოხდენილად ისარგებლებს ამ მეტად ნოყიერი ნიადაგით მოზარდის ფანტაზიის გასაშლელად.

აღმზრდელ-მასწავლებელთ ზოგჯერ ავიწყლებათ პისარევის აზრი: „ოცნებასა და სინამდვილეს შორის უთანხმოებას არ მოაქვს არავითარი ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, ყურადღებით უკვირდება ცხოვრებას, ადარებს თავის დაკვირვებებს მის მიერ შექმნილ ჰაეროვან კოშკებს და, საერთოდ, კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი ფანტაზიის განხორციელებაზე. როდესაც ოცნებას და ცხოვრებას შორის რაიმე შეხება, შეთანხმებაა, მაშინ ყველაფერი რიგზეა“.

მოზარდთა ფანტაზიის განვითარება მწერლის ბიოგრაფიის შესწავლასთან დაკავშირებით ხელის შეწყობას, დახმარებასა და, რაც მთავარია, მხატვრული ლიტერატურის თუ სხვა წყაროთა მოშველებას საჭიროებს. მოზარდმა უნდა იცოდეს, რომ ფანტაზიის უდიდესი ღირებულება მის რეალობასთან შეფარდებაშია. და თუ ფანტაზია ამ გზას აცდება, მაშინ იგი ფუჟია, კიდევ მეტიც, დამლუპველია ამის შესახებ შესანიშნავ განმარტებას იძლევა დიდი ლენინი.

აკრიტიკებდა რა რეალურ სინამდვილეს დაშორებულ ლარინის ფუჟ ფანტაზიას, ლენინი წერდა: „ლარინი... დიდი ფანტაზიის მქონეა. ეს უნარი დიდად დასაფასებელია. ტყუილად ფიქრობენ, რომ ის მარტო პოეტს ესაჭიროება. ეს სულელური ცრუ რწმენაა! ის მათემატიკაშიც კი საჭიროა, დიფერენციალური და ინტეგრალური

გამონაგარიშების აღმოჩენაც კი შეუძლებელი იქნებოდა ფანტაზიის გარეშე. ფანტაზია უდიდესი მნიშვნელობის თვისებაა ¹⁾.

ლენინი შესანიშნავად განმარტავს ფანტაზიის უდიდეს მნიშვნელობას და კონკრეტულ მაგალითზე, მისთვის დამახასიათებელ გონება-მახვილობით, მთელი სიცხადით ააშკარავებს ფუჭი მეოცნების უბადრუკობას.

რამდენადაც ახალგაზრდობა სიყვარულით ეკიდება მწერალთა ბიოგრაფიის შესწავლას, იმდენად საჭიროებს იგი მწერლების მეცნიერულად დაშუშავებულ ბიოგრაფიებს და ამ ბიოგრაფიათა სწავლებას.

მწერლის ბიოგრაფიის შესწავლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თვითმიზანი იყოს. იგი საჭიროა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს მწერლის შემოქმედების უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას, ერთი მხრივ, და შეიცავს აღმზრდელობითს ელემენტს, მეორე მხრივ. მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში მწერლის ბიოგრაფიის სწავლების საკითხი ჯერ კიდევ პრობლემატურია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც რუსეთში, ისე ჩვენში რიგი მართებული მოსაზრებებია გამოთქმული, მაგრამ ბიოგრაფიის სწავლების პრაქტიკული თუ თეორიული საკითხების საბოლოოდ დადგენილი—დაზუსტებული წესი ჯერჯერობით მაინც არ მოგვეპოვება.

საბჭოთა სკოლაში ლიტერატურის სწავლება ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებს პერვეერზევის ნიჰილისტურ თეორიას, თითქოს მწერლის შემოქმედების გასარკვევად, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს მის (მწერლის) ბიოგრაფიას. ასევე მიუღებელია ცნობილი ფრანგი ლიტერატორის სენტ-ბევის მეორე უკიდურესობამდე მისული თეორია, რომლის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ მწერლის შემოქმედების გასარკვევად ძირითადი და საიმედო წყარო თითქოს მხოლოდ თვით მწერლის ბიოგრაფია იყოს.

თანამედროვე მეთოდისტთა შორის მართებულ ფორმულირებას მწერლის ბიოგრაფიის სწავლების შესახებ ვხვდებით ცნობილ მეთოდისტის ვ. ვ. გოლუბკოვის შრომაში. იგი წერს: „მწერლის ბიოგრაფია იმგვარად უნდა იყოს მოცემული, რომ ის დაეხმაროს ლიტერატურული ნაწარმოების, როგორც ისტორიულად შეპირობებული მოვლენის, გაგებას. ამისათვის საჭიროა ბიოგრაფიული ფაქტებიდან განსაკუთრებული გულმოდგინებით და სიზუსტით გამოირჩეს ის, რაც ხელს შეუწყობს ამ ამოცანას, ე. ი. რაც ტიპიუ-

¹⁾ „Ленин о литературе“, стр. 179.

რია მწერლისათვის, როგორც კლასის ერთ-ერთი ნათელი წარმომადგენელისათვის; მისი შეხედულებანი, მისწრაფებანი, რომელთაც ის გამოხატავს, რაც ასახიათებს მის იდეოლოგიას და მის მონაწილეობას ეპოქის კლასობრივ ბრძოლაში.

მწერლის შემოქმედების გაგებისათვის საჭიროა ტიპიურთან ერთად განსაზღვრულ ფარგლებში მოცემულ იქნას ინდივიდუალურიც, „განსაკუთრებული“ მის ცხოვრებაში, რამდენადაც ეს გამოხატავს შინაარსში და მის ნაწარმოებთა მთელ სტილში“ 1).

თუმცა აღნიშნული წიგნის შემდგომ გამოცემაში (1941 წ.) ეს ადგილი სრულდებით ამოღებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვ. ვ. გოლუმბოვის ეს მოსაზრებანი მართებულად მიგვაჩნია, თუმცა იგი პოლიტიკად არ შეიძლება გაზიარებულ იქნას, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც აღაპრაქია იმ მწერლების ბიოგრაფიის სწავლების მეთოდის შესახებ, რომლებიც სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალების მიხედვით გასწავრებით ისწავლებიან სხვადასხვა კლასებში. გოლუმბოვი წერს:

„როგორ მივსწავლით სოსწავლეთ ბიოგრაფია იმ მწერლებსა, რომლებიც მწერლებთან სასკოლო კურსის სხვადასხვა ეტაპზე მაგ. პუშკინისა, რომელიც ისწავლება მე-5, 6, 7 კლასებში, ან ტურგენევისა მე-5, 6 და 9 კლასებში?.

აქ მხედველობაში უნდა იქნეს წილებული სხვადასხვა სახის ამოცანებიც, რომელნიც დასრულია სწავლების ამა თუ იმ წელს და მოსწავლეების ასაკობრივი ინტერესებიც და პროგრამის კონკრეტული მასალაც.

ბიოგრაფია ორიენტირებულია განსაკუთრებულ ლიტერატურულ მასალაზე (პუშკინის— მე-5 კლ., განსაკუთრებით ზღაპრებზე, მე-6 კლ. „დუბროვსკიზე“, მე-7 კლ. „კაპიტნის ქალზე“, მე-8 კლ. „ევეგნი ონეგინზე“), მაგრამ ამათთან ერთად ის ყოველთვის უნდა იყოს პოლიტიკური მთელი ცხოვრების მომცემი, დაბადებით დაწყებული და სიკვდილით დასრულებული“ 2).

მწერლის ბიოგრაფიის სწავლება ჩვენს სკოლებში ფაქტიურად ისე მიმდინარეობს, როგორც ეს გოლუმბოვის აქვს წარმოდგენილი.

ლიტერატურის სახელმძღვანელოებში (ლიტერატურის ქრესთომატიკებში) წარმოდგენილი მწერლის ბიოგრაფიებიც ამ პრინციპზეა აგებული.

1) В. В. Голубков, „Методика преподавания литературы“, стр. 83, 1933 г.

2) В. В. Голубков, „Методика преподавания литературы“ стр. 89, 1941 г.

იბადება საკითხი: რამდენად მართებულია პედაგოგიკურად ან
ზუსტად იძლევა ახალს—სანიტერის მოსწავლეთ ყველა კლასში ერთი
და იმავე მწერლის ბიოგრაფიის სწავლება „დაბადებიდან სიკვდილამ-
დე“ და, რაც მთავარია, დაიტევს თუ არა მოცემულ მასალას სასწავ-
ლო გეგმით მწერლის ბიოგრაფიის შესასწავლად განკუთვნილ დროს?
დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში პრაქტიკულად
შომუშავე, მშობლიური ენისა და ლიტერატურის ყველა გამოცდილი
მოსწავლელი ამ კითხვებს უარყოფითად უპასუხებს.

ილია ქავჭავაძის ბიოგრაფია ისწავლება მე-5, 6, 7 და მე-9
კლ., იგი წარმოდგენილია ტრაფარეტულად შემდეგი თანამიმდევ-
რობით: ილიას შამის ვინაობა, დედა: დახასიათება, როდის და სად
დაიბადა ილია, ვინ შესწავლა მას წერა-კითხვა, როდის წამოიყუ-
ნეს ივრ თბილისში, რომელ სასწავლებელში სწავლობდა და ასე
შემდეგ. ეს ეძლევა მოსწავლეს ხელისხელ 4 წლის განმავლობაში
(მე-8 კლ. გამკვლეობით).

ნუ თუ შესწავლის ობიექტი უნდა იყოს ოთხი წლის მანძილზე
ასეთი ელემენტარული საკითხები მწერლის ბიოგრაფიიდან, როგორი-
ცაა, მწერლის მშობელთა ვინაობა, მწერლის დაბადების ადგილი
და თარიღი და სხვა წვრილმანი ფაქტები?

სწავლების მე-3—4 წელს მოსწავლე ისეთ ფაქტებს, როგორი-
ცაა, „დაიბადა ამა და ამ წელს“ და სხვ. უხალისოდ, ყოველგვარი
ჯანცდის გარეშე იპეორებს, მხოლოდ იზისათვის, რომ იგი იხდის
„ვალს“. არ შეიძლება ეს მომენტა შენიშნულ არ იქნეს და მას შესა-
ფერისი ახსნა არ მიეცეს. მართალია, მოსწავლეთა მიერ გამოვლი-
ნებულ ამ „უხერხულობას“ ვაბედულად ეკამათება ვ. ვ. ლიტვინოვი,
როდესაც წერს:

„ჯერ კიდევ ცოცხლობს მოსწავლეთა შორის ქრონოლოგიისად-
მი უდარდელი დამოკიდებულება. მათ ჰგონიათ, რომ „დაზვიერება“
(მოსწავლეთა დამახასიათებელი გამოთქმა) ქრონოლოგიური თარი-
ღების ძველი სქოლასტიკური სკოლის გადანაშთია“¹⁾.

ლიტვინოვი ვერ ხსნის იმას, თუ რატომ „ცოცხლობს“ ასე
მასობრივად მოსწავლეთა შორის ეს შეხედულება? აქ, მართლაც,
მოწაფეთა დაუდევრობასთან გვაქვს საქმე, თუ მათი ასეთი ერთსუ-
ლოვანი „პროტესტი“ სწავლების უვარგისი, სქოლასტიკური მეთო-
დის შედეგია?

სამწუხაროდ, ვ. ვ. ლიტვინოვი მართლ არ არის. ეს მკდარი
შეხედულება ფართო გზას პოულობს ჩვენს მეთოდოლოგიურ აზროვნებაში

¹⁾ В. В. Литвинов. „Методика изучения биографий писателя“, сборник статей о преподавании литературы в VIII—X классах, стр. 41.

და სიმძიმის ცენტრი მოსწავლეთა დაუდევრობა — უპასუხისმგებლობაზე გადააქვს, მაშინ, როდესაც სინამდვილეში საკითხის შესწავლასა და მის ანალიზს სულ სხვა დასკვნამდე მივყევართ.

ცნობილია, რომ მოსწავლეთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისება მაშინაა საფუძვლიანი, თუ კი იგი მიღებულია სისტემატური ვარჯიშისა და ლოგიკური დამახსოვრების შედეგად. თუ ეს ასეა, მოსწავლემ რომ მასალა თავისი გახადოს, ე. ი. იმგვარად გადაამუშაოს საკუთარი აზროვნების ლაბორატორიაში, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელახლა კი არ ეძიოს იგი, არამედ სწრაფად მოიგონოს და გამოიყენოს, — ამისათვის ორი ძირითადი პირობაა აუცილებელი: 1) ასათვისებელი მასალა შესწავლის პროცესში დამახსოვროს არა მექანიკურად, არამედ აზრიანად, შესძლოს შესწავლილი საკითხის შინაგანი კავშირის გააზრება და მასალის ცალკეულ ნაწილებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების განაალიზება; 2) იმდენად განამტკიცოს შესწავლილი მასალის ცოდნა, ძირითადად სისტემატური ვარჯიშის მეშვეობით, რომ ჩვევად ექცეს მისი აღდგენისა და გამოყენების უნარი.

ლიტერატურული მასალის შეთვისებაზე მსჯელობისას საკითხის ამდაგვარი დასმა შეიძლება ჰარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ საკითხი ამოხსნილი იქნება, თუ კი საფუძვლიანი დაკვირვების შედეგად მას ყოველმხრივ შევისწავლით.

ზუსტ შეცნირებათა (მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა) სწავლების ისტორიიდან ცნობილია, რომ ჩვევა განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამ დისციპლინათა სწავლების საქმეში, ერთხელ მიღებული საფუძვლიანი ცოდნა ანგარიშში ბუნებრივად საფუძვლად ედება ალგებრას, გეომეტრიის, ტრიგონომეტრიის, ფიზიკის სწავლებას. ვთქვათ, მოსწავლეს ეძლევა შესასწავლად ათწილადი ნაწევარი, რისთვისაც აუცილებელია ცოდნა არითმეტიკიდან ოთხი მოქმედების და პროცენტების გამოანგარიშებისა. რა შედეგს მივიღებთ, რომ ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს სჭირდებოდეს მოსწავლეთა მხსიერებაში არა მარტივად, უბრალოდ აღადგინოს, არამედ არსებითად ხელახლა ასწავლოს მიმატება-გამოკლება, გაყოფა-გამრავლება და პროცენტების გამოანგარიშება (როგორც ამა თუ იმ მწერლის ბიოგრაფიის შესწავლისას ხდება ხოლმე. მწერლის ბიოგრაფიიდან ისეთი დეტალების ხელახლა სწავლება, როგორცაა: მწერლის დაბადების ადგილი და თარიღი, ოჯახის წევრთა ვინაობა და სხვა)?

დიდი რუსი პედაგოგის და მოაზროვნის უ შინსკის თქმისა არ იყოს, განა, როცა ენა გამოსთქვამს ხოლმე 2×7 ხელი 14-ს

არა წერს? ეს ჩვევის შედეგია, რომელიც მიღწეულია თავიდანვე სისტემატური ვარჯიშისა და ლოგიკური გააზრების შედეგად. კ. დ. უშინსკი ჩინებულად განმარტავს ჩვევის უდიდეს მნიშვნელობას: „ჩვევის მნიშვნელობა სწავლაში იმდენად ნათელია, რომ ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭიროც არაა, ყოველშემთხვევაში სიარულის, ლაპარაკის, კითხვის, წერის, ანგარიშის, ხატვის და სხვ. ცოდნაში ჩვევა მთავარ როლს თამაშობს. მათემატიკაში ჩვევს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. ჩვენ რომ ყოველთვის გვჭირდებოდეს დაფიქრდეთ, რომ $2 \times 7 = 14$ -ს, ეს ძლიერ შეგვაფერხებდა ჩვენ მათემატიკურ გამოანგარიშებაში, მაგრამ სიტყვების შემდეგ 2×7 ენა წარმოსთქვამს და ხელი სწერს—14. აღამიანს რომ ჩვევების უნარი არ ჰქონდეს, ის ვერც ერთი საფეხურით ვერ შესძლებდა წინსვლას თავის განვითარებაში, რადგან მას ყოველ წუთს შეაჩერებდა უამრავი სიძნელეები, რომლებიც შეიძლება დასძლიო მხოლოდ ჩვევით და ამით კი გაანთავისუფლო გონება და ნებისყოფა ახალი სამუშაოებისათვის, ახალი გამარჯვებისათვის. აი ამიტომ ის აღზრდა, რომელსაც მხედველობიდან გამორჩება გამოუშუშაოს აღსაზრდელებს სასარგებლო ჩვევები და იზრუნებს მხოლოდ მათ გონებრივ განვითარებაზე იგი ამით თვით ამ განვითარების საშუალებას მის უძლიერეს საყრდნობს უსპობს ¹⁾).

მიუხედავად იმისა, რომ მწერლის ბიოგრაფიიდან ქრონოლოგიას მოსწავლეებს რამდენიმე წლის განმავლობაში ვასწავლით და მაინც ვუჩივით „უდარდელ დამოკიდებულებას“, ეს მხოლოდ იმის შედეგია, რომ ცოდნა ჩვევად არაა ქცეული. ამის მიზეზი კი ორია:

1) სახალხო განათლების სისტემაში ყველაზე გავრცელებული ტიპი გაკვეთილისა, ე. წ. ხუთმომენტიანი გაკვეთილი, რომელიც შესწორებას საჭიროებს;

2) პროგრამული მასალის სიჭარბე.

ჩვენს ამოცანას არ შეადგენს გაკვეთილის სტრუქტურის საკითხი. თავისთავად კი ეს საკითხი სპეციალური ნსჯელობის საგანი, მით უმეტეს, რომ პედაგოგიკურ ლიტერატურაში გაკვეთილის სტრუქტურის პრინციპული მხარეები ჭრელადაა წარმოდგენილი.

ოფიციალური დოკუმენტებიც კი, როგორცაა პედაგოგიკის სახელმძღვანელოები: „პედაგოგიკა“ უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელო პროფ. ი. ა. კაიროვის რედაქციით, პროფ. შიმბირიოვის „პედაგოგიკა“ (სახელმძღვანელო პედაგოგიური სასწავლებლებისა-

¹⁾ К. Д. Ушинский, Человек как предмет воспитания, изд. 13-е, стр. 34—35.

თვის). ესპოვისა და გონჩაროვის „პედაგოგიკა“ (სახელმძღვანელო პედ. სასწავლებლებისათვის) გაკვეთილის სტრუქტურის სხვადასხვაგვარ განმარტებას იძლევიან და ამდენად ეს საკითხი განსაკუთრებული კვლევის ობიექტს წარმოადგენს, იგი ერთხელ და სამუდამოდ გარკვევას და საბოლოო დადგენას საჭიროებს.

იმის მიუხედავად, რომ პედაგოგიკის ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელოების ავტორები გაკვეთილის სტრუქტურის განსახილველად ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული სახით იძლევიან, ისინი მაინც თანაბრად აღიარებენ სახალხო განათლების სისტემაში პედაგოგიური პრაქტიკით ყველაზე გავრცელებული გაკვეთილის—ხუთმომენტიანი გაკვეთილის—არსებობის ფაქტს, მისი უპირატესობის აუცილებლობას.

როგორც წესი, ხუთმომენტიანი გაკვეთილის ორ განიზაცია შემდეგ პრინციპზეა აგებული:

ა) კლასის წესრიგში მოყვანა (წესრიგის დამყარება, მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და სხვ.)—3 წ.

ბ) საშინაო დავალების შემოწმება, გაკვეთილის გამოკითხვა—10 წ.

გ) ახალი მასალის ახსნა—20 წ.

დ) ახალ მასალაზე ვარჯიში—კატეჩიზაცია—5 წ.

ე) საშინაო დავალების მიცემა—2 წ.

აქ წარმოდგენილი ნიმუში ხუთმომენტიანი გაკვეთილის ორგანიზაციისა საყოველთაოდ მიღებული ფორმაა, მხოლოდ გაკვეთილის პროცესის წუთებში განაწილება შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს წარმოდგენილი. გაკვეთილის დროის განაწილების სტანდარტი დადგენილი არ არის და ეს შეუძლებელიც იქნებოდა; მაგრამ ის კი არის წესად აღიარებული, რომ ახალი მასალის ახსნას ორჯერ მეტი დრო ეთმობა, ვიდრე საშინაო დავალების შემოწმებასა და გაკვეთილის გამოკითხვას.

საბჭოთა სკოლაში გაკვეთილი, როგორც სწავლებას ძირითადი ფორმა, იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ შეიცავდეს იმ პრინციპულ თავისებურებებს, რომლებიც უპასუხებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 25 აგვისტოს ისტორიულ დადგენილებას.

ხუთმომენტიანი გაკვეთილი ვარაუდობს, რომ ახალ ასახსნელ მასალას უნდა დაეთმოს არა ნაკლებ ორჯერ მეტი დრო, ვიდრე განვილილ მასალის (წინაგაკვეთილის) გამოკითხვას. საერთოდ კი, სასწავლო წლის განმავლობაში გაკვეთილები ამ წესით ტარდება, თუ

მხედველობაში არ მივიღებთ აღრიცხვისა და განმეორების გაკვეთილებს, რომლებიც ტარდება ხოლმე სკოლაში სასწავლო მეოთხედებისა და წლის ბოლოს.

სკოლას და მასწავლებელს არა აქვთ საშუალება აღნიშნული წესის დარღვევისა, რადგანაც ისინი სასწავლო პროგრამების მიხედვით განსაზღვრულ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი.

სასწავლო პროგრამები კი ისეა შედგენილი, რომ ყოველ გაკვეთილზე (ნაწილობრივ გამოირიცხება ხოლმე აღრიცხვისა და განმეორების გაკ.) ახსნილი უნდა იქნას ახალი მასალა და ისიც საკმაოდ დიდი მოცულობით. ცხადია, სასურველი არ იქნებოდა, რომ სკოლას თუ ცალკეულ მასწავლებლებს თავისუფლად, თავისებური მანევრირების უფლება ჰქონოდა (იგულისხმება მასალის გადაჯგუფება, მისი შემოკლება და სხვა მსგავსი ოპერაციები), მაგრამ სასწავლო პროგრამების უმეტესობა რომ შესასწავლი მასალით გულუხვობს, ეს უდავო ფაქტია. ამის გამო პროგრამის დაძლევა სკოლას მეტწილად უძნელდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა გადაისინჯოს ე. წ. ხუთ-მომენტიანი გაკვეთილის საკითხი, ხოლო პროგრამული მასალა შემოკლდეს იმ ვარაუდით, რომ ყოველ ახალ გაკვეთილზე მეტი დრო დაეთმოს წინა გაკვეთილზე ახსნილი მასალის გამოკითხვა-გამტკიცებას.

„ჩვენს წინაშე ციხე-სიმაგრეა. მას, ამ ციხე-სიმაგრეს, ეწოდება მეცნიერება, თავის ცოდნათა მრავალნაირი დარგით. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს. ეს ციხე-სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ, თუ მას სურს ახალი ცხოვრების მშენებელი იყოს, თუ მას სურს ძველი გვარდიის ნამდვილი შემცვლელი გახდეს“ (ს ტ ა ლ ი ნ ი).

როდის შეიძლება ამას მოსწავლე ახალგაზრდობა?

დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ამ ისტორიული მითითების მოწოდების სიმალლეზე ჩვენი ახალგაზრდობა მაშინ აღმოჩნდება, როდესაც იგი შესძლებს:

„განვითარდეს და დაწინაურდენ ძირითადი ფაქტების ცოდნით“ (ლ ე ნ ი ნ ი).

სწავლებაში მთავარი და გადაწყვეტია არა მასალათა სიუხვე, არამედ შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი. აი რას გვასწავლის ამის შესახებ დიდი ლენინი.

„ჩვენ არ გვინდა ზეპირობა, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ყოველი მოსწავლის გონება განვითარდეს და დაწინაურდეს ძირითადი ფაქტების ცოდნით, ვინაიდან კომუნისში შინაარსს დაკარგავს, ჰაერში გამოკიდებული დარჩება, კომუნისტი უბრალო მკვებარა ადამიანად გადაიქცევა, თუ მის შეგნებაში არ გადამუშავდა მთელი მიღებული ცოდნა. თქვენ არა მარტო უნდა შეითვისოთ ის, არამედ ისე უნდა შეითვისოთ, რომ კრიტიკულად შეგეძლოთ მისდამი მიდგომა, რათა არ გაიგსოთ თავი იმ ნაგავით, რომელიც საჭირო არაა, არამედ გაამდიდროთ ის ყველა იმ ფაქტის ცოდნით, ურომლისოდაც შეუძლებელია თანამედროვე განათლებული ადამიანი“¹).

ვლ. ლენინის ეს გენიალური აზრი მეცნიერების თანამიმდევრულად, შეგნებულად დაუფლების შესახებ საბჭოთა სკოლაში სწავლების პრინციპის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს.

პედაგოგიკურ მეცნიერებისათვის დიდიხანია ცნობილია ის უდავო ჭეშმარიტება, რომ სისტემატური ვარჯიში და განმეორება „დედა“ ცოდნისა, ხოლო სწრაფად შეთვისებული სწრაფადვე ჰქრება. „უეჭველია, ერთგვარი კავშირი აქვს ამასთან ზეორო ფაქტორს: „სწრაფად დასწავლილი სწრაფადვე გვავიწყდება“-ო. ამბობენ და მართლაც, როგორც მოემანის და ებერტის ცდებიდან ჩანს, ეს დებულება ექსპერიმენტულადაც მართლდება“²).

ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ მყარი მეხსიერებისათვის ერთგვისი აღქმა საკმარისი არ არის, ხოლო მასალის დასწავლა კი მრავალგზის განმეორებას საჭიროებს.

„დასწავლა ერთსა და იმავე მასალაზე ხანგრძლივ შეჩერებას გულისხმობს: მიწოდებული ექსპერიმენტული მასალის დამახსოვრება ერთი წაკითხვით არ ხერხდება—საჭირო ხდება მისი მრავალგზისი განმეორება. საიდან შეიძლება ამ განმეორების იმპულსი გამომდინარეობდეს?

¹) ლენინი—სახალხო განათლების შესახებ, ქართული გამოცემა, გვ. 207.

²) დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 317.

თვითონ მასალა უშუალოდ, რასაკვირველია, ამის იმპულსს არ იძლევა, იმიტომ რომ სუბიექტს თვითონ განმეორების მოთხოვნილება კი არ აქვს, არამედ იმისი, რაც ამ განმეორების საშუალებით იქნება მიღწეული“¹⁾.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მწერლის შესწავლა რამდენიმე წელიწადს (4—5 წ.) გრძელდება, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, პირიქით, პედაგოგიურადაც გაუმართლებელია, სწავლების მე-3—4 წელს ისეთი ცნობების მიცემა მწერლის ბიოგრაფიიდან, როგორცაა: მწერლის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი, მწერლის მშობელთა ვინაობა, ვინ შეასწავლა მას წერა-კითხვა და სხვა. ამგვარი დეტალებისათვის სწავლების პირველი ორი წელი საესებით საკმარისია. სწავლების უკანასკნელ წელს, როდესაც ასალმასალასთან დაკავშირებით ვარკვეთ მწერლის ადგილს ლიტერატურის ისტორიაში, მოსწავლეთ უნდა მოვავლოთ დაქტები მწერლის ბიოგრაფიიდან. რომელთა აღდგენა მოსწავლეთა მენსიერებაში უმტკიენეულოდ (თუ თავის დროზე საფუძვლიანად იყო შესწავლილი) შეიძლება კითხვა-პასუხის საშუალებით. ამ შემთხვევაში სამუშაო ხალისით შესრულდება და ეფექტიც გაცილებით მეტი იქნება. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ დროსაც ვიგებთ.

დასკვნა: მწერლის ბიოგრაფიის შესწავლისათვის განკუთვნილი მასალა უნდა შემცირდეს არსებითად, ძირითადის წინა პლანზე წამოწევის გზით და სასწავლო გეგმით ნეარაუდვი დროის შესაბამისად, ან თვით სასწავლო გეგმა გადიდდეს, შეუფარდდეს მასალას. რომელი გზა შეიძლება რეკომენდებული იქნას, რომელი უფრო ეფექტური იქნება? თუ კი იქნება შესაძლებლობა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დრო გადიდდეს, ეს, ცხადია, უფრო მისაღებია; მაგრამ რამდენადაც წინასწარ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მწერლის ბიოგრაფიის შესასწავლად საათების გადიდება შეიძლება თვით მწერლის მხატვრული პროდუქციის შესწავლისათვის განკუთვნილი დროის ხარჯზე მოხდეს, ამდენად ეს გზა უარსაყოფია.

აქ არ ვეხებით იმ მწერალთა ბიოგრაფიის სწავლების მეთოდის საკითხს, რომლებიც საშუალო სკოლაში ერთი წლის განმავლობაში ისწავლებიან. მაგრამ ისეთი მწერლების ბიოგრაფიის შესასწავლად, რომელთაც 4—5 წლის მანძილზე (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.), ვასწავლით, საესებით საკმარისია მოცე-

¹⁾ იქვე—გვ. 301.

მული დრო (4—5 საათი), მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ მათი ბიოგრაფია ყოველწლიურად უნდა ისწავლებოდეს არა „დაბადებიდან სიკვდილამდე“, როგორც ეს წარმოდგენილია ამჟამად არსებული ლიტერატურის სახელმძღვანელო-ქრესთომატიებში, არამედ იმ მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენებით, რომელთა შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი.

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის შესწავლა

ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიის შესწავლა მე-5 კლასში დამუშავებული აქვს ამხ. გ. ბარამიძეს („ილია ჭავჭავაძის შესწავლა მე-5 კლასში“, დაწყებითი და საშ. სკოლის სამეცნ.-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა, 1939 წ.), იგი მცირედი შესწორებით შეიძლება გადაეზიარებინა, მაგრამ არის ერთგვარი დაბრკოლებაც. გრ. ბარამიძე წერს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“ მოცემული მასალების გარდა დამატებით უნდა გაშუქდეს შემდეგი საკითხები:

1. ილიას ბავშობის პერიოდი (ამ თავთან დაკავშირებით რეკომენდებულია მთელ რიგ პირთა მოგონებანი. ასე, მაგალითად: სალომე ლოლაძისა, ილიას დის ელისაბედ საგინაშვილისა, კობტა აფხაზისა და სხვ. შ. კ.).

2. პეტერბურგში ცხოვრების პერიოდი.

3. რატომ დაანება თავი ილიამ უმაღლეს სასწავლებელს?

4. ილიას დამოკიდებულება ძველ თაობასთან.

5. ეპიზოდები ილიას სამსახურის პერიოდში.

6. დაწესებულებანი, სადაც მსახურობდა ილია.

7. რას წარმოადგენდა სახელმწიფო საბჭო.

8. საკითხი, თუ რატომ მოკლეს ილია?

ასეთია საკითხების ის თანამიმდევრობა ამხ. ბარამიძის წიგნის მიხედვით, ილიას ბიოგრაფიის შესასწავლად რეკომენდებული, რომელიც „ლიტერატურის ქრესტომათიაში“ წარმოდგენილი მასალის დამატებით უნდა მიეცეს მე-5 კლასს. ამას თან ერთვის დიდაქტიკური მასალების ჩვენებაც: „ფოტოსურათები: სახლი ყვარელში, სადაც დაიბადა ილია, სახლი საგურამოში, მისი დების სურათი, სალომე ლოლაძე, ილია პეტერბურგელ სტუდენტთა

გეტუში, წიწამური, — ადგილი, სადაც მოკლეს ილია, მასი ძეგლი და სხვა¹⁾).

ყველა ამ მასალისათვის ვანკუთენილია ერთი გაკვეთილი, ე. ი. 18—20 წუთი (ჩვეულებრივ მიღებულია გაკვეთილზე ახალი მასალის ახსნისათვის 18—20 წუთი და ამას გრ. ბარამიძეც იზიარებს).

მარტო იმ ფოტოსურათების დასათვალიერებლად, რომლებიც გრ. ბარამიძის წიგნშია დასახელებული, კლასს დასჭირდება არა ნაკლები 20 წუთისა.

დროის რომელ მონაკვეთში უნდა მიეცეს კლასს ძირითადი მასალა მწერლის ბიოგრაფიიდან?

სამწუხაროდ, ანგარიშგაუწველობა დროისა და მასალის თანაფარდობისათვის დამახასიათებელია არა მარტო ამხ. გრ. ბარამიძის დასახელებულ მეთოდური შრომისა, არამედ ნიშანდობლივია, საერთოდ, ყველა იმ მეთოდისტთა შრომებისა, ვისაც კი მწერლის ბიოგრაფიის სწავლების მეთოდისკაზე ანალოგიური ნაშრომი აქვს (გოლუბკოვი, ლიტვინოვი და სხვ.).

საზოგადოდ ცნობილია, რომ მწერლის ბიოგრაფიის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მწერლის თანამედროვეთა მოგონებებს, მაგრამ დიდი სიფრთხილე გვმართებს ამ შემთხვევაში.

მოგონებებიდან კლასში შესასწავლად შერჩეულ უნდა იქნეს განსაკუთრებით ისეთი მასალა, რომლის გამოყენება ხელს შეუწყობს, როგორც აღმზრდელობით მხარის ვაძლიერებას, ისე თვით მწერლის თვისებათა განზოგადებას და მისი შემოქმედებითი პროცესის თანმიმდევრული განვითარების გარკვევას.

ამრიგად, ფაქტები მწერლის ბიოგრაფიიდან, რომლებიც კლასს უნდა მივაწოდოთ საჭიროებს ზედმიწევნით შესწავლას, განსაკუთრებულ სიფრთხილეს, ყოველმხრივ გაანალიზებას.

შესაძლებელია, რომ ესა თუ ის მომენტი მწერლის ცხოვრებიდან, რომელიც მწერლის რომელიმე თანამედროვის მოგონებაშია გაშუქებული, გარკვეულ შედეგს, ცხადია, დადებითს შეიცავდეს ერთი მიმართულებით და ამდენად სასურველი იყოს შისი. მოსწავლეთათვის მიწოდება.

პარალელურად ისიც უნდა იყოს გაანალიზებული — ნავარაუდევია, თუ ამ მომენტის მეორე ნხარე როგორ შედეგს გამოიღებს, რა გავლენას მოახდენს მოსწავლეებზე.

1) გრ. ბარამიძე — „ილია ჭავჭავაძის შესწავლა მე-5 კლასში“, გვ. 11.

გაუმართლებელია მწერლის თანამედროვეთა მოგონებებიდან ყოველგვარი მასალის მიწოდება ამა თუ იმ მწერლის ბიოგრაფიის გაცნობისას (განსაკუთრებით დაბალ კლასებში). ამის საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი ფაქტების დასახელება: ამხ. გრ. ბარამიდეს თავის მეთოდურ შრომაში მოჰყავს მოგონებიდან შემდეგი ადგილი: „მეორე ახალგაზრდა კი ეუბნებოდა ნიკო ნიკოლაძეს:

„გაიხსენე ჩემი სიტყვები, თუ შენც ისე არ წახნდე, როგორც ილია ჭავჭავაძე წახნდა, ისიც აქ შილერის, ბაირონის და ვალტერ-სკოტის კითხვის მეტს არაფერს აკეთებდა და დაესხა თავსლადი, ისე წახნდა, რომ კურსი ვერ შეასრულა, უღიპლომოდ წაბრძანდა, აბა, ახლა რა ადგილი უნდა მიიღოს მან“).

ამას ამხ. გ. ბარამიძე შემდეგნაირად ასაბუთებს:

„ასეთი ამბები ბავშებს ძალიან აინტერესებთ, ამავე დროს ეს მოგონებანი ბავშებს შეიყვანს ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის ინტერესთა წრეში, დაანახვებს, რით განსხვავდებოდა პოეტი ჩინოკნიკობის მოტრფილე ახალგაზრდობისაგან“¹⁾.

ჩვენ არას ვლაპარაკობთ ამ მოგონების ღირებულებაზე საზოგადოდ, აქ საკითხის მეორე მხარე გვაინტერესებს: იქნება თუ არა პედაგოგიკურად გამართლებული მისი ამ სახით მოსწავლეთათვის მიწოდება?

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მასალის განზოგადოება მე-5 კლასში არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი ეწინააღმდეგება ილიას ბიოგრაფიიდან საზოგადოდ ცნობილ ფაქტებს და თვით ილიას ნაწერებს.

განა ილიამ არ დაწერა პეტერბურგში გატარებული ოთხი წლის შესახებ:

„ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვისა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა, ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშკენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალღ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხი წელიწადო! ნეტავ იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი, ფეხთა ქვეშ არ ჩასტყლიძია, ნეტავ იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“.

შორს რომ არ წავიდეთ, მოვუსმინოთ თვით ამხ. გრ. ბარამიდეს: „უნდა აღინიშნოს, რომ ილია იქ (ეგულისხმება პეტერბურგი შ. კ.) იჩენდა დიდ ენერგიას, ბევრს მეცადინეობდა“²⁾.

¹⁾ გრ. ბარამიძე—ილია ჭავჭავაძის შესწავლა მე-5 კლასში, გვ. 7.

²⁾ გრ. ბარამიდის დასახელებული წიგნი, გვ. მე-6.

ზოგი მეთოდისტი ფიქრობს, რომ მწერლის ბიოგრაფიის შეწავლისას წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული ისეთი ფაქტები, რომლებიც მწერალს, როგორც ადამიანს—მოქალაქეს კეთილშობილად წარმოგვისახავს. მაგრამ ამავე დროს არამც თუ შესაძლებლად (განურჩევლად კლასისა—მოსწავლეთა ასაკისა), არამედ აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევენ ისეთი ფაქტების განზოგადოებასაც, რომლებიც მწერლის სასარგებლოდ არას ლაპარაკობენ, პირიქით, ზოგჯერ ჩირქსაც სცხებენ მას. ასეთი შეხედულება უსათუოდ მცდარია. მე-9, 10 კლასებში მწერლის ბიოგრაფიიდან ანალოგიური ფაქტების მიწოდება პრინციპულად დასაშვები იქნება, მაგრამ მისი გავრცელება დაბალ კლასებში (მე-5—6 კლასებში) მიზანშეუწონელი და გაუმართლებელია.

თუ დასახელებულ მასალას მივყევით, გამოდის, რომ მას, ილიას, შილერისა, ბაირონისა, და ვალტერ სკოტის ნაწერებმა ხელი ააღებინეს უნივერსიტეტში მეცადინეობაზე და ამ ხელშეშლამ იგი „კურსდაუმთავრებელი, უდიპლომოდ წააბრძანა“ თავის სამშობლოში. ფაქტები კი საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ, თუ კი მე-5 კლასელებს დასახელებული მოგონება განზოგადოებული სახით მივაწოდეთ, შემდეგ, რაც არ უნდა ვუმტკიცოთ „რატომ დაანება ილიამ თავი უმაღლეს სასწავლებელსო“ (იქვე არის ქვე სათაური გრ. ბარამიძის ზემოდ დასახელებული შრომისა შ. კ.) ვერ დავარწმუნებთ მათ იმ ფაქტის სისწორეში, რაც ილიას ბიოგრაფიიდან ცნობილია მისი პეტერბურგში ყოფნის პერიოდზე და რომლის შესახებაც ამხ. გრ. ბარამიძე იქვე, დასახელებულ შრომის მე-7 გვერდზე, დაბეჯითებით წერს შემდეგს: „საჭიროა მოწაფეებს გაეაცნოთ, რომ ილიამ უნივერსიტეტი დატოვა იქ გამეფებული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად: (ზახე ჩვენია შ. კ.) ამის შესახებ მოგონებას იძლევა კობტა აფხაზი და თვით ილია თავის ავტობიოგრაფიაში“.

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეებმა მიბაძონ ამ მაგალითს და საერთო თვითგანვითარებაზე გამოდევნების საფარქვეშ, ვაი თუ, სასწავლო გეგმით სავალდებულო საგნების სწავლება განზე გადასდონ. საერთოდ, ვინც სკოლას იცნობს, იცნობს ჩვენს მოსწავლეებს, განსაკუთრებით მის ერთ მცირე ნაწილს, რომელიც „ორიანების“ პატენტოვანი მფლობელია, ნათლად წარმოიდგენს მათს სახეს იმ მომენტში, როდესაც ამ „ბეჯით“ ყმაწვილთ დარიგებას აძლევს საგნის მასწავ-

ლებელი, კლასის დანრიგებელი, სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის დირექტორი ანუ მოთმინებიდან გამოსული მშობელი; მათ, ამ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთ შეუძლიათ თავის აკადემიურ ჩამორჩენილობის გასამართლებლად წამოაყენონ შემდეგი მოსაზრება:—ილია ჭავჭავაძეს პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნისას სავალდებულო საგნები სულ არ უსწავლია და კურსიც არ დაუსრულებია, მაგრამ აბა, რა ურიგო კაცი დადგაო და სხვ.

ამრიგად, მწერლის ბიოგრაფიის შესწავლა კლასში უნდა ხდებოდეს ყოველმხრივ შემოწმებული მასალის განზოგადოების გზით.

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია შეიდწლედის მე-5 კლასში შეიძლება შესწავლილ იქნას შემდეგი თანამიმდევრობით:

1. ილია ჭავჭავაძის ოჯახი.

2. ილიას ბავშობის პერიოდი—წერა-კითხვის შესწავლა სოფლის ღიაკვანთან და სხვა.

3. ილია ჭავჭავაძის პანსიონში, გიმნაზიის პერიოდი.

4. ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1857—1861 წ. წ.

5. 1861—1864 წ. წ. ილიას დაბრუნება სამშობლოში. ილია „საქართველოს მოამბის“ დამაარსებელი და ამ ჟურნალში მისი „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“ და „კაკო-ყაჩაღის“ გამოქვეყნება.

6. 1864—1875 წ. წ. ილია სახელმწიფო სამსახურში (ქუთაისში, დუშეთში).

7. 1875—1906 წ. წ. ილიას მოღვაწეობა თბილისში: ილია სათავადაზნაურო ბანკის გამგე, ილია ხელმძღვანელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ილია დამაარსებელი გაზეთ „ივერიისა“, ხელმძღვანელი დრამატულ საზოგადოებისა და სხვ.

8. 1906 წ. ილიას არჩევა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

9. ილიას მოკვლა.

მეხუთე კლასის „ლიტერატურის ქრესტომათიას“, ილიას ბიოგრაფიის გასავრცობად, სასურველია დაემატოს შემდეგი:

1. სალომე ლოლაძის მოგონებიდან: — „ცელქობა და თამაშობა აგრე რიგად არ უყვარდა. ძლიერ მეცადინეობდა და კითხვა უყვარდა. პატარობიდან ლექსებს გამოსთქვავდა ხოლმე. მახსოვს, ძალიან კარგი ლექსი გამოსთქვა კოშკზე, მარახზე... ხშირად მოიხმობდა ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა. ერთხელ ერთმა რაღაც ბინძური ლექსი უთხრა, ილიას არ ეჭაშნიკა და მოლექსე

გაადგო: „შენ კარგი ლექსები არ გცოდნია“-ო. მეტისმეტი ხათრიანი ბავში იყო“.

2. ადგილი თვით ილიას განცხადებიდან: — „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავად-აზნაურობამ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავად-აზნაურობის საპირობებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგი ჩემი ამომრჩეველნი, აქაურნი რუსთა აზნაურნი, ეს დიდი შეცდომაა.

არ დაფარავ და ვიტყვი: საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შეეწიროვ ძალღონეს“.

3. ადგილი თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ პოლიციის დეპარტამენტისადმი გაგზავნილ მიმართვიდან: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძე არის შესანიშნავი ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში, საერთოდ და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის, განსაკუთრებით“.

4. რამდენადაც შესაძლებელი იქნება, სასურველია ილიას პიროვნებასთან, მის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით ფოტოსურათების ჩვენება.

მე-5 კლასში არაა სავალდებულო და არც საჭიროა დეტალურად შეჩერება იმ საკითხებზე, რომლებიც ზემო დასახელებულ სქემაშია ნაჩვენები. მაგრამ არც ისე შეიძლება მავაწოდოთ კლასს, როგორც ეს ლიტერატურის ქრესტომათიაშია წარმოდგენილი. ქრესტომათიაში ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართველ დრამატულ საზოგადოებას და სხვადასხვა კულტურულ საზოგადოებებს“. აქ მხოლოდ უბრალო დასახელებაა (ისიც არა სრულად) იმ ორგანიზაცია-დაწესებულებათა, რომლებსაც ილია ხელმძღვანელობდა. საჭიროა გაირკვეს, რა თქმა უნდა, მოკლეც, თუ რას წარმოადგენდა ეს დაწესებულება-ორგანიზაციები და აგრეთვე ხაზი გაესვას იმ მდგომარეობას, რომ ილია ამ დაწესებულებათა ჩვეულებრივი ხელმძღვანელი კი არ იყო, არამედ მისი დამაარსებელი, ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი. საკითხის ამგვარი გაშუქებით ერთდროულად ორი ძირითადი ამოცანა შეიძლება გადაიჭრას: 1) გავაცნოთ მოსწავლეთ, თუ როგორი იყო ილიასდროინდელი კულტურული ვითარება და 2) გავარკვევთ ილიას უანგარო თავდადებას სამშობლოსათვის და

იმ ფასდაუდებელ სამსახურს, რომელიც მან, როგორც შემომქმედმა და საზოგადო მოღვაწემ, გაუწია ქართველი ერის კულტურულ აღმავლობას, ეკონომიურ განვითარებას და პოლიტიკური თვითგამორკვევას, გათვითცნობიერებას.

ილია ქავჭავაძის ბიოგრაფიის შესწავლა მე-6 კლასში არსებითად შეიძლება წარმართოს იმავე გზით, როგორც მე-5 კლ. იყო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მე-6 კლასში ილიას ბიოგრაფიის საფუძვლიანი შესწავლა უნდა დასრულდეს. მე-7 კლასში კი ილიას ბიოგრაფიიდან ისეთი საკითხები, როგორიცაა: მწერლის მშობლის ენობა, ბავშობის პერიოდი, წერა-კითხვის შესწავლა და შემდეგ ილიას მიერ სწავლის გაგრძელება უნივერსიტეტში და სხვა, მხოლოდ გასხენების ობიექტი უნდა იყოს სხვა კითხვებთან დაკავშირების საჭიროების შემთხვევაში.

ამრიგად, მე-6 კლასის ლიტერატურის ქრესტომათიაში წარმოდგენილ მასალას შეიძლება დაემატოს:

1. იმ ორგანიზაცია-დაწესებულებათა შედარებით ვრცელი დახასიათება, რომელთაც ილია ხელმძღვანელობდა. მაგ.: ქ. შ. წ. კ. გ. ს., დრამატიული საზოგადოება, სათავადაზნაურო ბანკი და სხვ.

2. აღმზრდელობითი მომენტის გამახვილების მიზნით დიდი მნიშვნელობა ექნება თუ დრამატიულ საზოგადოებაში ილიას მოღვაწეობის გაცნობასთან დაკავშირებით, ბავშვებს მიეწოდებოდა ილიას შეხედულებას თეატრზე საზოგადოდ: — „გაბედვით ვიტყვი, ჩვენში დიდებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარებისათვის სკოლას“¹⁾.

3. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მოსწავლეებში დიდ ინტერესს გამოიწვევს, თუ გავაცნობთ თვით ილიას ავტობიოგრაფიიდან ადგილს: „სწავლა 8 წლისამ დაიწყო ჩვენი სოფლისავე მთავართან — ქართულის წერა-კითხვისა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარვის მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვებისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოს.... სასარგებლოდ და დასაცველად.

ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის „დიმიტრი თავდადებული“ თემად გამოვიყენე მრავლის წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობაც დავეწერე.

¹⁾ ტ. 7, გვ. 311.

ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავარის ამბების გავლენისა“¹⁾.

მოსწავლეები ამით გაიგებენ, თუ როგორ იყენებდა ილია მასალად, თავის უკვდავი მხატვრული ნაწარმოებებისათვის ნახულს, გაგონილსა და განცდილს.

მე-6 კლასში სწორედ „გლახის ნაამბობი“ ისწავლება და ილიას ავტობიოგრაფიიდან აღნიშნული ციტატის მოყვანას, ამ ნაწარმოების შესწავლასთან დაკავშირებით დიდი ღირებულება ექნება.

4. ილიას მეგობარ კობტა აბხაზისა და თვით ილიას მოგონება (ავტობიოგრაფიიდან), თუ რატომ დაანება თავი ილიამ უნივერსიტეტს, ილიას ხასიათისა და პრინციპულობის გასარკვევად საკმაოდ დიდ შესაძლებლობას იძლევა და იგი მოხერხებულად ენდა იქნეს გამოყენებული. ცნობილია რომ ოთარაანთ ქვრივისა და მის ავტორს შორის ხასიათის სიმტკიცისა და პრინციპულობაში მსგავსებას პოულობენ ხოლმე, მაგრამ მე-6 კლასში მაინცდამაინც ამ საკითხის გაშლა არ იქნება მიზანშეწონილი, რამდენადაც „ოთარაანთ ქვრივი“ მათვის ჯერ კიდევ უცნობია. ეს შეიძლება გაღრმავებულ იქნეს მე-9 კლასში „ოთარაანთ ქვრივის“ შესწავლასთან დაკავშირებით.

5. სასურველია დემონსტრირება მე-6 კლასში შესასწავლ ნაწარმოებებისა და მათთან დაკავშირებულ ფოტოსურათების.

ილიას ბიოგრაფია მე-7 კლასში ძირითადად უნდა ისწავლებოდეს იმ პრინციპული გაგებით, რომ ყოველი ცალკეული მომენტი უნდა იყოს განხილული ილიას საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და შემოქმედებასთან კავშირში.

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის შესასწავლად წარმოდგენილი მასალა 1944 წელს გამოცემულ მე-7 კლასის ლიტერატურის ქრესტომათიაში, ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მაგრამ არა მთლიანად. ნაწილობრივ -საჭიროებს ტექნიკური თუ პრინციპული ხასიათის შესწორებებს, სახელდობრ:

ა) მასალა ილიას ბავშობის პერიოდისა, მისი მშობლების ვინაობისა, გიმნაზიის პერიოდის ჩათვლით, საესებით შეიძლება ამოღებული იქნას და ბიოგრაფია დაიწყოს ილიას სტუდენტობის ხანიდან. წარმოდგენილი იქნება ნი-იანი წლების ზოგადი მიმოხილვა, როგორც რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ისე საქართველოს ნი-იანი წლების რევოლუციონურ-დემოკრატიული აზროვნებისა.

¹⁾ „განათლება“ № 2, 1908 წ., გვ. მე-2.

გამანათავისუფლებელი მოძრაობის კორიფეების ჩერნიშევსკის, ბელინსკისა და სხვათა გავლენა ილიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

2. არ არის საჭირო და ამოსაღებია განმარტებები ისეთი თხზულებებისა, რომლებიც მე-7 კლასელთათვის ჯერ კიდევ უცნობია. ასეთი კი დასახელებულ სახელმძღვანელოში საკმაოდ ვრცელა დაა წარმოდგენილი, მაგ. „აჩრდილი“, „მგზავრის წერილები“ და სხვა. შეიდწლედის პროგრამის ფარგლებში, ილიას ადგილის გასარკვევად ქართულ ლიტერატურის ისტორიაში, სავესებით საკმარისია ის ნაწარმოებები, რომელთაც მე-7 კლასელები იცნობენ, როგორცაა: — „გაზაფხული“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გუთნის დედა“, „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „პოეტი“, „ბაზალეთის ტბა“, „სარჩობელაზე“ და სხვ.

ამგვარად მე-7 კლასში ილიას შემოქმედების დახასიათება, მისი ბიოგრაფიის შესწავლასთან დაკავშირებით, უნდა ვაწარმოოთ მე-5, 6, 7 კლასებში შესწავლილ ნაწარმოებთა მიხედვით.

მე-9 კლასში ილიას ბიოგრაფია შეისწავლება იმ თანამიმდევრობით და პრინციპული გაგებით, როგორითაც ისწავლება მე-7 კლასში, ცხადია, მასალის უფრო ღრმა ანალიზითა და განზოგადოებით. რა თქმა უნდა, უფრო ვრცელად უნდა გაეცვას ხაზი ილიას ღვაწლს პერიოდულ გამოცემებში და გაშუქებულ უნდა იქნას მაშინდელი სულის შემხუთავი საცენზურო პირობები. მკაცრი საცენზურო პირობები არა მარტო ზღუდავდა მოწინავე იდეების მქადაგებელ პუბლიცისტურ წერილებს თუ მხატვრულ ნაწარმოებებს, არამედ ხშირ შემთხვევაში სავესებით სპობდა-ანადგურებდა მას. 1887/88 წ.წ. ცენზურამ „ივერიას“ აუკრძალა ხელთნაწერების სახით ჟარმიდგენილი მრავალი ლექსი. ილია ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“ ცენზორმა წითელი მელნით დაფარა:

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პურობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულია მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა“.....

მთლიანად აიკრძალა ილიასავე „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „მუშა“, „გაზაფხული“, „ელეგია“ და სხვა!).

1) პაატა გუგუშვილი, „ივერია“ ცენზურის რეალში, საიუბ. კრებული, გვ. 209.

ცენზურული პირობების გასარკვევად მოსწავლეებს უსათუოდ უნდა ვუჩვენოთ ნაწილობრივ მაინც ცენზურის შესწორებანი, რაც სრულადაა წარმოდგენილი 1937 წ. გამოცემულ ილია ქავჭავაძის ნაწარმოებთა პირველ ტომში.

დასასრულ, ილიას ბიოგრაფიის შესწავლისას განსაკუთრებით უნდა იყოს აღნიშნული, რომ ილიას პირადი ცხოვრება და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ეს სამშობლოს საკეთილდღეოდ თავგანწირული, დაუღალავი ბრძოლის საუკეთესო ნიმუშია, რომ იგი შეუდრეკელი მებრძოლია სამშობლოს ყველა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ. ფართოდ უნდა გავაცნოთ მოსწავლეებს ილიას ძვირფასი თვისებები: პირდაპირობა, შეუდრეკლობა, სიმტკიცე, სიმართლისათვის თავდადებული ბრძოლა, გამოსარჩლება უღონოსი, პიროვნულის დამორჩილება საზოგადოებრივისადმი, მოყვრის პატივისცემა, მაგრამ მტრის დაუზოგველობა და სხვა.

დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის მსგავსად, ილია ქავჭავაძემ თავის დაუღალავი საზოგადოებრივი მოღვაწეობით, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირული ბრძოლითა და დიდი შთაგონების უკვდავი მხატვრული ნაწარმოებებით სამარადისო ძეგლი აიგო ქართველ მშრომელთა გულში. სწორედ ილიას ბიოგრაფიის დასკვნითს ნაწილში კლასს ვაცნობთ მადლიერი ქართველი ერისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ილიას ღვაწლის ღირსეულ დაფასებას. ესაა: ილიას ლაბადებიდან 100 წლის თავისადმი მიძღვნილი იუბილეს გადახდა, მისი ნაწარმოებთა თარგმნა საბჭოთა ხალხების სხვადასხვა ენაზე, ილიას ნაწერების აკადემიური გამოცემა და სხვა. განსაკუთრებით უნდა გამაზვილდეს ყურადღება იმაზე, რომ ილიას უანგარო ღვაწლი თავის ქვეყნის წინაშე მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში დაფასდა და ფასდება სათანადოდ და მისი ძვირფასი მემკვიდრეობა გარკვეულ გამოძახილს ჰპოულობს სოციალიზმის ქვეყანაში, სტალინურ ეპოქაში.

სასწავლო გეგმით, ილიას ბიოგრაფიის შესწავლას კლასების და მიხედვით დათმობილი აქვს თითო გაკვეთილი, ეს დრო სავსებით საკმარისია მე-5, 7, 9 კლასებისათვის, მაგრამ მე-6 კლასში, რამდენადაც ჩვენი გეგმის მიხედვით, ნავარაუდევია ილიას ბიოგრაფიის შესწავლის დამთავრება ძირითადად, ამდენად სასურველი იქნება ამისათვის განკუთვნილ იქნას ორი გაკვეთილი.

ილიას ბიოგრაფიის შესწავლის შემდეგ გადავდივართ უშუალოდ მისი შემოქმედების შესწავლაზე.

ილიას შემოქმედება მე-5—7 კლასებში

მე-5 კლასში ილიას შესასწავლად, ასწავლო გეგმით, განკუთვნილი 7 საათი. ეს დრო შემდეგნაირად შეიძლება განაწილდეს: თითო გაკვეთილი—ილიას ბიოგრაფიას, ლექსებს „გაზაფხულ“-ს და „ჩემო კარგო ქვეყანავ“-ს, ხოლო დანარჩენი ოთხი გაკვეთილი დაეთმობა პოემას—„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

პირველ გაკვეთილზე შესწავლილ იქნება ილიას ბიოგრაფია, ხოლო მეორე გაკვეთილზე საშინაო დავალების შესრულების შემოწმებისა და გაკვეთილის გამოკითხვის შემდეგ იწყება ილიას ლირიკული ლექსის „გაზაფხული“-ს (ტყემ მოისხა ფოთოლი) გარჩევა: „გაზაფხული“-ს გარჩევა იწყება მასწავლებლის მიერ ლექსის მხატვრული კითხვით. ამ ლექსის შესწავლასთან დაკავშირებით ვრცელი შესავალი (საუბარო) საჭირო არ არის, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ მოკლედ მოხაზული იქნება საქართველოს მდგომარეობა საზოგადოდ „გაზაფხულის“ დაწერის დროს.

„გაზაფხული“ მოცულობით ძალიან პატარაა, ენობრივადაც მარტივი და ადვილი დასაძლევია მოსწავლეთათვის, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს ყურადღება გაამახვილოს განსაკუთრებით ისეთ მხარეებზე, რომლებიც დიდი ლექსის შესწავლისას ვერ რიგად ვერ ხერხდება, სახელდობრ: მხატვრული კითხვის დაყენებაზე, მასწავლებლის ოსტატობასა და უნარზეა დამოკიდებული, თუ როგორ ჩაუნერგავს მოსწავლეთ ლირიკული ლექსების სიყვარულს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლექსის მხატვრულ კითხვას.

„გაზაფხულის“ კითხვას მასწავლებელი აწარმოებს გამომეტყველებით, მხატვრულად (და არა თეატრალურად) ამისათვის საჭირო ყველა ძირითად პირობის დაცვით. მიზანი რომ მიღწეულ იქნას, საჭიროა წინასწარი მოზადება ყოველ მხრივ და სრულის პასუხისმგებლობით. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ „გაზაფხული“, პირველი ლირიკული ლექსია, რომლითაც იწყება მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების სწავლება მე-5 კლასიდან, ხოლო ლირიკული

ლექსებისადმი ლტოლვა და სიყვარული თავიდანვე უნდა ჩაუნერგოთ მოსწავლეებს.

მასწავლებელი მის მიერ „გაზაფხულის“ მხატვრულად წაკითხვის შემდეგ ჯერ 2—3 კარგ მოსწავლეს წაკითხვებს ლექსს, ხოლო შემდეგ სხვებსაც. ლექსის მხატვრული კითხვის ტექნიკის არც ერთი „წერილმანი“ მასწავლებლის ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს. ამის შემდეგ მოწმდება, თუ რამდენად გასაგებია მოსწავლეთათვის ტექსტი, რისთვისაც მასწავლებლის დავალებით, მოსწავლეები გამოყოფენ მათთვის გასარკვევადგილებს: მაგ. „ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირის“, „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“ ამ ადგილებს ლექსიდან მასწავლებელი ხსნის თვით ტექსტის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ ეს მოსწავლეები ვერ შესძლებენ მათ გარკვევას. უცნობი სიტყვებისა და პოეტური თქმების მოსწავლეთა მიერ სალექსიკონო რვეულებში შეტანის შემდეგ მასწავლებელი გადადის ლექსის იდეურ-შინაარსობლივ და ფორმის (მარტივი სახით) ანალიზზე ¹⁾.

ლექსიდან ადგილის „მეტის ლხენითა სტირის“, ეპითეტის „ობოლი“ და სხვათა განმარტების შემდეგ გამოყენებული უნდა იქნას შემაჯამებელი კითხვები:

1. ლექსში წლის რომელი დროა აღწერილი?
2. პოეტი რას ნატრობს?
3. რას ნიშნავს მამულის აყვავება?
4. რა პოეტური ხერხია გამოყენებული ლექსში „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“?
5. აღსრულდა თუ არა პოეტის ნატვრა?

აღნიშნული კითხვები საორიენტაციოა. მუშაობის პროცესში შესაძლებელია მისი გაერცობა დაგვეჭირდეს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მთავარი: ლექსზე მუშაობისას კითხვა-პასუხებისათვის ძირითადი წყარო თვით ტექსტია, ამიტომაც მოსწავლეთა პასუხი, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ტექსტიდან სათანადო ადგილების ციტირებით უნდა იყოს დასაბუთებული.

„ჩემო კარგო ქვეყანავ“ მოცულობით, მართალია, უფრო დიდია „გაზაფხულზე“, მაგრამ არსებითი განსხვავება ამ ორ ლექსს შორის უანრისა და თემატიკის მიხედვით არ არის თითქმის და ამიტომაც კლასში მათი დამუშავების ხერხები ერთი და იგივე შეიძლება იყოს, ოღონდ ამ ორი ლექსის ერთმანეთთან შედარებისას

¹⁾ შესასწავლი ტექსტთან დაკავშირებით მოსწავლეები ლექსიკონზე მუშაობას აგრძელებენ დამოუკიდებლად (შინ).

განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება შემდეგ, მომენტზე: როგორც „გაზაფხული“, ისე „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ორივე უაღრესად პატრიოტული ლექსია, როგორც პირველი, ისე მეორე ლექსშიც მგოსანი მამულს, სამშობლოს უმღერის, მაგრამ თუ კი „გაზაფხულში“ პოეტის მხოლოდ ნატურაა: — „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები? და გარკვეული პერსპექტივა ამ ნატურის აღსრულებისა ჯერ კიდევ არ დასახულა მგოსნის წარმოდგენაში, სამაგიეროდ „ჩემო კარგო ქვეყანავ“ სულ სხვა სურათს შლის. ამ ლექსში გარკვევითაა მოცემული სამშობლოს უნუგეშო აწმყო, რომელსაც დროთა სიმუხთლემ ბრწყინვალე წარსულის ლამპარი ჩაუქრო და დააშორა დიდების დღენია, მაგრამ არ გამქრალა იგი ცეცხლი და კვლავ აღდგება უფრო ძლიერი: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!... აწმყო თუ არა გეწყალობს, მომავალი ჩვენია, თუმცა ძველნი დაგშორდნენ ახალნი ხომ შენია...“.

ამ ლექსში წარმოდგენილია არა მარტო ლიტონი წინასწარმეტყველება „მომავალი შენია“, არამედ საშუალებაცაა ნაჩვენები, თუ რა გზით მიაღწევს იგი (სამშობლო) ამ ბედნიერებას, უკეთესს მერმისს.

„წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცეები,
მათაჲ ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები,
მათის ღვაწლით შეგეგქმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოგიწყენია?..“

ასევე ნათლად აქვს წარმოდგენილი პოეტს ბრძოლის აუცილებელი საპირობება სამშობლოს განთავისუფლებისათვის, რისთვისაც იგი მხურვალედ მოუწოდებს მამულისშვილთ:

„მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია“.

ამ ორი ლექსის ერთმანეთთან შედარება, ერთი მხრით, მოსწავლეთ ნათლად დაანახებებს პოეტის შემოქმედებითი ზრდის პროცესს („გაზაფხული“ დაწერილია 1861 წ., „ჩემო კარგო ქვეყანავ“ კი 1872 წ.) და მეორე მხრივ, განამტკიცებს შესწავლილი მასალის („გაზაფხული“) ცოდნას. აქვე უნდა შეგინშნოთ, რომ ასეთი ურთიერთ დაკავშირება — შედარება ნაწარმოებთა ჩვეულებრივ მიღებულია მხოლოდ თემის ამოწურვის შემდეგ, რაც ასე საპირო და აუცილებელია მთლიანად შთაბეჭდილების მისაღებად, მაგრამ მასალის შეთვისების ეფექტიანობა უსათუოდ დიდი იქნება, თუ კი ყოველდღიური სწავლებისას, ცალკეულ შემთხვევაში, სადაც კი კონკრეტული შემთხვევა იძლევა ამის შესაძლებლობას, გამოყენებული იქნება ანალოგი-

ური დაკავშირება მომდევნო, ახალი მასალისა წინა მასალასთან, იქნება ეს ლექსი, მოთხრობა, პოემა, თუ სხვა ჟანრის ნაწარმოები.

მე-4 გაკვეთილზე იწყება შესწავლა პოემისა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ეს პოემა პირველი დიდი მხატვრული ტილოა, რომლის შესწავლაც უხდებოდა მე-5 კლ. მოსწავლეთ, და ამიტომაც მასწავლებელმა განსაკუთრებული მონდობა, დიდი ენერჯია, ვულსისურო, პედაგოგიური ოსტატობის მთელი შესაძლებლობანი უნდა გამოიყენოს, რათა თავიდანვე ჩაუნერგოს მოსწავლეთ ფაქიზი გრძნობა, დიდი სიყვარული მშობლიური ლიტერატურის, მხატვრული ძეგლების შესწავლისა. აღნიშნული პოემის შესწავლა სასურველია გაწარმოოთ შემდეგი გეგმით:

პირველი გაკვეთილი:

საორიენტაციო შესავალი, სადაც მოკლედ, მაგრამ მკვეთრად წარმოდგენილი იქნება ბატონყმური წყობილების მახინჯი სახე. შემდეგ მასწავლებელი ფრონტალური კითხვების საშუალებით მოსწავლეთა მხსიერებაში აღადგენს, თუ რა იციან მათ ბატონყმობის შესახებ. მე-5 კლასელთ ამ დროისათვის უკვე შესწავლილი აქვთ „არსენას ლექსი“, რომელიც სათანადო ადგილების ციტირებით გამოყენებული იქნება ბატონყმობის დასახასიათებლად. ამ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეთ აცნობს ახალ მასალას.

მასწ. დღეს ვაგაცნობთ ბატონყმობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებს, ილია ჭავჭავაძის პოემას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. იგი პოეტმა დაწერა 1860 წელს, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ბატონყმობა მძვინვარებდა საქართველოში და აღწევდა თავის განვითარების უმაღლეს წერტილს.

ტექსტის შესწავლა იწყება მასწავლებლის მიერ პოემის მხატვრული კითხვით. მასწავლებელი პოემას კითხულობს მთლიანად ბოლომდის, დამთავრების შემდეგ განმარტავს ტექსტში წარმოდგენილ ზოგიერთ უცხო სიტყვას, რომელთა განუმარტავად დატოვებამ შეიძლება დიდად დააბრკოლოს მოსწავლეები პოემაზე, დამოუკიდებლად მუშაობისას (დიდი ნაწილი მეთოდისტებისა იმ აზრისაა, რომ გაუგებარი სიტყვები განმარტებულ იქნას მასწავლებლის მიერ კითხვის პროცესში გზადაგზა. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არ არის სწორი და პედაგოგიურად მისაღები, რადგანაც მას დისონანსი შეაქვს მუშაობის პროცესში და დიდად აბრკოლებს მთლიანი შთაბეჭდილების მიღებას, გარდა ამისა, გზას უხშობს მოსწავლეთა ინიციატივას კვლევითი მუშაობისას).

ამით მთავრდება პირველი გაკვეთილი და მოსწავლეთ ეძლევა დავალება: წაიკითხონ პოემა 2-3 ჯერ ყურადღებით და ამოწერონ მათთვის უცნობი სიტყვები და გაუგებარი ადგილები.

მეორე გაკვეთილი იწყება მოსწავლეთა მიერ პოემიდან ამოწერილი უცნობი სიტყვებისა და ადგილების ახსნა-განმარტებით. ეს პროცედურა ტარდება მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მაგრამ თვით მოსწავლელთა მეშვეობით. ამის შემდეგ მოსწავლეები რიგ-რიგობით კითხულობენ პოემას. გაკვეთილის ახალი მომენტი იქნება საკვანძო კითხვების საშუალებით, პოემის შინაარსის მოყოლა გაცნობა. იმის გასარკვევად თუ როგორ ესმით მოსწავლეთ პოემის შინაარსი, შეიძლება დასმულ იქნეს შემდეგი კითხვები:

1. მასწ. რით იწყება პოემა?

მოსწ. პოემა იწყება ალაზნის ველის აღწერით (მოაქვთ ადგილი „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი“).

მასწ. ზაქრომ სიყმაწვილის წლები სად გაატარა?

მოსწ. ზაქრომ სიყმაწვილის საუკეთესო წლები გაატარა ბატონის სამსახურში (მოაქვთ ადგილი პოემიდან „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი“).

მასწ. ვინ იყო ზაქროს მამა?

მოსწ. ზაქროს მამა იყო მშრომელი, მხნე, გამრჯე, ყმა-გლეხი. (მოაქვთ ადგილი „მე მამა მყავდა მხნე კაცი, გამრჯე“).

მასწ. ზაქროს მამა ბატონთან რისთვის მივიდა?

მოსწ. ზაქროს მამა ბატონთან თხოვნით მივიდა, რათა დაებრუნებიათ მისთვის ერთადერთი მარჩენალი შვილი (მოაქვთ ადგილი „დამითმე შვილი“).

მასწ. ბატონმა ზაქროს მამას რა უპასუხა?

მოსწ. ბატონმა ზაქროს მამის თხოვნა არ დააკმაყოფილა, გაბედული მოთხოვნისათვის კი იგი გააროზგვინა (მოაქვთ ადგილი „ჩიბუხის ტარით“).

მასწ. ზაქრომ როგორ უპასუხა ბატონის სიმკაცრეს?

მოსწ. თოფით მოჰკლა თვითონ ბატონი.

მასწ. ამის შემდეგ ზაქრო სად მიდის?

მოსწ. ბატონის მოკვლის შემდეგ ზაქრო ყაჩაღად გავარდება.

მასწ. ზაქრო ყაჩაღად გავარდნის შემდეგ ვის დაუმეგობრდა?

მოსწ. ზაქრო დაუმეგობრდა ცნობილ ყაჩაღს — კაკო ბლაქიაშვილს.

მასწ. საიდან იცნობდა ზაქრო ყაჩაღ კაკო ბლაქიაშვილს?

მოსწ. კაკო ბლაქიაშვილის სახელს იცნობდა ყველა დიდი და პატარა (მოაქვთ ადგილი „შენი გაცნობა არ არის ქნელი“).

გამთლიანების მიზნით 2—3 მოსწავლე რიგრიგობით მოყვება პოემის შთლიან შინაარსს. მოსწავლეთ ეძლევა დავალება: შეისწავლონ პოემიდან საზეპირო ადგილები: „სამშობლოს ცასა“... ვიდრე: „მწუხარ სიმღერას დაჰლულუნებდა“.

2. „გულს გული იცნობს და ღონეს—ღონე“... ვიდრე: „სადაც ჩვენა ვართ ჩვენი ბატონი“.

საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ მესამე გაკვეთილი მოხმარდება იმის გარკვევას, თუ პოემაში მოქმედება როგორ ვითარდება. ამ მიზნით პოემა დაიყოფა ნაწილებად. თითოეულ ნაწილს გაუკეთდება შესაფერისი სათაური, ცხადია, მოსწავლეთა მიერ მაგრამ მასწავლებლის კონტროლითა და ხელმძღვანელობით. ასეთი სახის მუშაობისას, ჩვეულებრივ, მოსწავლეები სხვადასხვა სათაურს ასახელებენ ხოლმე, რომელთაგანაც მასწავლებლის ხელმძღვანელობით დადგინდება საბოლოო რედაქცია სათაურისა, რომელიც იწერება დაფაზე და მოსწავლეებს შეაქვთ თავიანთ საშინაო რეველში.

მასწ. პოემის შესავალში რა არის აწერილი?

მოსწ. პოემის შესავალ ნაწილში აწერილია მდინარე ალაზნის ველი ღამით (მოაქვთ ადგილი „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი“).

მასწ. პოემის ამ ნაწილს, როგორი სათაური შეიძლება მივსცეთ?

მოსწ. პოემის ეს ნაწილი შეიძლება დავასათაუროთ: მდინარე ალაზნის ველი ღამით.

მასწ. პოემის შემდეგ ნაწილში რა სურათია მოცემული?

მოსწ. პოემის შემდეგ ნაწილში მოცემულია ზაქრო და მეურმის შეხვედრა.

მასწ. როგორ შეიძლება დავასათაუროთ?

მოსწ. ზაქროს შეხვედრა მეურმესთან.

მასწ. შემდეგ რა სურათი იშლება?

მოსწ. შემდეგ მოცემულია ზაქროს და კაკოს შეხვედრა ტყეში.

მასწ. როგორ შეიძლება დავასათაუროთ?

მოსწ. კაკო და ზაქროს შეხვედრა—გაცნობა.

პოემის ბოლომდე დაყოფა ნაწილებად გაკვეთილზე ტექნიკურად მოუწერებელი იქნება და არც იქნებოდა სასურველი, რადგანაც ის მოსწავლეთა მიერ უნდა იქნეს შესრულებული დამოუკიდებლად, რაც შთა შიაჩვევს დამოუკიდებელ მუშაობას.

ამრიგად, მესამე გაკვეთილი მთავრდება საშინაო დავალების მიცემით:

ა) შეისწავლონ საზეპირო ადგილები „ვიცი მე, ძმაო, არ გამოწყურები“... ვიდრე: „თითოსა მაინც ყველა ვიტყოდით“.

ბ) გააგრძელონ პოემის დასათაურება ბოლომდის, ცალკე ნაწილებისა მიხედვით.

მეოთხე გაკვეთილი იწყება იმის შემოწმებით, თუ რამდენად მართებულად დაასათაურეს პოემის ცალკეული ნაწილები და გამოკითხული იქნება საზეპირო ადგილები. პოემის შინაარსის საფუძვლიანად შესწავლისა და გეგმის საბოლოო რედაქციის დადგენის შემდეგ მასწავლებელი გადადის პოემის ფორმის და შინაარსის ანალიზზე. ეს სამუშაო ნაწილი პოემის შესწავლის ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტია. მიღწეულ უნდა იქნას, რომ მოსწავლეებმა არა მარტო შინაარსი იცოდნენ პოემისა საფუძვლიანად და ამომწურავად, არამედ კარგად უნდა ერკვეოდნენ პოემის ძირითად აზრში და მის მხატვრულ ღირებულებაში, რისთვისაც, პირველ რიგში, მასწავლებელი მოსწავლეთ აცნობს პოემის დაწერის თარიღსა და მოხერხებულად დასმულ მიმყვან კითხვათა საშუალებით (გამეორების სახით) გააშუქებს ბატონყმური ინსტიტუტიდან მომდინარე იმ პირობებს, რომელთა გამო მრავალტანჯული ყმა-გლეხი თავშესაფარს ეძებდა უღრან ტყეში, ნაცვლად თავის მოძმეთა შორის პარტიოსანი ცხოვრებისა და თბილი ბინისა.

მასწ. დამიხსიათეთ, როგორი იყო ზაქროს ბატონი?

მოსწ. ზაქროს ბატონი იყო რეგვანი, გულქვა, მხეცი (მოაქვთ ადგილი: „მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი, ერთი აჯამი, გულქვა, რეგვანი“).

მასწ. ეს ხომ ზაქროს სიტყვებია, პოემის სხვა ადგილიდან თუ დასტურდება, რომ ის იყო მხეცი, გულქვა, რეგვანი.

მოსწ. დიახ, პოემის სხვა ადგილიდანაც დასტურდება. რომ ის იყო მხეცი, გულქვა, რეგვანი, მან არ შეიწყნარა ზაქროს მამის სამართლიანი თხოვნა. ადგილი: „გამეცა, ვირო, მელრიჯები, თუნდსულიც გაგძვრეს“ და სხვა.

მასწ. რამ აიძულა ზაქრო, რომ ყაჩაღად გაეარდინლიყო?

მოსწ. უსამართლობამ, ძალმომრეობამ, სწეული მამის უდანაშაულო სისხლისათვის შურისძიების გრძნობამ იგი გააყაჩაღა (მოაქვთ ადგილი: „გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი, ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“).

მასწ. ზაქრომ ამიერიდან თავისი ბედი ვის დაუკავშირა?

მოსწ. ზაქრო წავიდა ტყეში ყაჩაღ კაკო ბლაქიაძევილთან, რათა ამიერიდან მანაც გაიზიაროს ბლაქიაშვილის მწარე ხვედრი.

მასწ. კაკო და ზაქრო როგორ ცხოვრობდნენ ტყეში და იყვნენ თუ არა კმაყოფილნი თავიანთი ბედისა?

მოსწ. ისინი აუტანელ გაჭირვებას განიცდიდნენ: შიმშილს, უსახლკარობას, მაგრამ მაინც კმაყოფილნი იყვნენ, რადგან თავისუფლად გრძნობდნენ თავს (მოაქვთ ადგილი: „მაგრამ აქ კირიც გვიადვილდება“).

მასწ. მარტო კაკო და ზაქრო გახდნენ მსხვერპლი ბატონყმური უსამართლობა-ძალმომრეობისა, თუ ეს საერთო მოვლენა იყო?

მოსწ. არა, მარტო კაკო და ზაქრო არ ყოფილან ამ მდგომარეობაში, არამედ ეს იყო ხვედრი ყველა ყმა-გლეხისა (მოაქვთ ადგილი პოემიდან: „გლეხკაცისა და ყმის ლიტონი ბედი, ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“... „შენც, ძმაო, ვიცი, გაგიგონია, ყმის ბედი რა რიგ სწრაფად იცვლება“...).

ეს პოემა მდიდარ შესაძლებლობას იძლევა ვრცლად ვავარჯიშოთ მოსწავლეები სხვადასხვა სახის პოეტურ ხერხებზე, მაგრამ ცხადია, ერთი რომელიმე ნაწარმოების, კერძოდ პოემა „კაკო ყაჩაღის“ მიხედვით გაცნობა და ვარჯიში ყველა პოეტურ სახეებზე ნაკლებად სახალისო იქნება, პედაგოგიურადაც გაუმართლებელი. ამიტომ ამ პოემის შესწავლასთან დაკავშირებით სავსებით საკმარისი იქნება ვარჯიში ეპითეტებსა და შედარებებზე.

ეპითეტებზე ვარჯიშს უსათუოდ წინ უნდა უძღოდეს იმის გარკვევა, რომ ეპითეტი ის სიტყვაა ანუ სიტყვათა ჯგუფი; რომელიც შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით დაერთვის სხვა სიტყვას, მიუთითებს საგნის ან მოვლენის თვისებაზე და მხატვრულად განსაზღვრავს მას. ამგვარად, ეპითეტი მსაზღვრელი სიტყვაა, მაგრამ მოსწავლეთ უნდა გაავაგებინოთ, რომ ყოველი მსაზღვრელი სიტყვა არ შეიძლება იყოს ეპითეტი, არამედ გამოყენებული იყოს ლოგიკურ მსაზღვრელად. ე. ი. მსაზღვრელი სიტყვა მაშინაა ეპითეტი, როდესაც ის შეტი ემოციური გავლენის მოსახდენად მხატვრულად განსაზღვრავს საგანს ან მოვლენას. ასევე უნდა გაავაგებინოთ მოსწავლეთ, რომ ეპითეტად შეიძლება გამოყენებულ იქნას ზედსართავი სახელი, თვით არსებითი სახელი და სხვა. მაგრამ იმის გამო, რომ მე-5 კლასის მოსწავლეთათვის საფუძვლიანად ცნობილია მხოლოდ არსებითი და ზედსართავი სახელები, ამიტომაც ყურადღება უმთავრესად გამახვილებულ უნდა იქნეს ამ სიტყვებით გამოხატულ ეპითეტებზე. ეპითეტზე მუშაობა სწარმ ოებს სისტემატურად სწავლების პროცესში და,

ცხადია, რომ ეპითეტებზე მუშაობის სახეც იცვლება (რთულდება) მოსწავლეთა მომზადების დონის მიხედვით. „კაკო ყაჩაღს“ მე-5 კლ. შოსწავლეები სწავლობენ სასწავლო წლის დასაწყისში, რის გამოც მათთვის ძნელი იქნება დაძლევა რთული ეპითეტებისა, რომელთა სწავლება თუ არა შემდეგ კლასებისათვის, ყოველშემთხვევაში სასწავლო წლის ბოლო პერიოდისათვის უნდა გადაიდვას. ამგვარად, თვით ტექსტიდან მოყვანილი მასალის ანალიზზე ნაჩვენები უნდა იქნას ეპითეტების მხატვრული ემოციურობის ბუნება და მისი განსხვავება ლოგიკური მსაზღვრელისაგან. მაგალითად.

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი“.

ბატონის სახის სრულსაყოფად პოეტი ხმარობს ეპითეტს „მხეცი“. იგი მხატვრულად გვამცნობს მებატონის სიმკაცრეს, ველურობას, შეუბრალებლობას, მხეცურ ინსტინქტს. იგივე სიტყვა „მხეცი“ სხვა კონტექსტში სხვას ნიშნავს—ტყეში ბევრი მხეცი ცხოვრობს, მაგ.: მგელი, დათვი, ლომი და სხვა. პირველი მაგალითის მიხედვით იგი ეპითეტია, ხოლო მეორე მაგალითის მიხედვით არა. ეპითეტის გაგების შემდეგ მოსწავლეთ მიეცემათ დავალება, რათა ამოკრიფონ წაკითხული ტექსტიდან ეპითეტები: მკმუნავი მთვარე, მნათობნი მოკაშკაშენი, ალაზანი შეუპოვარი და სხვა. აღნიშნული ეპითეტები შეიტანონ საშინაო რვეულებში¹⁾.

ანალოგიური მუშაობა უნდა ჩატარდეს მხატვრული შედარების გაცნობისას მოსწავლეთ უნდა განემარტოთ, რომ ყოველგვარი შედარება არ ჩაითვლება მხატვრულ შედარებად, ე. ი. თუ შედარებაში ივარაუდება პირდაპირი გაგება, მაშინ იგი ჩვეულებრივი მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი მხოლოდ. მაგ.:—ჩვენი რგოლიც ისე დროულად ასრულებს გეგმას, როგორც თქვენი ბრიგადა, ჩვენი სკოლის ბაღი ისეთივე ლამაზია, როგორც თქვენი სკოლისა. ასეთი შედარება პოეტური მეტყველებისათვის სპეციფიკური არ არის. მხატვრული შედარების ნიმუშად ის მაგალითი გამოდგება, რომელშიდაც მოვლენის მხატვრულად გამოსახვის მიზნით ორი სხვადასხვა მოვლენა ერთიმეორესთან შეფარდებულია დამახასიათებელი ნიშნის მსგავსების ნიადაგზე, მაგალითად:

„მზე ჩაესვენა; მზის შუქი გამოსალმების ჟამს კავკასსა, თავსა ეხვევა აღერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა“ (გრ. ორბელიანი).

¹⁾ სასურველია მოსწავლევებს მიეცეთ საშინაო დავალება—შესასწავლი ტექსტის პარალელურად სხვა რომელიმე ნაწილზე თხზულებიდან ამოწერონ ანალოგიური ეპითეტები. ასეთი სახის მუშაობა უნდა ატარებდეს სისტემატურ ხასიათს:

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მხატვრული შედარება ძალიან ახლოს დგას მეტაფორასთან. ხშირად ვერ ხერხდება, ყოველ შემთხვევაში ძნელდება, მათი ურთიერთისაგან გარჩევა. ეს მომენტი შასწავლებელმა უსათუოდ უნდა გაითვალისწინოს მხატვრულ შედარებაზე მუშაობისას და განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ავარჯიშოს მოსწავლეები იმ მიმართულებით, რომ აღრევას არ დაურჩეს ადგილი. ასეთი სახის სამზადისის ჩატარების შემდეგ მოსწავლეთ ეძლევა დავალება, რომ ტექსტიდან ამოიწერონ მხატვრული შედარებები და შეიტანონ საშინაო რვეულებში. მაგ.:

„ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰპერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდევ ვით ღრუბელს ქარი“.

„მალთა, როგორც ხირიმის ტყვია,
და ტყვიასავით დაუნდობელი“.
გაფრინდა ცხენიც, ვით შავარდენი,
და მის ფეხის ხმას, ხმა მოსცა მთამა“ და სხვა.

გაკვეთილის დასკვნით ნაწილში მასწავლებელი მოკლედ გაურკვევს კლასს ავტორის განწყობა-შეხედულებას ბატონყმობაზე. საწერ თემად შეიძლება მიეცეს: ზაქროს თავგადასავალი.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ნათელსაყოფად, გავლილი მასალის გამოლიანებისა და მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით, სასურველია გამოიყოს ერთი გაკვეთილი, რომელიც კითხვა-პასუხის მეთოდზე დაყრდნობით აღადგენს მე-5 კლასში გავლილ მასალას. და სისტემაში მოიყვანს მას.

* * *

მე-6 კლასში ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია შეისწავლება, ისე როგორც ზემოდ გვქონდა ნაჩვენები.

სასურველი იქნება, რომ დამზადდეს პლაკატი, სადაც ნაჩვენები იქნება ილიას ცხოვრების მთავარი მომენტები და ღირსშესანიშნავი ადგილები (ილიას ბიოგრაფიის სწავლებას მე-6 კლასში შეიძლება დაეთმოს ორი გაკვეთილი, ჩვენი გეგმით ნაგარაუდები მასალის საფუძვლიანი გავლა-შეთვისება ამას მოითხოვს).

მე-6 კლასის პროგრამულ მასალის შესწავლაზე უშუალოდ გადასვლამდე საჭირო იქნება ერთგვარი კავშირის დამყარება ახალ შესასწავლ მასალასა და მე-5 კლ. გავლულ მასალას შორის ბიოგრაფიის გაცნობის პარალელურად, რის შემდეგ იწყება შესწავლა ლექსისა „გუთნის დედა“.

„გუთნის დედა“ ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსია. იგი ნათელ სურათს გვიხატავს გლეხკაცის ცხოვრების მძიმე პირობებისას. სათანადო კითხვების დასმით, მასწავლებელი მოაგონებს მოსწავლეთ, თუ ვის წინააღმდეგ იბრძოდა ილია და ვის ესარჩლებოდა იგი. ეს ხელს შეუწყობს გავლილი მასალის აღდგენა-განმეორებას და, რაც მთავარია, მოამზადებს ნიადაგს „გუთნის დედა“-ს უკეთ გაგებისათვის.

მასწავლებლის მიერ მხატვრულად წაკითხვის შემდეგ სამი-ოთხი მოსწავლე კითხულობს ლექსს გამომეტყველებით. გაუგებარი სიტყვების ახსნის შემდეგ შეიძლება გადასვლა ტექსტის სათანადო ადგილების განმარტებაზე. ამ ლექსის ღრმა სოციალური მნიშვნელობის გაგების მიზნით და მის გასარჩევად გამოიყენება კითხვები:

1. რას ადარებს პოეტი გლეხის ცხოვრებას და შრომას?
2. როგორი იყო გლეხის ცხოვრების დღენი?
3. როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმა: „რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით“.
4. გრძნობს თუ არა გლეხი თავის უმწეო მდგომარეობას და როგორ ურიგდება მას?
5. ვისი ქაპანი უფრო მძიმეა: ლაბასი თუ გლეხისა?
6. რატომ გამოაყავს პოეტს გლეხის შრომა პირუტყვის შრომაზე უფრო მძიმედ?
7. ვისკენა მგონის სიმბათია?

მუშაობის პროცესში შეიძლება ამ კითხვების გავრცობა, ოღონდ პასუხი თვითვე კითხვაზე უნდა იყოს სრული, ზუსტი და ტექსტიდან სათანადო ადგილებით დასაბუთებული.

შემდეგი მომენტი გაკვეთილისა ეს, ჩვეულებრივ, ლექსის მხატვრული ხერხების გაცნობა-დამუშავებაა.

„მესმის მესმის“. ეს ლექსი მოცულობით პატარაა, ენობრივადაც მარტივი, მისი დაძლევა მოსწავლეთათვის ადვილია. მუშაობის სიმძიმე გადატანილ უნდა იქნას ლექსის შინაარსის ღრმად გაგებაზე და შესწავლაზე.

შესავალ საუბარში მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს და მკაფიოდ აუხსნას მოსწავლეთ, რომ ილი ქავჭავაძე ნაციონ-

ნალურ-რევოლუციურმა მოძრაობამ გაიტაცა ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებიდან. იგი სიხარულით შეჰყურებს ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობას არა მარტო თავის სამშობლო ქვეყანაში, არამედ აღფრთოვანებით ზღვება და აღგზნებულია იტალიის ნაციონალურ-რევოლუციონურ მოძრაობის წარმატებით, რომელსაც უძღვნა ეს პოეტური აღმადგენით აღსავსე „მესმის მესმის“.

„ელეგია“. ეს ლექსიც არ არის დიდი მოცულობისა. არც ენობრივად და რთული და არც ძნელი დასაძლევად. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პოეტის განცდა გასაგები გავხადოთ, ლექსის მთავარი აზრი ნათელი იყოს მათთვის.

მოკლე შესავალ საუბარში განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ ეროვნულ ჩაგვრაზე, რომელსაც განიცდიდა საქართველო მონარქიული რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წყალობით, ერთი მხრით, და მეორე მხრივ, გაუშქდეს 60-იანი წლების ბატონყმური წყობილების უღელქვეშ მგმინავი საქართველოს სინამდვილე. ხაზი უნდა გაესვას პოეტის ნაღვლიან განწყობილებას, მაგრამ იმ იმედსაც და მომავლის რწმენას, რომელიც მგოსანს აქვს. აქ საჭიროა გავახსენოთ მოსწავლეთ მე-5 კლასში გავლილი ლექსიდან „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ადგილი:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!.. აწმყო თუ არა გვეწყალობს, მომავალი ჩვენია“....

მასწავლებლის მიერ ლექსის მხატვრულად წაკითხვის შემდეგ 2—3 მოსწავლე კითხულობს ლექსს გამომეტყველებით, რის შემდეგ იწყება ლექსის შინაარსის ღრმად შესწავლა.

„ელეგია“-ს შინაარსის ასათვისებლად შეიძლება შემდეგი კითხვების გამოყენება:

1. ლექსის პირველ სტრიქონში რა სურათია აღწერილი?
2. როგორი სიჩუმე სუფევდა?
3. რას ნატრობს მგოსანი?

ლექსის გასარჩევად შეიძლება დაისვას კითხვები:

1. რის შესახებ არის ლაპარაკი ლექსის პირველ სტრიქონში?
2. პოეტის სამშობლოს როგორი სურათია გადმოცემული?
3. რა მდგომარეობაში იყო პოეტი?
4. როგორ გესმით გამოთქმა: „თეთრი ზოლი შორის მთებისა ლაქვარდ სივრცეში დინთქებოდა“.
5. ვინ იგულისხმება „მშობელში“ და ვინ წარმოიდგინება „შობილში“?
6. რატომ არ სცემდა ხმას თავისი მშობელი მგოსანს?

7. ამ ლექსში როგორ ძილზეა ლაპარაკი?

8. პოეტს რა ენატრებოდა?

9. ასრულდა თუ არა პოეტის ნატვრა?

მოსწავლეთა პასუხი თვითეულ კითხვაზე უნდა იყოს ზუსტი და დასაბუთებული ტექსტიდან სათანადო ადგილების ციტირებით.

ფორმის ანალიზისათვის გამოიყენება კითხვები:

1. როგორი პოეტური ხერხითაა დაწერილი ეს ლექსი? (ელეგია).

2. განვმარტოთ, როგორი პოეტური ნაწარმოების სახეა — ელეგია?

3. ლექსი — „ელეგია“ რამდენმარცვლიანია? (10).

4. როგორია რითმა? (ჯვარედინი).

5. დაასახელეთ ამ ლექსში წარმოდგენილი ეპითეტები.

„პოეტი“

„პოეტი“ ილიას საპროგრამო ლექსია საზოგადოდ პოეტის და-
ნიშნულებაზე. ყურადღება აღნიშნულ ლექსის შესწავლისას სწორედ
ამ მიმართულებით უნდა გამაჩვილდეს. შესავალ საუბარში გარკვე-
ვით უნდა განვუმარტოთ მოსწავლეთ 60-იან წლებში გაბატონებული
შეხედულება ხელოვნების უტილიტარულ დანიშნულებაზე. ცხადია,
მოკლედ, მაგრამ საკმაო სიცხადით შედარებულ უნდა იქნას ერთი-
მეორესთან სოციალური ფუნქციები და ბუნება თეორიისა „ხელოვნება
ხელოვნებისათვის“ და „წმინდა“ ხელოვნების პრინციპების სხვაობა
ხელოვნების უტილიტარული გაგებისაგან. შესავლის შემდეგ ტე-
ქსტის შესწავლა იწყება მასწავლებლის მიერ ლექსის მხატვრული
წაკითხვით, რის შედეგ გამომეტყველებით კითხულობენ მოსწავლე-
ები (3—4 მოსწავლე).

„პოეტის“ შინაარსის ასათვისებლად შეიძლება ვანოყენებული
იქნას შემდეგი კითხვები:

1. „პოეტის“ პირველ სტროფში რაზეა ლაპარაკი?

2. პოეტი ვის უნდა უძლოდეს?

3. ვის მოძმედ უნდა იყოს პოეტი?

4. პოეტი ერის კმუნებასა და სიხარულს თანაბრად უნდა აზი-
არებდეს თუ არა?

5. როდის უნდა მღეროდეს პოეტი თავისუფლად, ხალისიანად?
აღნიშნულ კითხვებზე მოსწავლეთა მიერ სათანადო პასუხის გაცემის
შემდეგ, რაც უსათუოდ დასაბუთებული უნდა იყოს ტექსტიდან შე-

საუერისი ადგილების დამოწმებით, იწყება ლექსის შინაარსობ-
ლივ-იდუური გარჩევა, რისთვისაც გამოიყენება კითხვები:

1. რა ხასიათის სიმღერაზეა ლაპარაკი ამ ლექსში?
2. როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმა: „მე ცა მნიშნავს“...
3. ერის ბედნიერება თუ უბედურებას პოეტი როგორ უნდა განიციდდეს?
4. თავის ერის და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილად [პოეტი როდის ჩასთვლის თავს?
5. სინამდვილეში ილია „პოეტში“ გატარებულ აზრს როგორ ახორციელებდა?

დასაბუთებული პასუხის გაცემის შემდეგ გარკვეულ იქნება ლექსის მხატვრული სახე, პოეტური ხერხები. დასასრულ, სასურველია, რომ ერთ-ერთმა კარგმა მოსწავლემ მთლიანად წაიკითხოს ლექსი.

„კაცია ადამიანი“

„კაცია ადამიანიში“ ილია ჭავჭავაძემ აგვისახა მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ბატონყმურ წყობილების ნიადაგზე გახრწნილი, გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველი თავადების ყოფაცხოვრება. „კაცია ადამიანი“ სარკეა, როგორც თვით ავტორი სამართლიანად უენიშნავს, იმ „ხავსმოკიდებული გუბისა“, რომელიც ძირმომპა-
ლი ფეოდალიზმის რღვევის შედეგად დაგუბებულია მე-19 საუკუნის პირველნახევრის საქართველოში. სწორედ „კაცია ადამიანი“-ს საფუძვლიანი დამუშავება-შესწავლა, ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მოსწავლეთ ილიას დროინდელ საქართველოზე ერთი მხრით. მეორე მხრით, როგორც მხატვრული ნაწარმოები, იგი იშვიათი ნიმუშია მხატვრულ სახეთა გამოქანდაკებითა და ნათი გახსნით. ამდენად „კაცია ადამიანი“-ს აღმზრდელობითი მნიშვნელობა უქველად დიდია და ამიტომაც განსაკუთრებული გულისხმიერებაა საჭირო მასწავლებლის მხრივ, რათა ეს შესანიშნავი, მხატვრული დოკუმენტი მოსწავლეთა „კუთვნილება“ გახდეს.

შესავალი საუბარში მასწავლებელმა ძალიან მარტივად უნდა მოახზოს ის ეპოქა, რომელსაც ასახავს „კაცია ადამიანი“, და აგრეთვე მოაგონოს მოსწავლეთ ილიას შეხუდულება ბატონყმობაზე. გრკეული საუბარი საჭირო არ არის ამიტომ, რომ თვით ეს ნაწარმოები მაღალი მხატვრული ოსტატობით, ნათელ ფერებში იძლევა მოცემული ეპოქის დახასიათებას.

„კაცია ადამიანი“ მოცულობით საკმაოდ დიდი ნაწარმოებია და მთლიანად ამ თხზულების კლასში წაკითხვა ვერ მოხერხდება. წაკითხვა მხოლოდ ნაწილი. მოთხრობის კითხვას კლასში იწყებს მასწავლებელი. ცხადია, კითხვა უნდა იყოს მხატვრული, მისაბაძი. მასწავლებლის შემდეგ მოთხრობის კითხვას განაგრძობენ მოსწავლეები რიგრიგობით. გარკვეული ნაწილის წაკითხვის შემდეგ განიმარტება გაუგებარი სიტყვები და ადგილები.

სასწავლო გეგმით „კაცია ადამიანი“-ს შესასწავლად ნაგარაუდევია 5 საათი. ეს დრო საესებით საკმარისია აღნიშნული ნაწარმოების შესასწავლად, თუ კი რაციონალურად იქნება გამოყენებული. მოსწავლეთა მიერ რომ ტექსტი სრულად იქნას ათვისებული საჭიროა მისი თავებად დაყოფა გაკვეთილებისა და მიხედვით და მათი ცალკე ცალკე ყოველმხრივ დამუშავება-შესწავლა. მე-6 კლასის მოსწავლეებს უკვე აქვთ ჩვევები თხზულებაზე დამოუკიდებელი მუშაობისა, მაგრამ ეს სრულებით არ გულისხმობს იმას, რომ თითქოს, მათ მთლიანად შეეძლოთ დაძლევა ნაწარმოებისა დამოუკიდებლად. ტექსტზე მუშაობისას, უეჭველია; მოსწავლეები წააწყდებიან სიძნელეებს. შეხედვით გაუგებარი სიტყვები და ადგილები. აგრეთვე ხშირ შემთხვევაში შეიძლება ვერ შესძლონ მხატვრული სახეებისა და ადგილების ახსნა—აღქმა, განალიზება, ამისათვის მასწავლებელი წინასწარ აფრთხილებს მათ, რათა დაუძლეველი ადგილები ტექსტიდან ამოწერონ ან დაინიშნონ და სათანადო ახსნა-განმარტებისათვის მიმართონ მასწავლებელს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პრაქტიკით ცნობილია დაუშვებელი ქცევა არაბეჯით მოსწავლეთა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გვერდს უხვევენ ხოლმე ამ მათთვის არასასიამოვნო სამუშაოს შესრულებას და ხშირად თუმცა ვერ გაიგეს ესა თუ ის სიტყვა, თუ მხატვრული ადგილი ტექსტიდან, მაგრამ კრინტსაც არ სძრავენ ამაზე. მასწავლებელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოორჩეს ყურადღებიდან ეს და გაკვეთილზე მოხერხებული კითხვისას დასმის საშუალებით უნდა გამოამჟღავნოს ასეთები.

„კაცია ადამიანი“ 14 თავისაგან შესდგება, ცხადია, ავთხზულების წაკითხვას მოსწავლეთ ერთბაშად ვერ დავავალბთ. ტექსტზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა რომ სასურველად წარიმართოს, შინ წასაკითხად უნდა მიეცეთ ასეთი განაწილებით:

- ა) 1—5 თავი
- ბ) 6—10 თავი
- გ) 11—14 თავი

წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები გაკვეთილზე ჰყვებიან თანამიმდევრულად. რასაკვირველია, მოყოლას წინ უნდა უსწრებდეს სათანადო ახსნა განმარტება იმ გაუგებარი სიტყვების თუ ადგილებისა ტექსტიდან, რომელთა გარკვევა მოსწავლეებმა დამოუკიდებლად ვერ მოახერხეს. მასწავლებელს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჰმართება განსაკუთრებული გულისხმიერება, რათა მოსწავლეებმა თხრობისას ენის სიწმინდე დაიცვან.

გაკვეთილის ხანგრძლიობა შესაძლებლობას იძლევა, რათა ამ თხზულების შინაარსი (ცალკე თავების მიხედვით) მოგვითხროს 2—3 მოსწავლემ. ეს, რათქმა უნდა, მთელი კლასის მომზადებას ვერ გამოამქლავნებს, რის გამოც საჭიროა, წინასწარ სათანადოდ შერჩეულ ე. წ. ფრონტალური კითხვების საშუალებით მთელი კლასი ჩაებათ მუშაობაში. ეს კითხვები ისე უნდა იყოს მოფიქრებული და შერჩეული, რომ ნაწარმოების ცალკე თავის გარკვეული ნაწილის შინაარსს ამოსწურავდეს. საორიენტაციოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი კითხვები:

1. როგორი იყო თავად ლუარსაბ თათქარიძის სახლი?
2. ამიწერეთ ლუარსაბის სახლის შინაგანი მორთულება.
3. ამიწერეთ თავად ლუარსაბ თათქარიძის გარეგნობა.
4. როგორ უყურებდა ლუარსაბ თათქარიძე სწავლას?
5. ამიწერით კნენა დარეჯანის გარეგნობა.
6. კნენა დარეჯანი როგორ „აწიოკებდა“ შინაყმებს?
7. ლუარსაბმა ჰერზე რა შენიშნა?
8. როგორი საუბარი გაიმართა ცოლ-ქმარს შორის ამის შემდეგ?
9. როგორ ატარებდნენ დროს ლუარსაბი და დარეჯანი?
10. ამიწერეთ ლამაზისეულის სახე.

აქ მოტანილი კითხვები შეეხება „კაცია ადამიანი“-ს 1—4 თავს. ანალოგიური კითხვები უნდა შემუშავდეს ამ თხზულების დანარჩენი 10 თავისათვის.

ცალკე საგაკვეთილო მასალისა და მიხედვით დგება მოთხრობის მარტივი გეგმა, მოსწავლეების მიერ, მაგრამ საბოლოო რედაქცია გეგმიან უნდა დადგინდეს კლასში, მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

ამგვარად, ცალკე თავების დაახლოებით ასე სწავლების შემდეგ აღდგენილ უნდა იქნას მოთხრობის მთლიანი შინაარსი, მაგრამ ამ შემთხვევაში დეტალების გადმოცემა, ცხადია, ტექნიკურად მოუხერხებელი იქნება და საჭიროც არ არის. აქ საკმარისია აღდგენილი იქნას მოთხრობის სიუჟეტი.

მოთხრობის შინაარსის მოყოლამდე იმ მარტივი გეგმის საფუძველზე, რომელიც ცალკე თავების მიხედვით კეთდებოდა, დგება მოთხრობის მთლიანი გეგმა.

„კაცია ადამიანი“-ს მე-6 კლასში შესწავლის შემდგომი ეტაპი მისი იდეურ-შინაარსობლივი გარჩევაა. ტექსტზე დაყრდნობით, კითხვა-პასუხის გზით უნდა გაირკვეს „კაცია ადამიანი“-ს მთავარი აზრი, ავტორის შეხედულებანი. მოსწავლეებს ნათლად უნდა დავანახოთ „კაცია ადამიანი“-ს ფონზე, თუ როგორ ასურათხატებს ილია ჭავჭავაძე გადაგვარების გზაზე დამდგარ ქართველი თავადების ცხოვრებას. განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, თუ უშრომელ და უფიცად ცხოვრებას როგორ შეუძლია პირუტყვობამდე დაყვანა ადამიანისა (ლუარსაბ თათქარიძე, კნინა დარეჯანი, ლამაზისეული).

„კაცია ადამიანს“ იშვიათად თუ მოეპოება ბადალი, როგორც აღმზრდელობითი ხასიათის მხატვრულ დოკუმენტს, რაც მასწავლებელს მდიდარ შესაძლებლობას აძლევს, რათა მოხერხებულად გამოიყენოს ის აღმზრდელობითი მიზნებისათვის. განსაკუთრებულ სიფრთხილით, მაგრამ მოხდენილად უნდა დაუკავშიროს მასწავლებელმა ამ მოთხრობის გარჩევა თანადროულობას. სიზარმაცის განსახიერება და უდარდელ-უშრომელ ცხოვრების პროდუქტი. ლუარსაბ თათქარიძეს დაუპირისპიროს ჩვენი დროის მამაცი ადამიანები, შრომის ენთუზიანისტები, სოციალისტური შრომის გმირები, რომლებითაც ეგრერივად მდიდარია ჩვენი ქვეყანა და სამართლიანად ამყობს დღევანდელობა. ასევე მდიდარ შესაძლებლობას იძლევა დღევანდელობასთან შესადარებლად ლუარსაბ თათქარიძის „ფილოსოფია“ სწავლაზე და სხვა. ამ სახის სამუშაოს შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სწავლისადმი მიდრეკილებას და გააღვივოს სიყვარული შრომისა და საზოგადოებრივი ხასიათის სასარგებლო საქმისადმი.

შინაარსობლივი-იდეური მხარის ყოველმხრივ და საფუძვლიანი გარჩევის შემდეგ მასწავლებელი გადადის მოთხრობის ფორმის ანალიზზე. „კაცია ადამიანი“ მეტად მდიდარია შედარებებით, სატირით, ირონიით, და სხვა პოეტური თქმებითა და სახეებით, მაგრამ ყველა ამაზე მე-6 კლასში ყურადღების გამახვილება არ ხერხდება და არც არის საჭირო, აქ ყურადღების ცენტრი გადატანილი უნდა იქნას შედარებებზე, ეპითეტებზე, ირონია-სატირაზე. ცხადია, ნაწარმოებში წარმოდგენილი პოეტური ხერხები და სახეების შესწავლა თანამიმდევარ მუშაობას გულისხმობს და იგი უნდა წარმოებდეს სისტემატურად, გზადაგზა ტექსტზე უშუალოდ მუშაობისას, მაგრამ

„კაცია ადამიანი“ დიდი სატირული ნაწარმოებია და საჭირო იქნება მასზე საგანგებოდ შეჩერება. „კაცია ადამიანის“ რიგი ადგილები სატირის იშვიათი ნიმუშია, ესენია:

ლუარსაბის კარმიდამო, ლუარსაბისა და დარეჯანის დაქორწინება, კნენა-დარეჯანის „დიასახლისობა“, დიალოგი ლუარსაბსა და დარეჯანს შორის ბუზების თვლის სცენა, დიალოგი ლუარსაბსა და დათოს შორის, ლუარსაბის, კნენა დარეჯანისა და ლამაზისეულის გარეგნობის აღწერა და სხვა.

ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შესწავლისას მოსწავლეთა ზეპირი ვარჯიში ნაწარმოების პოეტურ ხერხებზე მეტად სასარგებლოა და აუცილებელიც, რის შედეგადაც უნდა გამოუმუშავდეს მათ ჩვევა ასეთი ხერხის გამოყენებისა ზეპირსა თუ წერილობით მეტყველებაში, მაგრამ ეს არა კმარა, საჭიროა წერილობითი ვარჯიშობაც (უნდა მიღწეულ იქნას, რომ თვითეულ მოსწავლეს ჰქონდეს სპეციალური რვეული მხატვრული ადგილებისა და პოეტური თქმების ჩასაწერად, მსგავსად უცნობი სიტყვების ჩასაწერი რვეულისა).

დასაწერ თემად შეიძლება რეკომენდირებულ იქნას: ლუარსაბ თათქარიძის კარმიდამო, ბატონის სახე.

„გლახის ნამბობი“

მე-9 კლასში „გლახის ნამბობი“-ს სწავლება შეიძლება წარმართოს სწორედ ისე, იმ ხერხებითა და საშუალებებით, როგორც „კაცია ადამიანი“-სა. ამ მხრივ რაიმე ახალს „კაცია ადამიანთან“ შედარებით „გლახის ნამბობი“-ს სწავლება არ ვარაუდობს და არც საჭიროებს. ოღონდ, ის კია, რომ „გლახის ნამბობი“-ს გარჩევისას, მისი შინაარსობლივი-იდეურ ანალიზისას, განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება ბატონყმური ინსტიტუტის თვისებაზე, ძალმომრეობაზე, მებატონეთა ამორალობაზე, ყმების უუფლებობაზე, და ილიას დროინდელი საქართველოს დღევანდლობასთან შედარების საშუალებით ნათლად უნდა გაირკვეს ის დიდი უფსკრული, რომელიც არსებობს ძველს სწავლა-აღზრდასა და ჩვენი ეპოქის, საბჭოთა სინამდვილეში არსებულ სწავლა-აღზრდას შორის. „გლახის ნამბობი“ ამ შედარებისათვის მეტად მდიდარ მასალას იძლევა. ამ მხრივ განსაკუთრებით ინტერესს იწვევს „გლახის ნამბობი“-ს მოძღვრის სახე.

ვიდრე გავარკვევდეთ „გლახის ნამბობის“ მოძღვრის სახეს, როგორც აღმზრდელ-პედაგოგისას, საჭიროდ მიგვაჩნია გარკვევა საკითხისა—„გლახის ნამბობი“-ს მოძღვარი რეალური ტიპია, საქართველოს ცხოვრების სინამდვილიდან აღებული, თუ გადმონერ-

გილია უცხო ქვეყნიდან, ან კიდევ, პოეტის ფანტაზიის ნაყოფია მხოლოდ?

ამ საკითხის გარკვევას არა ერთი და ორი ქალამი შეჭებია ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადოდ გადაჭრილი არ არის.

ლიტერატურული ურთიერთ გავლენის საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მკვლევარისაგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს, დიდს ყურადღებას და ყოველმხრივ ღრმა ანალიზს მოითხოვს. ეს საჭიროა და არა მარტო საჭირო; არამედ აუცილებელიც, რადგან ყოველგვარი მსგავსება თუგინდ დეტალებშიაც კი ყოველთვის არ უდრის ურთიერთ გავლენას.

აზრთა განვითარების ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მრავალი ახალი აზრი, იდეა, როდია კუთვნილება ერთი რომელიმე ერისა, ერთი რომელიმე ცნობილი მეცნიერისა, არამედ ნაყოფია ჭაერთო-საკაცობრიო განვითარების საფუძველზე აღმოცენებული.

დიდი მეცნიერის ფრ. ენგელსის კლასიკური განმარტება სწორედ იმას გვასწავლის, რომ მწერლის სილიადე იმაში არის, რათა უნარი შესწევდეს და შესძლოს შეჭქმნას „ტიპიურს გარემოცვაში, ტიპიური სახე“. ეს, ურყევი ქეშმარიტი მეცნიერული დებულება, შტკიცე საყრდენია იმ აზრისა, რომ სრულიად დამოუკიდებლად, სხვადასხვა მწერლის კალმით შესაძლებელია ანალოგიურს. ვითარებაში დაიხატოს ერთიმეორის მსგავსი სახეები ისე, რომ პირველმა არ იცოდეს მეორის არსებობა და მეორემ პირველისა. რომ ეს ასე არ იყოს და მართლაც ტიპიური გარემოცვანი ტიპიურ სახეებს არ იძლეოდნენ, მაშინ დაგვრჩებოდა მხოლოდ მიმბაძველობა; განსაკუთრებით პატარა ერების მწერლებისა დიდი ერების მწერლებისადმი, მაგრამ რომ არაფერი ვთქვათ გენიალურ „ვეფხისტყაოსანზე“, განა ქართველი ერის სასიქადულო პოეტის ნ. ბარათაშვილის მსოფლიო შედეგს „მერანს“ აკლია ორიგინალობა?

ადრინდელს ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში გავრცელებული იყო ის აზრი, რომ თითქოს ნი-იან წლების ქართული მწერლობა და კერძოდ მისი წამყვანი ილია ჭავჭავაძე უბრალოდ გამეორება იყო ევროპისა და კერძოდ რუსეთის იმდროინდელ მწერლობისა. მართალია, ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირებდნენ ისეთ დიდებულ სახეებს, როგორც გოგოლი, ლერმონტოვი, ვიქტორ ჰიუგო, ფლობერი, ზოლა და სხვ. იყვნენ. ისიც მართალია, რომ თვით ილია ჭავჭავაძე გულწრფელად აღიარებს რუსული ლიტერატურის დიდ გავლენას ჩვენს მწერლობაზე: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერა-

ტურამ დიდი ხელმძღვანელობა გაუწია წარმატების გზაზე და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველ მასზე, რაც ჩვენს სულიერს ძალონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის რუსულმა სკოლამ-მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰყვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზე. თვითეული ჩვენთაგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავისი სულიერი წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსტკვათ, რომ თვითეული ჩვენთაგანი რუსული ლიტერატურის გაზრდილია, თვითეულს ჩვენთაგანს მის გამონარკვევებზე აუგია თავისი რწმენა, თავისი მოღვაწეობა და თავის საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია.

რასაკვირველია, ამ ზემოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამ რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში ადვილად წასვლისათვის“¹⁾.

ასე ნათლად გამოხატავს ილია რუსული მოწინავე აზრების, რუსული ლიტერატურის გავლენას ჩვენს ნი-იან წლების მწერლობაზე, მაგრამ საგულისხმო აქ ის არის, რომ ეს გავლენა არ ყოფილა ჩამხშობი ჩვენი მწერლობის ორიგინალური, ახალი სიტყვისა. ზი როგორ განმარტავს ამას ილია იქვე: „ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში რუსულა ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწვრთნილნი, ასე ბრმად, ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზემოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიათ იმავე კრიტიკით და გამოძიებით მხარ-და-მხარ. ასდევნებიათ ამ ლიტერატურის წინსვლას, წარმატებასა და არ გაჩერებულან. მის რომელსამე ხანაზედ“²⁾.

1) ტ. 8, გვ. 255—256.

2) იქვე, გვ. 286.

რუსული ლიტერატურის გავლენა ჩვენს 60-იანი წლებს მწერლობაზე, ეს საზოგადოდაც აღიარებული ფაქტია, მაგრამ როდინიშნავს ეს იმას, რომ ჩვენს 60-იანი წლების მწერლობას გარდა უბრალო ეპიგონებისა არაფერი ეკეთებოდა. „არ გაჩერებულა მის რომელსაზე ხანაზედ“, ესაა მთავარი და არა ის, რომ ილიას—კაცია ადამიანი“ გოგოლის „სტოროსვეტსკი პომეშიკები“-ს გადამღერებად ვაღიაროთ ან უკვდავი „განდეგილი“ ლერმონტოვის „მწირის“ უბრალო ეპიგონობად გამოვაცხადოთ.

არ არის მართალი ის აზრი, რომ სადაც კი მოსახერხებელია რაიმე პარალელის გავლება, იქ თითქოს შესაძლებელიც იყოს ვეძიოთ ფესვები ურთიერთ გავლენისა.

ამ საკითხის გარკვევა ჩვენი თემის კომპეტენციაში უშუალოდ არ შედის, მაგრამ ვაკვრით მასზე შეჩერება აუცილებელ საჭიროდ მივიჩინეთ იმდენად, რამდენადაც საჭიროა იმ სახის გახსნასთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად ჩვენ გვინტერესებს. ე. ი. შევჩერდეთ მასზე „გლახის ნაამბობი“-ს მოძღვრის სახის გარკვევასთან დაკავშირებით და ამით ვიფარგლებით.

კიტა აბაშიძე თავის ეტუდების მე-2 ტომში სწერს, რომ „გლახის ნაამბობი“-ს მოძღვარი შექმნილია ჰუგოს „უბედურთა“ ეპისკოპოსის გავლენით. აღსანიშნავია, რომ კიტა აბაშიძე დაჟინებით არ ამტკიცებს ამ დებულებას. იგი აცხადებს:—„მღვდელი ამ მოთხრობისა, რომელიც, ჩვენის აზრით ჰიუგოს „უბედურთა“ ეპისკოპოსის გავლენის ქვეშ არის შექმნილი, მართალია შესაძლებელია ცხოვრებაში, მაგრამ იშვიათი მოვლენაა¹⁾).

დოკ. ნ. ურუშაძე არ კმაყოფილდება კიტა აბაშიძის მიერ გავლებული პარალელით—ჰიუგოს „უბედურთა“ ეპისკოპოსისა და ილიას „გლახის ნაამბობის“ მოძღვრის ერთი მეორესთან შედარებისას და აცხადებს:—„კ. აბაშიძე თავის ეტუდების მეორე ტომში აღნიშნავს, რომ ილიას მოძღვრის სახე „გლახის ნაამბობი“-დან ჰიუგოს „საბრალონის“ ეპისკოპოსის მირიელის გავლენით უნდა შეექმნაო. ჩვენის აზრით გავლენა მარტო აღნიშნული პერსონაჟების მსგავსებით არ შემოიფარგლება, არამედ უფრო შორს მიდის. ილია თავის მოთხრობას სწერს რომან ეპოპეის „საბრალონის“ (Les misérables) უშუალო შთაგონებით“²⁾.

საზოგადოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ, როდესაც ლაპარაკია ურთიერთ ლიტერატურულ გავლენაზე, ამა თუ იმ ნაწარ-

¹⁾ კიტა აბაშიძე, „ეტუდები“, ტ. II., გვ. 223.

ილია ჭავჭავაძე—საიუბილეო კრებული, გვ. 272, 1939 წ.

მოების „უშუალოდ შთაგონებით“ შექმნის მომენტზე, საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტია შთაგონებულ და შთამგონებულ ნაწარმოებთა პერსონაჟების მსგავსება, ნაწარმოების სუბიექტურ თანაფარდობა. ამ მხრივ საერთო რა აქვს ილიას „გლახის ნაამბობს“, ჰიუგოს „საბრალონთან“? არაფერი. რომ შორს არ წავიდეთ აღნიშნულის დასამტკიცებლად, მოუსმინოთ თვით ნ. ურუშაძეს — „მაგრამ ილია სუბიექტის გაშლაში არ განიცდის მის ოდნავ გავლენას. აგრეთვე სახეებისა და პერსონაჟების შექმნაშიაც უაღრეს ორიგინალობას იჩენს“¹⁾. (ხაზი ჩვენია შ. კ.).

ამ განმარტების შემდეგ იგი მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ „გლახის ნაამბობი“ შექმნილია „საბრალონის“ უშუალო შთაგონებით, რადგანაც მისი (ილიას შ. კ.) დამოკიდებულება ჰიუგოსადმი თვით ნაწარმოების იდეურ მიმართებაშია მოცემული“ — ა. მეტად საპასუხისმგებლო განცხადებაა.

საერთოდ, ლიტერატურის ისტორიაში ჰაღებულა ასეთი პარალელების გავლება და ის მისაღებია, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ დასკვნები ემყარებოდეს მკვლევარის არა სურვილ-მოსაზრებებს, არამედ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც არ უნდა მაღალი ტონით იყოს თქმული მკვლევარის განცხადება, ეს საქმეს არ შევლის და თითქოს, მართლაც გრძნობს ნ. ურუშაძე ამ უხერხულობას, როდესაც აცხადებს: „ზერვლე შეხედულებით ეს შეიძლება პარადოქსად იქნეს მიჩნეული, მაგრამ საქმის ვითარებაში ღრმა ჩახედვა ნათელჰყოფს ამ დებულების სისრულეს“²⁾.

მაინც რა საბუთით სთვლის ნ. ურუშაძე „გლახის ნაამბობს“ „საბრალონი“-ს — უშუალო შთაგონებით შექმნილად? თავის ამ შეხედულების უტყუარ არგუმენტად ნ. ურუშაძეს აღნიშნულ ნაწარმოებთან გამოქვეყნების თარიღი მიაჩნია. იგი სწერს: „ამ პრობლემის გასარკვევად საჭიროა დაწერისა და გამოქვეყნების თარიღების გათვალისწინება. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ 1863 წლისათვის უკვე დამთავრებულია იმ სახით, როგორითაც მას ჩვენ ვიცნობთ და მისი პირველი ხუთი თავი დაიბეჭდა ილიას „მოამბეში“ 1863 წ. ვიქტორ ჰიუგოს რომანი იწერებოდა 40-იანი წლებიდან და დამთავრდა 1861 წ. 1862 წელს ერთდროულად გამოვიდა ცხრა ენაზე და მათ შორის ვარშავაში რუსულ ენაზე“³⁾.

1) იქვე, გვ. 272.

2) იქვე, გვ. 272.

3) იქვე, გვ. 272.

მერე და რა არის აქ განსაკუთრებული? რატომ ჰგონია ნ. ურუ-
შაძეს რომ 1862 წელს გამოქვეყნებული ჰიუგოს რომანი „საბრალონი“
უსათუოდ უნდა გამხდარიყო ილიას 1863 წელს გამოქვეყნებული
(მაგრამ დაწერილი ცოტათი უფრო ადრე) „გლახის ნამბობის“-ს შთამ-
გონებლად? არა ვგვონია, რომ ეს დოკუმენტი მის მოსაზრების
სასარგებლოდ რაიმე არსებითს ლაპარაკობდეს.

მართალია, ილია ჭავჭავაძეს ისე, როგორც ჰიუგოს ადამია-
ნის მიერ ბოროტმოქმედების ჩადენის მიზეზად მოუწესრიგებელი
გარემო მიიჩნია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ პრობლემის დაყენება
და გადაწყვეტა კი სულ სხვადასხვა ასპექტშია წარმოდგენილი „გლა-
ხის ნამბობსა“ და „საბრალონი“-ში.

არსებითი განსხვავება ამ ორ ნაწარმოებს შორის იმაშია, რომ
რომ გარემო, საზოგადოება, სადაც მათი პერსონაჟები მოქმედებენ
სულ სხვადასხვაა:—ერთნი ბურჟუაზიულ გარემოცვაში ტრიალებენ
და მეორენი კი ბატონყმურ საზოგადოებაში ცხოვრობენ და მოქმე-
დებენ.

„საბრალონის“ ეპისკოპოსის მიზანია—ხალხის კეთილდღეობაზე
ზრუნვა. „გლახის ნამბობი“-ს მოძღვრის მისწრაფებანიც იგივეა, მაგ-
რამ მიზნის მისაღწევად ერთს თავისი გზა და საშუალება აქვს და
მეორეს კიდევ თავისი, რომელთაც ერთმეორესთან არაფერი აქვთ
საერთო. მირიელი ხალხში სიყვარულს მეტწილად ფულის საშუალებით
სთესავს. „გლახის ნამბობი“-ს მოძღვარი კი ასეთს მოკლებულია. თუ
მირიელი მდიდარია, მოძღვარი, პირიქით, ღარიბია. იგი ახალგაზრდო-
ბაში წერა-კითხვის გავრცელებით, ხალხის საკეთილდღეოდ საკუთარი
ფიზიკური შესაძლებლობის შესწირვით და ჰუმანური იდეების ფარ-
თედ ქადაგებით იმსახურებს საერთო სიყვარულსა და პატივისცემას.

თუ კი ამ ორ ნაწარმოებთა შორის პარალელის გავლების სა-
შუალებას მათი იდეური მიმართება გვაძლევს და ამდენად შესა-
ძლებლად მივიჩნიეთ შთავონება-გავლენაზე ლაპარაკი, პრობლემის
სხვადასხვა ასპექტში დაყენება და გადაწყვეტა კი გვართმევს ამ უფ-
ლებას. ადამიანის მიერ ბოროტების ჩადენა შედეგია მოუწესრიგებ-
ელი გარემოსი. აქ ერთიანდებიან ჰიუგო და ილია, ესაა საერთო.
„საბრალონი“ და „გლახის ნამბობს“ შორის, მაგრამ როგორ შეიძ-
ლება მოისპოს ეგ ბოროტება?

აი, აქ კი შორდებიან ერთმეორეს „საბრალონი“-სა და „გლა-
ხის ნამბობის“ ავტორები და ამ ორ ნაწარმოებს ურთიერთთან ბეგ-
რი არაფერი აქვთ საერთო აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში.

მუშა-პროლეტარი ჟან ვალჟანი, რომელიც იძულებულია იქურდოს, რის შედეგადაც ცხრამეტი წლის განმავლობაში კატორღაში ყოფნას იმსახურებს, ეპისკოპოსი მირიელის რაღაც სასწაული მოქმედების წყალობით თავს აღწევს უბედურებას და მუშა-პროლეტარიდან გახდება ქალაქის დიდი მრეწველი-მწარმოებელი, ქარხნის პატრონი — ბურჟუა.

ჟან ვალჟანის შექმნით ვიქტორ ჰიუგოს შესაძლებლად მიაჩნია, რომ იმავე მოუწესრიგებელ საზოგადოებაში, რომელიც მიზეზია ბოროტმოქმედებისა, მოისპოს ბოროტმოქმედება ცალკეულ პირთა კეთილშობილურ ღვაწლისა და მორალურ ზეგავლენის შედეგად. და ამრიგად, დასაშვებად მიაჩნია, რომ იმავე საზოგადოებასა და წრეს, რომელმაც დაბადა და აღზარდა ქურდი-ბოროტმოქმედი, შეუძლია იგი გარდაქმნას ფილანტროპად, მაგრამ განა, „გლახის ნაამბობის“ ავტორიც ასე სწყვეტს საკითხს? ცხადია, რომ არა. გაბრო „გლახის ნაამბობი“-ს მთავარი ღმრთაობა პირი ვერ იხსნა მოძღვრის კეთილმა მორალურმა დარიგებებმა. იგი იღუპება ბატონყმური წყობილების შხამიანი მახვილით განგმირული. იგივე ბედი ხვდა წილად ბეჟანა და მის ძმას. დასკვნა? ბოროტება რომ მოისპოს, საჭიროა გარდაიქმნას მთლიანად ის გარემო, რომელიც დამბადებელია ბოროტებისა.

ამისათვის კი ილიას აზრით ცალკე ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, გონიერი თუ უგონო, სუსტი თუ ძლიერი, მაინც უღონოა.

ასეთია „გლახის ნაამბობის“ ავტორის კონცეპცია აღნიშნულ საკითხზე და ამით იგი არსებითად ემიჯნება „საბრალონის“ ავტორის მსოფლმხედველობას.

ამით, ცხადია, სრულებით არ გვინდა იმისი თქმა, რომ კატეგორიულად გამორიცხული იყოს შესაძლებლობა, რომ ჰიუგოს „საბრალონით“ რაიმე სახით დავალებული ყოფილიყო „გლახის ნაამბობი“.

ილია კარგად-იცნობდა ფრანგულ ლიტერატურას და შესაძლებელია ყოფილიყო მის გავლენის ქვეშ, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ დასახელებულ ნაწარმოებისა და მიხედვით ვიმსჯელებთ, ამის კვალი ნაკლებად ჩანს და ამიტომაც უფლებაც გვაქვს ვთქვათ, რომ „გლახის ნაამბობი“ ქართულს, საკუთარ ნიადაგზე აღმოცენებული და მისი მოძღვარი კი რეალური სახეა, რომანტიული საღებავებით გაფერადებული. ამ აზრის სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ ილიას სწავლა-განათლების გავრცელების კარგ საშუალებად სასულიერო პირთა მონაწილეობა მიაჩნდა.

იმ პროგრამული მასალის შესაბამისად, რომელიც საშუალო სკოლის კურსისათვისაა განკუთვნილი, ილია ჭავჭავაძის ადგილის გარკვევა ქართულ ლიტერატურის ისტორიაში საბოლოოდ მე-9 კლასის პროგრამულ მასალის შესწავლასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ მე-5, 6, 7 კლასებში შესწავლილ მასალის საფუძველზე გაანალიზებულ იქნას ილიას მოღვაწეობა და ძირითად ხაზებში მაინც გარკვეული წარმოდგენა ჰქონდეთ ქართულ აზროვნების ისტორიაში ილიას ადგილის შესახებ შვიდწლედის კურსდამთავრებულთ, რომ ეს მიღწეული იქნას, საქირთა:

ა) მე-7 კლ. პროგრამის მიხედვით ახალ მასალის გაცნობამდე გავამეორებინათ ზოგადად მე-5, 6 კლასებში გავლილი მასალა, რაც შესაძლებელია საშინაო დავალების სახით მიეცეთ მოსწავლეთ.

ბ) მე-7 კლასში შესწავლილი მასალა ილიას შემოქმედებისა უფრო რთულს ფორმებში განიხილება (ვიდრე ეს იყო მე-5, 6 კლ.), ეპოქაზე ყურადღების გამახვილებით.

გ) ფართოდ იქნება გამოყენებული ამ მიზნისათვის მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, მოხსენება-რეფერატები, ლიტერატურული წრე, ხელნაწერი ჟურნალი და სხვა.

დ) მე-7 კლასში შესასწავლი ახალი საპროგრამო მასალის ახსნას წინ უნდა უძღოდეს მოკლე, მაგრამ მკაფიო შესავალი საუბარი შემდეგი მომენტთა მკვეთრად გამოყოფით:

1. ბატონყმური საქართველოს მოშლილი ორგანიზმი და ილიას ბრძოლა მის აღსადგენად.

2. საქართველოს ეროვნული ჩაგვრა მონარქიული რუსეთის მიერ და ილიას ღვაწლი სამშობლოს ღირსებისათვის.

3. სწავლა-განათლების დაბალი დონე ილიას დროინდელ საქართველოში და მეფის საგანმანათლებლო პოლიტიკა.

4. ილიას გალაშქრება იანოვსკის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და ილიას გამანადგურებელი პასუხი 1882 წ. „მოსკოვსკიე ვედომსტვი“ გამოქვეყნებულ ცნობილ რეაქციონერ კატკოვის წერილზე და სხვა.

ამგვარად, მოკლე, შესავალი საუბრის ჩატარებისა და მე-5, 6 კლასებში განვლილი მასალების ძირითად ხაზებში შეჯამების შემდეგ შეიძლება გადასვლა მე-7 კლასის პროგრამით გათვალისწინებულ მასალის დამუშავებაზე.

„ქართველის დედას“¹⁾

„ქართველის დედას“ გასარჩევად შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი კითხვები:

1. რატომ აქვებს პოეტი წარსულს?
2. როგორია აწმყო და რით აიხსნება ასეთი მდგომარეობა?
3. საით მოუწოდებს პოეტი ქართველის დედას?
4. სჯერა თუ არა პოეტს, რომ მომავალი უკეთესი იქნება?
5. ვიზუა და მოკიდებული უკეთესი მომავლის შექმნა პოეტის აზრით?
6. დედის უწმინდეს ვალად რა ნიაჩნია პოეტს?
7. პოეტის შეხედულებით, როგორ ნაყოფს გამოიღებს კარგად აღზრდილი შვილი?

ეს კითხვები საორიენტაციოა, შეიძლება მისი გავრცობა, მთავარი ის არის, რომ თვითვე კითხვაზე მოსწავლეთა პასუხი უშუალოდ გამომდინარეობს ტექსტიდან, რამაც უნდა გამოამჟღავნოს მოსწავლეთა მიერ აზრის ზუსტად მიხედვის უნარიანობა, მოვლენათა განვითარების ალლო, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აზროვნების სწორს განვითარებას, გაამდიდრებს მათს ლექსიკონს, განვითარებს სწორ მეტყველებას და შეჰქმნის წინამძღვრებს მხატვრული გემოვნების ჩვევათა გამომუშავება-განმტკიცებისათვის.

ამრიგად, „ქართველის დედას“ გარჩევა დაახლოებით შემდეგ სახეს მიიღებს: ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე ხშირად აცოცხლებდა წარსული ცხოვრების სურათებს, მაგრამ არ მისტიროდა

¹⁾ ტექსტის (ლექსის) დამუშავების სახეები საკმაოდ იყო ნაჩვენები წინა კლასების მასალაზე, მართალია, მე-5, 6 კლასებში პოეტიკიდან არ ისწავლება ისეთი საკითხები როგორცაა: ზონა (მეტრი), რითმა, მეტაფორა, სტროფი და სხვა, მაგრამ მე-7 კლასთან მუშაობის ხერხები იგივეა რაც მე-5, 6 კლ. ჩატარებული ანალოგიური აზრის მუშაობისას და შრომა რომ ზედმეტად არ დამძიმდეს, ამისათვის ქვევით განსაზღვრული ტექსტების იდეურ მზარეს შევსებით მხოლოდ. მათ შინაარსობლივ ანალიზზე შეჩერდებით. აგრეთვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ მე-7 და მე-9 კლ. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები მდიდრადანა წარმოდგენილი და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მასალის ცალ-ცალკე განხილვა ძალზე გაზრდის შრომას, ერთი მხრით, და მეორე მხრით, იქნებ არც იყოს საჭირო ყველას განხილვა, რამდენადაც შინაარსით თუ ფორმით ერთმანეთთან ახლო მდგომი ნაწარმოებები მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ერთნაირად გაირჩევიან. მაგ. „ნანა“ და „ქართველის დედა“ მე-7 კლასში სწავლების გზები და ხერხები თითქმის ერთი და იგივეა, რამდენადაც ეს ორა ლექსი ჟანრისა და იდეურ-თემატიკურობის თვალსაზრისით ნაკლებად განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

მსგავსად რომანტიკოსი მწერლებისა, არამედ იყენებდა მას დაკნინებული სულის გასამხნეველად, დაბეჩავებული ძალის აღსადგენად.

„ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა....

მგოსანი ღრმად განიცდის მწარე სინამდვილეს, რომ ქართველმა ერმა ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალის მეოხებითა და ბატონყმური წყობილების წყალობით დაბეჩავებულმა დაჰკარგა სამშობლოს წინაშე მომავლის გრძნობა და დაკნინებულმა რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად დაჰკარგა ბრძოლის, წინააღმდეგობის უნარი.

„გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოვიკლა სიცოცხლის ძალა
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.

მითხარ — სადღაა მამა-პაპური
მხნეობა ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა“?

მიუხედავად ამ უმწეო მდგომარეობისა, პოეტი სასოწარკვეთილებას როდი ეძლევა. იგი მზურვალედ მოუწოდებს თავის ხალხს, ქართველ დედას, ახალი, უკეთესი მერმისისაკენ. იგი მოუწოდებს მას ბრძოლისაკენ, ახალი ვარსკვლავისაკენ.

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“.

და პოეტს სჯერა, რომ ხალხი რომელიც კირთების ქვეშ დაჩაგრული, ბედთან დროებით შერიგებულა, საკუთარი ძალებით შეიქმნს ბრწყინვალე მომავალს, რისთვისაც საჭიროა ბრძოლა:

„ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი

დანიშნულება და საღმრთო ვალი“!
„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტეს მცნებასა,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
რომ სიკეთისთვის გული ერთობდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...“

პოეტი დარწმუნებულია, რომ მეტრძოლი სულით აღზრდილი ახალგაზრდობა გამოიღებს ტკბილ ნაყოფს, აქამდე უქურნებელ სენს, უებარ მალამოდ დაედება

„ქართველის დედას“ თვისი მაღალი მხატვრული ღირებულებითა და ღრმა შინაარსით ღირსშესანიშნავი ძეგლია ქართული პოეზიისა. ეს ლექსი უაღრესად პატრიოტული ნაწარმოებია, რაზედაც მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული მარტო პატრიოტული თემატიკით, არამედ იძლევა პოეტურ სახეებში აღზრდის საკითხების გაშუქებას და ავითარებს იმ დროისათვის უაღრესად დემოკრატიულ-რევოლუციონურ აზრს ძმობა, ერთობა, თავისუფლებაზე.

ლექსის შესწავლისა და მისი გარჩევის შემდეგ უნდა დაუკავშიროთ იგი დღევანდლობას. განსაკუთრებით დღეს, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, საყვარელი სამშობლოს, სახელოვანი შვილების ქართველ გმირთა სახელებთან ამ ლექსის სათანადო ადგილების დაკავშირება დიდი ამღზრდელობითი მნიშვნელობის იქნება, იგი ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენს მოსწავლეებზე და დიდი პატრიოტის, უკვდავი მგოსნის სახელს მოსწავლეთა თვალში განუზომლად გაადიდებს, პატრიოტულ გრძნობას გაუძლიერებს მათ საყვარელ სამშობლოსადმი.

„გავსწორდეთ, ბედო“!

ილიას ეს ლექსი ჩინებული დოკუმენტია იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ საზოგადოდ მწერლის ბიოგრაფია პოეტის შემოქმედებითი ზრდის უშუალო კავშირში უნდა განიხილებოდეს. მართალია, „გავსწორდეთ, ბედო“ მე-7 კლასში ისწავლება, ხოლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული ილიას ზოგიერთი აღრინდელი ლექსი, რომლებთანაც მის კავშირი აქვს, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას იგი („გავსწორდეთ, ბედო“) განვიხილოთ განყენებულად, ცალკე, ილიას აღრინდელ ლექსებთან შედარების გარეშე, რადგანაც ასეთი შედარების გარეშე ამ ლექსის სწავლებას აზრი არ აქვს.

„გავსწორდეთ, ბედო!“ შესწავლასთან დაკავშირებით, უნდა გაირკვეს ის მიზეზები, რომლებიც იწვევდნენ თერგდალეულთა მოძრაობას. ახალგაზრდა ილიას, თერგდალეულთა ამ მებრძოლს, 1858 წელს, როდესაც ლექსი „სიმღერა“-ში ჯერ კიდევ ნათლად ვერ აქვს წარმოდგენილი თავისი ქვეყნის „ახალი, სხვა ვარსკვლავი“ და გულმოკლული, სამშობლოს აწმყოთი დაღონებული, ერთგვარ შიშსაც განიცდის და თითქოს სასწორაკვეთილებასაც კი ეძლევა:

„სად მიგყევარ, მდინარე
მოწყენილ სიცოცხლისაგ!
ჩემს მცირეს ნავს რას არხევ,
ზვირთო წუთისოფლისაგ!

რას შემამთხვევ, ვინ იცის
აზრი შენის ცივის წყლის?
აწმყო კეთილს არ ამბობს
და წარსულიც მას სთანხმობს.
შორს მომავლის ვარსკვლავი
თუმც არის უხილავი,
მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდ ზღვას
და იქ ჩაჰლუპავ ჩემს ნავს“¹⁾.

აშკარად არას აქ გამოხატული ამ ახალთაობის გაურკვეველობა; რომელიც ვერ ეგუება დეგრადაციის გზაზე დამდგარ თავადაზნაურთა ყოფაცხოვრებას და ეძიებს ახალს, უკეთესს, მაგრამ მათთვის ჯერ კიდევ შორსაა მომავლის ვარსკვლავი. ის „არის უხილავი“ გაურკვეველია და ესაა, რომ ათქმევიანებს შეზინებულ მეოსანს:

„ჰოი, გვედრებ, მდინარე,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვკრევ“.

ასეთია ილია, როგორც პოეტი 1858 წელს, მაგრამ მაშინდელი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ილია გაფაციცებით აღძვინებს თვალყურს 60-იან წლების რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებს, პროგრესიულ დემოკრატიულ მოძრაობის განვითარებას, დიდი რუს განმანათლებელთა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევის და სხვათა მოწინავე აზრებსა და იდეებს და მისი მსოფლმხედველობაც ყალიბდება ამ მოწინავე იდეების უშუალო ზეგავლენის ქვეშ. იმუშავებს მოღვაწეობის გარ-

¹⁾ ტ. I, გვ. 16. 1937 წ.

კვეულ პროგრამას და, თუ კი 1858 წ. ჯერ კიდევ შემკრთალია გაძმ-
ვინვარებულ ცხოვრების წინაშე და არსებულის მხოლოდ გმობით-
კმაყოფილდება. სამაგიეროდ 1859 წელს იგი ბრძოლის წყურვი-
ლითაა უკვე აღზნებული საბრძოლველად იწვევს ბედს:

„შენს დუღუკზელა“ აქამდის ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე,
ეხლა დუღუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და შენ კი იხტუნე“-ო.—(„გავსწორდეთ,
ბედო“).

ასე გაბედულად, მუქარით მიმართავს იგი ბედს, ცხადია, არა
პირადს, საკუთარ ბედს არამედ ბედს თავისი ქვეყნისას, თავის-
მამულისას.

ეს გამოწვევა ბედისა როდია უბრალო სურვილი მასთან შერ-
კინებისა, არამედ იგი მგონის მოღვაწეობის მთელი პროგრამაა.
აშკარად ჩანს პოეტის ზრდა, მისი განვითარება, რომელიც შედეგია
ერთი მხრივ, საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარების შესატყვისი
გამოძახილისა და, მეორე მხრივ, თვით პოეტის პირად ცხოვრებაში
მომხდარი ცვლილებებისა, რაც დაკავშირებულია მის პეტერბურგში
ყოფნასთან.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ „სიმღერა“ სასწავლო პროგრამა-
ში არ არის წარმოდგენილი, მაგრამ მისი მიწოდება მოსწავლეთად-
მი აუცილებელია იმის გასარკვევად, თუ როგორ იზრდებოდა და
ვითარდებოდა პოეტის შემოქმედებითი გზა, შეცვლილ პირობებსა
და ახალს ვითარებაში. სხვანაირად ლექსი „გავსწორდეთ, ბედო“-ს
სწავლება რაიმე ახალს არაფერს ვარაუდობს.

ილიას შესწავლა მე-9 კლასში

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან მხატვრული ნიმუშები ვრცლად დაა წარმოდგენილი დაწყებითი სკოლის, შეიდწლედისა და საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამებში. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა წლების განმავლობაში იზრდება დიდი კლასიკოსის—ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ ილიას ნაწერები თითქმის ყოველწლიურად ეძლევათ მოსწავლეთ დაწყებითი სკოლიდან საშუალო სკოლის მე-9 კლასამდე ჩათვლით, მას ისინი მაინც ყოველთვის დიდი ხალისით ლეზულობენ და გულმოდგინედ სწავლობენ. ეს, რა თქმა უნდა, ილიას მადლიანი კალმით შემონაქმედის იდეური და მხატვრული გამარჯვების ბუნებრივი შედეგია. იმ შინაგან პოეტურ წვათა საზღაოდ, რომლითაც აწრთობდა დიდი მწერალი თავის ტრფიალების ობიექტისათვის, საყვარელი ახალთაობის „უკეთესი მერმისისათვის“ განკუთვნილ შედეგრთა თვრთეულ სტრიქონს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის შემოქმედება 4—5 წლის განმავლობაში ისწავლება საშუალო სკოლაში, მაინც მცირეა ეს დრო ამ მრავალმხრივი მოღვაწის საფუძვლიანად შესწავლისათვის; დამატებით, საჭიროა მისი ძვირფასი მემკვიდრეობის უფრო ღრმად ასათვისებლად გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ლიტერატურული წრე, სპეციალური ბიულეტენები, სასკოლო ხელნაწერი ჟურნალი, მოხსენება-რეფერატები. ამ სახის მუშაობის სწორი ხელმძღვანელობით გაშლა, განსაკუთრებით ჩაკოფიერი შეიძლება იყოს მე-9, 10 კლ. თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეთა ასაკს, მათი მომზადების დონეს, უნარს დამოუკიდებელი მუშაობისას და აგრეთვე იმ დიდ ინტერესს, რომელსაც მოსწავლეები იჩენენ ილიას შემოქმედებისადმი. ეჭვი არ არის, რომ მოსწავლეთა ორგანიზებული საქმიანობა ამ მიმართულებით არა მარტო შეავსებს იმ ხარვეზს მწერლის ყოველმხრივ შესწავლაში, რომელიც სკოლაში პროგრამული მასალის განსაზღვრულობის შედეგია, არამედ კიდევ უფრო გაზრდის საზოგადოდ მოსწავლეთა ინტერესს მისი

შემოქმედების ყოველმხრივ შესწავლისადმი, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით, მათ განვითარებას წინ წასწევს, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევას განუმტკიცებს, აუმაღლებს მეტყველების კულტურას, მიაჩვევს დამოუკიდებელ აზროვნებას.

მე-9 კლასში უნდა გაირკვეს ი. ჭავჭავაძის ადგილი არა მარტო ქართულ ლიტერატურის ისტორიაში (ეს ძირითადად), არამედ საზოგადოდ აზროვნების ისტორიაში. დიდ ილიას სახელი დამკვიდრებული აქვს არა მარტო, როგორც მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატს, დიდ ხელოვანს და შემომქმედს, არამედ აგრეთვე, როგორც დიდ საზოგადო მოღვაწეს, ბასრი კალმის პუბლიცისტს, ფილოსოფიურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ, იურიდიულ საკითხთა ღრმა მცოდნეს, დიდ მოაზროვნეს. მისი პოეტური ჟანრი მრავალფეროვანია: პოემა, ლირიკული ლექსები, დრამა, მოთხრობა და სხვა. ასევე მრავალფეროვანია მისი შემოქმედების ლეიტმოტივი (სოციალიური უთანასწორობის საკითხები, ეროვნული მოტივი, აღზრდის პრობლემა, ხელოვნების ზოგადი საკითხები, ასკეტიზმი და სხვა). ეს კი დიდ ოსტატობას მოითხოვს მასწავლებლისაგან, რათა უნაკლოდ შესძლოს დიდი კლასიკოსის ილიას შემოქმედებაზე მთლიანი შთაბეჭდილება შეუქმნას მე-9 კლ. მოსწავლეთ.

ილია ჭავჭავაძის შესწავლა მე-9 კლასში შეიძლება შემდეგი გეგმით წარმოვიდგინოთ¹⁾:

1. შესავალი საუბარი: სოც.-პოლიტიკური მდგომარეობა საქ. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში.
2. ილიას ბიოგრაფია (პეტერბურგის პერიოდი, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი).
3. მამათა და შვილთა ბრძოლა.
4. ილიას შემოქმედების ძირითადი მოტივი—ეროვნული საკითხი.
5. ბატონყმობა.
6. სოციალური უთანასწორობის საკითხები.
7. ილიას შეხედულება ხელოვნებაზე, პოეტის დანიშნულებაზე.
8. აღზრდის პრობლემა.
9. ასკეტიზმი.

¹⁾ მწერლის მრავალფეროვანი შემოქმედების სწავლებისას უპირატესობას უნარობლივ მხარეს აკლავებენ, რაც, ჩვენი შეხედულებით არ უნდა იყოს მართებული საზოგადოდ. კერძოდ კი ილიას მიმართ ამ მეთოდის გამოყენება ყოველად გაუმართლებლად მიგვაჩნია. აქ ამოსავალ წერტილად ილიას შემოქმედების იდეურ-თემატიკობა უნდა მივიღოთ.

მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის სოც.პოლიტიკური ვითარებათა ვრცელი დახასიათების შემდეგ მასწავლებელი გადადის ილიას ბიოგრაფიის სწავლებაზე. ილიას ბიოგრაფია უკვე შესწავლილი აქვთ ძირითადად შვიდწლედის მე-5, 7 კლ. ამიტომ ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდება მისი ცხოვრების ისეთ ეპიზოდებზე, რომლებიც ნათელყოფენ მწერლის შემოქმედების თანდათანობით ზრდა-განვითარებას, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ილია ჭავჭავაძის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაახლოებით ნახევარი საუკუნით განისაზღვრება. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ცხოვრებაში საყურადღებო ცვლილებები მოხდა და, ცხადია, მწერლის შემოქმედებაში თავისებური გამოვლინება ჰპოვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა. ილიას შეუძინველი არ დარჩენია 1864 წლის რეფორმა, ხალხოსნური მოძრაობა, კაპიტალიზმის განვითარება და გლახთა დიფერენციაცია, მუშათა კლასის წარმოშობა და განვითარება, რევოლუციური მარქსიზმის ჩასახვა და განვითარება, მუშათა მოძრაობა, და სხვ. მაგრამ პუბლიცისტურ შრომებში, მხატვრულ პროზასა თუ ლირიკულ ლექსებში ძირითადად ილია დასტრიალებდა ორ მთავარ საკითხს: 1) წოდებათა შორის ურთიერთობისა და 2) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხს.

ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში მყოფ ილიას გრძნობა და გონება თავს დასტრიალებდა საყვარელ სამშობლოს ბედობას, რასაც მან უძღვნა რიგი ლირიკული ლექსები, მაგრამ თავისი სამოღვაწეო პროგრამა და საზოგადოდ პროგრამა თერგდალეულთა მოძრაობისა მან თავის პირველ ბელეტრისტულ ნაწარმოებ „მგზავრის წერილებში“ წარმოგვიდგინა.

რეალიზმი მწერლობაში, რომლის საწყისები ჩვენში დაკავშირებულია გიორგი ერისთავის სახელთან, ილია ჭავჭავაძემ მალალ საფეხურზე აიყვანა. იგი სრულიად სამართლიანად ითვლება კრიტიკული რეალიზმის დამწყებად ჩვენში და მის უდიდეს წარმომადგენლად. ილიას მეგრძოლი რეალიზმის ნათელი პროგრამა, რომლის მიზანია უკეთესი მგრძისისათვის ბრძოლა, გამომდინარე წინსვლისა და მუდმივ მოძრაობის პრინციპიდან, ქვაკუთხედია „მგზავრის წერილები“-სა.

„მგზავრის წერილები“

პროგრამული მასალის უშუალო გაცნობა-შესწავლამდე მოსწავლეები მასწავლებლის დავალებით იმეორებენ (საშინაო დავალები-

ბის სახით), მე-5, 6, 7 კლ. გავლილ მასალას მოტივების მიხედვით. ასე, მაგ.: ეროვნულ მოტივისას—ნაწარმოებთ: „გაზაფხული“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „მესმის, მესმის“, „ელეგია“, „ქართველის დედას“, „ნანა“, „მას აქეთ, რა კი შენდამი“, „ბაზალეთის ტბა“.

წოდებათა შორის ბრძოლის სოციალურ მოტივისას: „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „გუთნის დედა“.

შესავალ საუბარში განსაკუთრებით მკაფიოდ უნდა გაირკვეს საკითხი, რომ ილია ჭავჭავაძემ ღრმად განიცადა 60-იანი წლების რუსეთის პროგრესიულ-დემოკრატიულ მოძრაობის გავლენა და სხვა თერგდალეულებთან ერთად მან გადმონერგა იგი საქართველოს სინამდვილეში.

თერგდალეულთა ვრცელი პროგრამა ითვალისწინებდა ბრძოლას პატრიარქალურ ტრადიციებთან, ბატონყმობის ინსტიტუტთან, ბრძოლას თავისუფალი შრომისათვის, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს აღდგენასა და გალონიერებას, ქართული კულტურის განვითარებას. ამათგან ძირითადია ილიას შემოქმედებაში დამოუკიდებელი—მთლიანი საქართველოს საკითხი. სწორედ მისი პირველი ბელეტრისტული ნაწარმოების — „მგზავრის წერილები“-ს მთავარი იდეა ქართველი ერის ეროვნული თვითგამორკვევის იდეაა, (თუმცა „მგზავრის წერილებში“ გარკვევითაა წარმოდგენილი აგრეთვე ავტორის მსოფლმხედველობა, მისი ფილოსოფიური ნააზრევი).

რუსეთში მყოფი ჯერ კიდევ სტუდენტი ილიას სული და გული თავს დასტრიალებდა საქართველოს. გავიხსენოთ მისი:

„მას აქეთ, რა კი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება.
შენს ძარღვის ცემას მე ყურს უუღებ სულგანაბული,
ლაშე თენდება ნგრეთი ჩემი და დღე ლამდება“.

რა მდგომარეობაში დახვდა რუსეთიდან დაბრუნებულ ილიას თავის სამშობლი ქვეყანა? გავიხსენოთ მისი:

„არასაიდან ხმა... არსით ძახილი,
მშობელი, შობილს არას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი,
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა“.

ადვკურვილი ცოდნით, ნაზიარები პროგრესიულ-დემოკრატიული იდეებს, გატაცებული პრაქტიკული საქმიანობით, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებული ახალგაზრდა მგოსანი ილია 1861 წელს ბრუნდება საქართველოში. მოკრძალებით ადვს საქართველოს კარებსა და მთელის არსებით მონდომებული ერთგულად ემსახუროს მას, ერთგვარი გაურკვეველი შიშის გრძნობით სვამს კითხვას, როგორ მიიღებს მისი სამშობლო მგოსანს, გაუგებენ თუ არა ისინი ერთიმეორეს, და უცხო ნიადაგზე აღზრდილი პოეტი შესძლებს თუ არა შესაფერის; სამსახური გაუწიოს სამშობლოს? აი, ამ აზრებითა და ფიქრებით დაბრუნდა ილია საქართველოში და მხატვრული სახეებში გადმოგვცა მან ეს აზრები და ფიქრები „მგზავრის წერილებში“.

ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით წაკითხულ იქნება ადგილი მე-2 თავიდან: „ოთხი წელიწადი იყო რაც მე“... ვიდრე: „ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მისი გაანალიზებისას მთავარი ყურადღება მიექცევა ადგილს: 1) „ეს ოთხი წელიწადი არის ბეწვის ხიდი სიბნელისა და სინათლის შუა გადებული“ და 2) „ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად „მოგიხმარა“.

შემდეგ წაკითხული იქნება მე-3 თავიდან ადგილი: ფიქრები საქართველოზე: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე“... ვიდრე:— „შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს მაშინ რას იქმ?—აკითხე მე ჩემს თავს და გაუჩერდი კიდევ“... მოხდება წაკითხული ნაწყვეტის კატეტიზაცია. მოსწავლეები გამოყოფენ მთავარს (ტექსტიდან სათანადო ადგილების მოტანით).

დასკვნა: „გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდევ იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ“ და სხვა. ამის შემდეგ მოსწავლეთ ეძლევა დავალება: 1. ყურადღებით წაიკითხონ „მგზავრის წერილები მთლიანად“.

2. შემდეგი გაკვეთლისათვის წარმოადგინონ (წერილობით) „იამშიკის“ (მეეტლის) დახასიათება.

3. ზეპირად შეისწავლონ: „ოთხი წელიწადი იყო“... ვიდრე: „ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“.

შემდეგ გაკვეთილზე გაირკვევა, თუ რატომ დასჭირდა ილიას, „მგზავრის წერილებში“ „იამშიკის“ ბრიყვი და რუსი ოფიცრის გამოთავანებული სახის ასეთი სარკასტულ საღებავებით დახატვა. მართალია, ავტორი მწარედ დასცინის ძველი, მეფის რუსეთის ჩამორჩენა-უკულტურობას, მაგრამ უნდა განემატოს მოსწავლეთ, რომ

იგი 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ პროგრესულ იდეებს დიდის იმედით შეჰყურებდა.

შემდეგ წაკითხულ იქნება ადგილი მე-4 თავიდან: „დიდებული რამ არის მყინვარი“... ვიდრე: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონის და სიცოცხლის მიმცემი“.

ეს ნაწყვეტი ცალკე უნდა გაირჩეს როგორც შინაარსისა ისე ფორმის მხრივ. გამოიყოფა (მოსწავლელთა მიერ) ამ ნაწყვეტში წარმოდგენილი პოეტური ხერხები: ეპითეტი, შედარება, კონტრასტი, მყინვარისა და თერგის თვისებები: უმოძრაობა და მოძრაობა, სიჩუმე და ხმაურობა და სხვა.

მოსწავლეებს გამოჰყავთ თხზულების ამ ნაწილის იდეა: „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

დასკვნა: დიან, გარეშე მტერთაგან დაბეჩავებულ ქართველ ერს, დაკნინებულს ბატონყმური წყობილების პატრიარქალური ტრადიციებითა, გამოღვიძება „სულ მუდამ ძილი“-საგან „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობით“ და „ბნელი და მშვიდობიანი ღამის, ნათელი და მოუსვენარი დღის“ შეცვლით შეედლო მხოლოდ.

„მგზავრის წერილებში“ მოხვევის პირით ილიამ გვამცნო ის ტკივილები, რომელიც მწარედ სტანჯავდა თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიალური საქართველოს.

წაკითხული იქნება დიალოგი მოხვევსა და ავტორს შორის.. განსაკუთრებით ხაზი გაესმის მოხვევის სიტყვებს:

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ და იმ ადგილს, სადაც მოხვევე მუქი საღებავებით აფერადებს საქართველოს აწმყოს, მისი წარსულთან დაპირისპირებით.

- დავალება: 1. დაწერონ რუსი ოფიცრის დახასიათება.
2. შეისწავლონ ზეპირად დიდებული რამ არის მყინვარი“... (ბოლომდის).

შესამე (დასკვნითს) გაკვეთილზე გაირკვევა „მგზავრის წერილები“-ს დედააზრი. ილიას შეკითხვაზე მოხვევის პასუხი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“-ო ათქმევინებს ავტორს: „მიგიხვდი, ჩემო მოხვევე, რა ნესტართაც ხარ ნაჩხვლეტი, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რალაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამოირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიშარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის, ოხ. როდემდის, როდემდის!... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეცი ამდს პასუხი“. ესაა „მგზავრის წერილები“-ს იდეა—მისწრა-

ფება ეროვნულ-პოლიტიკურ დამოუკიდებლობისაკენ, თავისუფლები-საკენ.

„მგზავრის წერილებში“ ი. ჭავჭავაძემ არა მარტო საკუთარი შეხედულებანი გადმოგვცა, არამედ გადმოგვიწავლა თერგდალეულთა მოძრაობის მიზანი და ბრძოლა მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილია საზოგადოდ თავისუფალ — დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებობდა, მისი იდეალი იყო მთლიანი საქართველოს შექმნა. ეს მისი დაუცხრომელი სურვილი იყო, მაგრამ იგი გრძნობდა, რომ ბატონყმური საქართველო ვერ შეიქმნიდა ბრწყინვალე მომავალს. ქვეყნის უკეთესი მერმისის შესაქმნელად საჭირო იყო ძალთა გადაჯგუფება და იგი სამართლიანად შენიშნავს: „კარგია გაღვიძებული ადამიანი, მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს ქვეყნის უბედურებით გულდტკინებულსა“ დაასკვნის ილია და ეძებს ამ „გულდტკინებულ“ ადამიანს: „ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და თუ ვიპოვე ვეთაყვანები“. ილია არ შემცდარა. ასეთი ადამიანი აღმოჩნდა მის სამშობლოში. იგი მან ქართველ გლეხობაში მოიხაზა.

დასკვნა: „მგზავრის წერილები“ ბელეტრისტიკული ნაწარმოები ეროვნული იდეის გამომხატველი შედევრია. ამ იდეის მატარებლად ავტორმა გამოიყვანა ხალხის შვილი მოხევე, რომელიც ხალხთან ერთად მწვავედ განიცდის თავის სამშობლოს დაღუპული დიდების — დამოუკიდებლობის — დაკარგვას და დაღონებული აცხადებს:

„ადრიდან ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ... ამ თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საჭიროა ბრძოლა-მოძრაობა და სწორედ სიცოცხლისა და მოძრაობის სიმბოლოდ პოეტმა დაგვისახა „თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი“. რომელიც თავის „ზარიანი ხუილით“ აღვიძებს არე-მარეს.

ამგვარად, „მგზავრის წერილები“ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა — ბრძოლის მთელი პროგრამაა, დამოუკიდებელი საქართველოს ხილვის იდეით გაჟღერებული, რომლის განხორციელებისათვის ეგზოტ დაუთალავად იბრძოდა თავდადებული პატრიოტი თავის ქვეყნისა დიდი ილია. მართალია, სიცოცხლეში ვერ იხილა დიდმა პოეტმა სანუკვარი ოცნების ხორცშესხმა, მაგრამ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, სხვა დამონებულ პატარა ერებთან ერთად, ილიას საყვარელ სამშობლოსაც აღუწო

დიდებისა და თავისუფლების ლამპარი და დღეს, თავისუფალი ქართველი ხალხი დიდის პატივით იგონებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჯს, მის მედროშეს, დიდ პოეტს ილია ჭავჭავაძეს.

„პასუხის პასუხი“

ილია ჭავჭავაძეს რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე შეტაკება მოუხდა ძველი თაობის წარმომადგენლებთან. ამ შეტაკების საბაბი ენის საკითხი იყო, მაგრამ მისი სოციალური საფუძვლები უფრო ღრმა იყო, ვიდრე ენის საკითხი.

1861 წლის ჟურ. „ციკარში“ ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა წერილი „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას-ძის ერთსავე კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა. იგი იყო არა „ორიოდე სიტყვა“, არამედ რეალიზმის მთელი პროგრამა. ამ წერილში ილიამ დაჰკმო კონსერვატიზმი, რომელსაც ფესვები მაგრად ჰქონდა გადგმული ძველ თაობათა ფართო წრეში და რომლის ერთგული დამცველიც ჟურ. „ციკარი“ იყო. ილიამ წამოაყენა ენის რეფორმის, ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების განახლების პრინციპი. ამახილა „ტკბილი ძილის“ დამღუპველი შედეგები, რამაც მაშინდელი საქართველო უფესკრულის კარამდე მიიყვანა და გამაივლინა დრომოკმულ ტრადიციათა მახინჯი მხარეები. ამ ახალი, პროგრესიული აზრების წინააღმდეგ ამხედრდა „მამების“ მთელი ბანაკი თავყვანისმცემელი ხავსმოკიდებულ ტრადიციათა ბ. ჯორჯაძისა, რევე. ერისთავისა, სარდიონ ალექსეევ მესხიევისა და სხვათა სახით და რიგი საპოლემიკო სტატიები მოათავსეს იმავე „ციკარში“ ილიას წინააღმდეგ. ისინი ახლის შიშით ებლაუტებოდნენ ძველს ადათ-წესებს, იკავდნენ მათს „შეუვალობას“ როგორც შექმლეთ, მაგრამ ილიას საპასუხია წერილმა („პასუხი“) მათ გზა-კვალი აუხზია. ილიამ „პასუხს“ ბელინსკის ცნობილი და მეტად მოსწრებული სიტყვები წარუმიძღვრა ეპიგრაფად: „ჩვენი ლიტერატურის საცეკვაო დარბაზად გადაკეთება სწადიათ და უკვე ქალბატონებსაც ეპატიჟებიან, ჩვენი მწერლობა ჰსურთ აქციონ ფრაკებში და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი მოდის კაცებად, უნდათ შესცვალონ ენერგია—თავაზიანობით, გრძნობა—ზრდილობით, აზრი—მოდური ფრაზით, მოხდენილობა—პრანჭიობით, კრიტიკა—ქათინაურებით“.

საერთოდ, ილიამ ფარდა ახადა კონსერვატიულ-რეაქციონურ მამათა თაობის ლიტერატურულ კრედოს და მას დაუპირისპირა მებრძოლი რეალიზმის, კრიტიკული რეალიზმის პრინციპები.

60-იანი წლების ორი თაობა—ერთი მხრით „მამათა“ ბანაკი და მერე მხრით „შვილების“ (თერგდალეულები) სამკედრო-სასიცოცხლოდ დაეჯახა ერთიმეორეს. ეს ბრძოლა თანდათანობით ღრმავდება და გამწვავებელ სახეს იღებს. 1863 წელს თერგდალეულებმა საკუთარი ორგანო ჟურ. „საქართველოს შოამბე“ დაარსეს, რომლის საშუალებითაც მკაცრად ამხილეს „ცისკრის“ ირგვლივ შემოკრებილ „მამათა“ ბანაკის რეაქციონური აზრები, შეარყიეს მათი კონსერვატიული ტრადიციები და შეხედულებანი. „მამათა“ და „შვილთა“ შორის წარმოებული ბრძოლის საუკეთესო სურათს იძლევა ილიას „პასუხის პასუხი“. ამ ლექსის ერთხელ წაკითხვის შემდეგ მოსწავლეთ უნდამოვავაგონოთ გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“.

გრ. ორბელიანის საკმაოდ გესლიანი „პასუხი შვილთა“-ს გამანადგურებელ კრიტიკას იძლევა ილია „პასუხის პასუხში“:

„ჩვენ ვვლეთ რუსეთი,

მაგრამ არც ერთი

ხელობა თქვენი არ გვისწავლია;

ჩვენი ქვეყანა,

მკვდარი თქვენგანა,

თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია.

ლიბერალობა,

პატრიოტობა

სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია;

თქვენგან ჩაგრული,

დაბრმავებული

ერი ჯვრეზიდ არ გაგვიყოფია.

ქვეყნისა ბედი

და ხსნის იმედი

თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია;

კაცის მხნეობა,

კაცის ზნეობა

თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია“.

ღრო შეიცვალა; ახალმა ვითარებამ შესაფერისი სიახლე მოით-

ხოვა და აი:

„როს მოვედით ჩვენ,

სწრაფლ გიცანით თქვენ,

შორს დავიჭირეთ თქვენი ანბანი“-ო

მიმართავს ილია „მამათა“ ბანაკს.

ქართველი ერის უღონობას, მის დაბეჩაევებას ილია ხსნის ძველი თაობის უმოქმედობით და უპირისპირებს ახალ თაობის მამოძრავებელ „მოძრაობა და მარტო მოძრაობის“ იდეას.

„ვართ უღონონი,
უგზო-უკვლონი
მით, რომ თქვენ ჰყრინხართ უქმად ჩვენშია.
ჩვენ მოკუნტულნი
თქვენ გაბღინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია“.

ცხოვრება იცვლება, ვითარდება და განახლებული ცხოვრება განახლებულ ენას მოითხოვს. ეს ერთი მხრით, მშვენიერად ესმის ილიას და მეორე მხრით, იგი მწარედ განიცდის იმ ტკივილებს, რომელიც მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის უცხო თუ შინაურმა ლაქუცა ფინიებმა მიაყენეს ქართველ ერს.

„ჩვენ ძუძუს ვსწოვდით
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც—გარეთ თუ შინა.
ის არა ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა

ბრძანებით დასთმეთ აღმოსაქვეთად?!

შიშით—არც კარში
და აღარც სახლში

მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.

ენა მაღალი
მის სიღრმე, ძალი,

ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა,

პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა

მას მკვდრის სუდარი გადააფარა“.

თერგდალეულთა დევნიზია აღადგინონ შეღახული სახელი ქართული ენისა, გააცოცხლონ, გაამდიდრონ და აღამაღლონ იგი:

„ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,

ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,

და ამასაც თქვენ

ცოდვად გვითვლით ჩვენ,

რალა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!

თქვენგან გმობილი,
თქვენით ლტოლვილი

ენა ჩვენს ქოხში, ჩვენ შევაფარეთ,

კარგად თუ ავად,

ჩვენ მას ვინახავთ

და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.“

და ქვეშაბრტყელად, ახალ ქართულ ლიტერატურაში ილიამ პირველმა შექმნა ტრადიცია ნამდვილი, სადა ხალხური ენის გამოყენებისა. „პასუხის პასუხი“-ს შესწავლის შემდეგ კლასს ეძლევა ილიას სატირული ლექსი „ბედნიერი ერი“: ამ ორი ლექსის შესწავლის საფუძველზე ნათელი უნდა გახდეს, რომ ილია ჭავჭავაძე ის ცენტრალური ფიგურაა, რომლის ირგვლივ მკვიდროდ იყო დარაზმული 60—70-იანი წლების მოწინავე ინტელიგენცია თერგდალეულთა სახით და, რომ მათ მიერ უხეად ითვებოდა პროგრესულ-დემოკრატიული იდეები წინააღმდეგ დრომოჭმული, ფეოდალიზმის იდეოლოგია კონსერვატიული იდეებისა.

მე-9 კლასის პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ისტორიულ თემაზე დაწერილი „დედა და შვილი“ და „დიმიტრი თავდადებული“, რომელთა დედააზრი პატრიოტული მოტივის გაღვივებაა. ცხადია, არ შეიძლება ამ ნაწარმოებთა ყურადღების გარეშე დატოვება. ამიტომაც „მგზავრის წერილების“ შესწავლის პარარელურად მოსწავლეებს უნდა მიეცეთ დაეალება, რომ დამოუკიდებლად გაეცნონ ამ ნაწარმოებთ. აგრეთვე პროგრამაში არ არის წარმოდგენილი „მუშა“, რომელსაც მოსწავლეები ასევე დამოუკიდებლად გაეცნობიან და მე-9 კლასის საპროგრამო მასალის „აჩრდილის“ შესწავლას დაუკავშირდება (განმეორების სახით) „გუთნის დედის“ გარჩევაც, რადგანაც ყველაზე მკვეთრად დასახელებული ნაწარმოებნი ეხებებიან სოციალური უთანასწორობის საკითხს და არკვევენ ავტორის მსოფლმხედველობას ამ მიმართულებით.

მე-9 კლასის პროგრამით გათვალისწინებულ ნაწარმოებთა შესწავლის შემდეგ საჭიროა შეჩერება ორ საკითხზე:

1. ილიას შეხედულება ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე საზოგადოდ და პოეტის დანიშნულებაზე. ეს საკითხი, ცხადია, გაირკვევა მე-6, 7 კლ. შესწავლილი „ჩემო კალამო“ და „პოეტი“-ს საფუძველზე (განმეორების სახით) ილიას პუბლიცისტურ წერილებიდან ხელოვნების შესახებ სათანადო ადგილების გამოყენებით.

2. ილიას შეხედულება აღზრდაზე. ამ საკითხის გასარკვევად საჭირო იქნება ილიას ნაწარმოებიდან („კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ქართვის დედის“, და სხვა) სა-

თანადო ადგილების აღდგენა მოსწავლეთა მეხსიერებაში და დასკვნების გამოტანა.

აგრეთვე სასურველია, რომ დამოუკიდებლად გაეცნონ მოსწავლეები „უცნაურ ამბავს“, რომლის ანალიზი მასწავლებლის ხელმძღვანელობით ჩატარდება.

დაბოლოს, რომ გაირკვეს ილია ჭავჭავაძის ადგილი ქართულ ლიტერატურის ისტორიაში, ამისათვის საჭიროა მოიხაზოს პოეტის შემოქმედების ძირითადი საკითხები, მთელი გავლილი მასალა დაჯგუფდეს ძირითადი საკითხების მიხედვით და შემდეგ მოსწავლეებთან ერთად შედგეს ერთგვარი გეგმა, რომლის თანახმად ი. ჭავჭავაძის ადგილი ქართულ ლიტერატურის ისტორიაში შეიძლება შემდეგი სახით წარმოგვიდგეს:

1. ილია მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის მოწინავე საზოგადოების მეთაურია.

2. ილია ერთი პირველი მწერალთაგანია, რომელმაც საქართველოს სინამდვილეში ფართოდ დანერგა იდეა ხელოვნების პრაქტიკული დანიშნულებისა.

3. ილია მე-19 საუკუნის ნაციონალურ-რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობის პოპულიარული მოღვაწეა.

4. ილია ქართულ ლიტერატურაში მებრძოლი—კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელია.

5. ილია ერთი პირველთაგანია, რომელმაც მწერლობაში დაამკვიდრა ხამდვილი ხალხური სალიტერატურო ენა.

6. ილია ბატონყმური წყობილების უდიდესი და უღმობელი მამხილებელია.

7. ილიას პედაგოგიური იდეები ძვირფასი საუნჯეა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში.

8. ილიას სამშობლოს უკეთესი მცობადის შემქმნელად ქართველი გლახობა მიაჩნია.

ილიას შემოქმედების მთლიანად შესწავლის შემდეგ საწერ საბუშაოდ შეიძლება რეკომენდებული იქნას შემდეგი თემები.

1. ბატონყმობის საკითხი ილიას ნაწარმოებთა მიხედვით.
2. გადაგვარებული თავადის ტიპი ილიას მიხედვით.
3. „განდევილის“ გარჩევა.
4. პოეტის დანიშნულების საკითხი ილიას პოეზიაში.
5. „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა ილიას შემოქმედებაში.
6. „ოთარაანთ ქვრივი“-ს დახასიათება.
7. ეროვნული მოტივი ილიას შემოქმედებაში და სხვა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლისათვის	5
ილია ჭავჭავაძის შესწავლისათვის შეიდწლედსა და საშუალო სკოლაში	38
ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის შესწავლა	61
ილიას შემოქმედება მე-5—7 კლასებში	71
ილიას შესწავლა მე-9 კლასში	101

პ/მგ. რედაქტორი: პროფ. გ. თავაძეშვილი

შ. მ. КЕКЕЛИЯ

**Педагогическое наследство
Ильи Чавчавадзе
и методика преподавания
его произведений**

(на груз. языке)

Гос. тех. издат. „Техника და შრომა“
თბილისი 1946

ფასი 15 ლარი No
გადაფასიებულია
ხალხი ფასი

13 / 13